


გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№167 (226) 23-30 აპრილი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი




# ეკონომიკა, რომელიც არ არსებობს...

**“ერისა და ქვეყნის განვითარება შეუძლებელია განვითარების არსზე, მიზნებსა და მიმართულებებზე საღი წარმოდგენის არარსებობის პირობებში. ამავე დროს, უკვე წლების განმავლობაში ქართველი ერი ცხოვრობს ყოველგვარი მკვეთრად განსაზღვრული იდეებისა და ამოცანების, ნათლად გაცნობიერებული ეროვნული ინტერესებისა თუ სოციალური პრიორიტეტების გარეშე. ამგვარად არსებობას მხოლოდ საზოგადოებრივი შეგნების დეგრადაციამდე, ერისა და სახელმწიფოს დაშლამდე შეუძლია მიგვიყვანოს, რისი ტენდენციაც აშკარად ჩანს. ქვეყანამ და ხალხმა არ შეიძლება იცხოვრონ ყოველი არჩევნების წინ დაპირებული “აყვავების” იმედით თუ დასავლეთევროპული ან ამერიკული ნიმუშებიდან გადაწერილი პარტიული პროგრამებით, რომლებსაც ქართულ სინამდვილესთან არაფერი აქვთ საერთო”.**

ამ სიტყვებით იწყება ცნობილი ქართველი პოლიტიკოსის ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ფუნდამენტური ნაშრომი **“საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგია და ეროვნული იდეა”**, რომელიც დაიწერა 2000 წელს, ჯერ კიდევ შევარდნაძის ზეობის ჟამს. ამ ფუნდამენტურ ნაშრომში, რომლის მსგავსი არავის არაფერი შეუქმნია პოსტსაბჭოთა სივრცეში, პუნქტობრივად არის გაწერილი სახელმწიფოს ეკონომიკური, იდეური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა სასიცოცხლო დარგების ფუძემდებლური პრინციპები, გამოკვეთილია ღრმა სისტემური კრიზისიდან გამოსვლის ორიენტირები.

საქართველოს ავტორიტეტულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ექსპერტებმა მაშინვე დაასკვნეს, რომ ბატონი ალექსანდრეს მიერ შემოთავაზებული კონცეფცია გახლდათ ქვეყნის გადარჩენისა და შემდგომი გაძლიერების უტყუარი რეცეპტი – იდეალური პანაცეა, რომლის რეალიზაციას მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდებოდა.

მაგრამ, თუ დაავადებულის მომვლელის მიზანს პაციენტის სიკვდილი წარმოადგენს და არა გადარჩენა, მაშინ მისი გადაწყვეტილებაც სავსებით ნათელია – ამიტომ, ვინაიდან ქართული ეკონომიკის გადარჩენის სურვილი არც ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებას გააჩნდა და, მით უმეტეს, არც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას გააჩნია, ყურადღება არავის მიუქცევია ამ ფასეული დოკუმენტისათვის.

მათი ძირითადი ორიენტირი იყო და არის საქართველოს ეკონომიკური ძლიერების ჩაკვლა, ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა ხალხის მიერ შექმნილი მატერიალური დოვლათის უზნეოდ დატაცება, სამეცნიერო პოტენციალის მოშლა და მეცნიერებატევადი დარგების დეგრადირება, განათლებისა და კულტურის კერების განადგურება, ქვეყანაში მხოლოდ ტურიზმის განვითარება და განათლებისადმი ისტორიულად მიდრეკილების მქონე ქართველი ერის დაბალინტელექტუალურ მომსახურე პერსონალებად ტრანსფორმირება. სხვათა შორის, მაშინ, გარკვეულ ობიექტურ გარემოებათა გამო, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ შემოთავაზებული სახელმწიფო აღმშენებლობის კონცეფცია სავსებით შესრულებადი ამოცანა გახლდათ. საქართველოს ეკონომიკა ჯერ კიდევ არ იყო ძირფესვიანად განადგურებული, რადგან საბჭოთა საქართველოსაგან მიღებული მძლავრი ეკონომიკური ბერკეტების მოშლა მძარცველობით სახელგანთქმულმა შევარდნაძის პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ბანდამაც კი ვერ მოახერხა და სწორედ ამიტომაც მოიყვანეს ამერიკელებმა საქართველოს ხელისუფლების სათავეში ახალგაზრდა **“რეფორმატორები”**, რათა ქვეყნის ნგრევის პროცესები კიდევ უფრო დაეჩქარებინათ.

ამიტომაც აღმოჩნდა ბატონ ალექსანდრეს მიერ სავსებით უანგაროდ შემოთავაზებული ეს კოლოსალური ნაშრომი ამოდებული მაუდის ქვეშ!

ახლა კი, პუშკინის პოემის გმირი დედაბერივით ვსხედვართ გაბზარულ ვარცლთან და მოთმინებით ველოდებით მის სრულ დანაფოტებასა და გაქრობას!

სამწუხაროდ, ქვეყნის სიცოცხლისმიერი დარგების დაშლა-განადგურება, საქართველოს ნაციონალური ხელისუფლების მიერ, ქვეყნისათვის თავსმოხვეული ნაკლები სიბოროტე გახლავთ, **“ნაციონალთა”** პროგრამა-მაქსიმუმი კი არის საქართველოს დაშლა-დანაწევრება და მისი სრულიად წაშლა მსოფლიოს გეოპოლიტიკური რუქიდან! და ყოველივე ამის ფონზე ქვეყნის არაქართული ხელისუფლება ცინიკურად აბოლებს საქართველოს მოსახლეობას და პირზე ქაფმოდებული ამტკიცებს, რომ აღორძინებულ ქვეყანაში ცხოვრობთ, მალე კი საქართველოში უმუშევრობა სრულიად აღმოიფხვრებაო!

სააკაშვილმა წინანდლის სასტუმროს საზეიმო გახსნისას განაცხადა – კახეთში უმუშევრობის პრობლემა ორ-სამ წელიწადში გადაწყდებაო, ამაზე თავხედური და ურცხვი ტყუილი როდისმე მოგისმენიათ?

ეს ხომ მართლაც აღმაშფოთებელი დემაგოგიაა!

თანაც, აღმაშფოთებელი აქ მხოლოდ ის კი არ არის, რომ ვიღაცა უზნეოდ გვატყუებს – ხელისუფლები, მით უმეტეს **“ნაციონალები”**, ხომ იმიტომ არიან ჩაბღაუჭებული საქართველოს მართვის სადავეებს, რომ ამ ტყუილებით გაგვართონ და თავად რაც შეიძლება მეტი ფული იშოვონ. აღმაშფოთებელი აქ ის არის, რომ საქართველოს მოსახლეობა ბოჩოლას აღფრთოვანებით უსმენს ამ ღვარად წამოსულ სახელისუფლებო სიცრუეს და ოდნავადაც კი არ უჩნდება პროტესტის განცდა.

მთელი ქართველი ერის უბედურება, სწორედ ეს გახლავთ!

მიცვალებულს **“მრავალჟამიერს”** არ უმღერიან, მიცვალებულს გაპატიოსნება, დატირება და დაკრძალვა სჭირდება, რომლის შემდეგ ვალმოხდილი ჭირისუფალი რუდუნებით ელოდება ხოლმე ოჯახში ახალი წევრის შემოსვლას. საქართველოს ხელისუფლებას კი არ სურს იმის აღიარება, რომ საქართველოს ეკონომიკა დიდი ხნის მკვდარია, უკვე გვამური ლაქები ეტყობა და თუ დროზე არ დავკრძალეთ, შეიძლება მისგან მოძლიერებულ დაავადებას ქვეყანა გადავაყოლოთ. რაც შეეხება ახალ ეკონომიკას, იგი სახელმწიფოში არასოდეს დაიბადება, თუ ნაციონალები არ ჩამოშორდნენ საქართველოს მართვის სადავეებს...

საქართველოში, მით უმეტეს კახეთში უმუშევრობის პრობლემას ტურიზმით ნამდვილად ვერ გადაწყვეტ. აქ მხოლოდ მევენახეობის და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების რეანიმირება თუ შეამცირებს უმუშევრობას, ისიც ნაწილობრივ, რადგან მთელი მოსახლეობის შრომითი დასაქმების რესურსი არ შეიძლება არსებობდეს იმ ქვეყანაში, სადაც ფაქტიურად აღარ არსებობს ეკონომიკა და სამეურნეო საკითხები მხოლოდ ერთი ჭირვეული არაკომპეტენტური ადამიანის იმპულსური გადაწყვეტილებების საფუძველზე მიიღება.

გაიხსენეთ, კომუნისტური მმართველობის ჟამს მხოლოდ კახეთში, ტარიბანას ველებზე 40-50 ათას ჰექტარზე ითესებოდა ხორბალი, ვენახებზე აღარას ვამბობ – კახეთში დაუმუშავებელ მიწის ნაკვეთს ვერსად ნახავდით. ხალხიც დანაყრებული გახლდათ და, როგორც იტყვიან, არც მგელი შიმშილობდა ტყეში – ნადირი იშვიათად გამოდიოდა უდაბური ხეობებიდან და ალაზნის ტყემოდებული ჭალებიდან. ახლა კი, თითქოს ნადირმაც იგრძნო ტოტალური გასაჭირი – ეზოებში უვარდებიან მოსახლეობას და ხელისუფლებისაგან ისედაც დაზარალებულ ადამიანებს მართლაც აუნაზღაურებელ ზიანს აყენებენ.

რომელ გამართულ ეკონომიკაზე შეიძლება საუბარი იმ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება ერთი ადამიანის სულელური ხუშტურების და უაზრო გადაწყვეტილებების გამართლებაზეა გადასული.

მაგალითად, ახლახან, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა დადგენილება, რომლის თანახმადაც საწარმოო თუ საცხოვრებელ ნაგებობათა მშენებლობების საწარმოებლად საჭირო აღარ არის გრუნტის წინასწარი შესწავლა და სათანადო ჰიდროგეოლოგიური დასკვნების გაკეთება.

იცით, რატომ მიიღეს ეს არაჯანსაღი გადაწყვეტილება, რომელიც დამატებით საფრთხეს შეუქმნის ადამიანებს? იმიტომ, რომ სააკაშვილმა რომელიღაც კოშმარული სიზმრის ნახვის შემდეგ გამოაცხადა, რომ ქალაქი **“ლაზიკა”** უნდა ავაშენოო! თანაც, ეს ქალაქი უნდა აშენდეს ანაკლიასა და ყულევს შორის მდებარე ჭაობზე, რაც, გარდა იმისა, რომ რეალურ საფრთხეს შეუქმნის აქაურ ეკოლოგიას, საფრთხისმომცველი იქნება იმ ადამიანისთვისაც, რომლებიც აქ აშენებულ მრავალსართულიან სახლებში იცხოვრებენ თუ იმუშავებენ.

ამასაც რომ თავი გავანებოთ (როგორი გასანებებელია?!), იმ ქვეყანაში, რომლის სოფლები და ქალაქები ნახევარზე მეტად დაცლილია მოსახლეობისაგან, რომლებიც უცხოეთში არიან გადახვეწილი ლუკმა-პურის საძებრად, ვის სჭირდება კიდევ ერთი, ისიც ჭაობზე აშენებული მეგაპოლისი?

უეჭველია, რომ აქაც გარკვეული ვერაგობაა დამალული. სხვანაირად ვერ ახსნი იმას, რომ საქართველოს დღეს კალიასავით არიან მოძალებული სანდრას თანამემამულე ბურები, თურქი-მესხები, თავად თურქები, სომხები თუ სხვა ათასი ჯურის გადამთიელი ხალხი...

ან, რომელ განვითარებულ ეკონომიკაზე შეიძლება საუბარი იმ ქვეყანაში, რომლის ბიუჯეტის შევსების ერთადერთ გზას უკიდურესობამდე გამკაცრებულ-გასასტიკებული ფისკალური პოლიტიკა წარმოადგენს, იქნება ეს საპროცესო გარიგებები სრულიად უსაფუძვლოდ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებისათვის განსაზღვრული უსაშველოდ გაბერილი ჯარიმები, ტელეფონით სარგებლობისათვის ჩვენი ჯიბეებიდან უსინდისოდ ამოღებული თანხა, დენზე მიბმული ნაგვის გადასახადი თუ სხვა ავადმყოფური ფანტაზიით შობილი გადასახადები!

ამიტომაა სიცრუით გაჯერებული ის გეოპოლიტიკური სივრცე, რომელსაც **“უბედური საქართველო”** ჰქვია და რომლის კისერზეც წურბელებად არიან შესეული სააკაშვილი და მისი **“ნაციონალები”**. სიცრუეა ყველგან – სოფლად, ქალაქად, დევნილთა დასახლებებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში, კულტურის, განათლებისა და სხვა ობიექტებში, რომელსაც მმართველთა კლანი აკონტროლებს. ფასადური დემოკრატიის მიღმა იმალება ტოტალური შიში და განუკითხაობა, დაუსჯელად დაპარპაშებენ ძალოვნები, რომლებიც ყოველგვარ საძრახის საქმეზე მიდიან მოსახლეობის დასათრგუნად და არ ერიდებიან ახალგაზრდების ქუჩაში ჩაცხრილვასაც კი.... ქვეყანაში მძვინვარებს სახელისუფლებო კორუფცია, სასიცოცხლო დარგები ხელში აქვთ ჩაგდებული მონოპოლიურ დაჯგუფებებს, რომლებიც კარტელური გარიგებებით მოქმედებენ და სისხლს სწოვენ ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას. საწვავის ბიზნესს პრეზიდენტის ოჯახი აკონტროლებს, ხოლო ახლახან პრეზიდენტის მამამ, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად, შეიძინა საირმის საკურორტო კომპლექსი, დედამ კი, ასევე სიმბოლურ ფასად – 1 ლარად, შეიძინა ბათუმის საჯარო რეესტრის ყოფილი ვეებერთელა შენობა (წერილი იხილეთ მე-6 გვერდზე).

მოკლედ, ზღვარი არ უდევს ხელისუფლების გაუმაძღრობასა და თავხედობას, რომელიც, ყოველივე ამის შემდეგ უტიფრად უმტკიცებს საქართველოს გაწამებულ მოსახლეობას, რომ ჩვენს უპირველეს საზრუნავს თქვენს კეთილდღეობაზე ზრუნვა წარმოადგენსო.

მაგრამ ხშირად მათი სიცრუე იმდენად თვალშისაცემია, რომ თავადაც არ უკვირდებიან და მაინც თავისას მიერეკებიან. ასე მოხდა ახლახან, როცა სააკაშვილმა და მისმა ამფსონებმა ლამის მეფური შეხვედრა მოუწყვეს ვიღაც ამერიკელ საქმოსან დონალდ ტრამპს, რომელიც მილიარდერთა სიაში 429-ე ადგილზე იმყოფება და ბევრად ჩამორჩება პოლიტიკაში მოსულ ქართველ ბიზნესმენს ბიძინა ივანიშვილს. მთელი ამბავი ატეხეს ხელისუფლების ჯიბის ტელევიზიებმა – მსოფლიოს ამშენებელი დონალდ ტრამპი ჩამოდის საქართველოში ინვესტიციის ჩასადებადო. საბოლოო ჯამში კი გაირკვა, რომ ტრამპმა თავისი ფირმის სახელწოდება მიჰყიდა ნაციონალებს რამდენიმე მილიონ დოლარად, სასტუმროს მშენებლობას კი აფინანსებს ქართული კომპანია **“სილქ-როუდ ჯგუფი”**.

ესეც სააკაშვილისეული სიმართლე – ცამდე აჰყავს ტრამპი, რომელმაც საქართველოს ბიუჯეტის ხარჯზე ფული იშოვა და პირზე ქაფმოდებული ლანძღავს ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც მხოლოდ ქველმოქმედების სახით საქართველოს მოახმარა მილიარდნახევარ ლარზე მეტი, ქართული ჯარისა და პოლიციისათვის გაწეულ სხვა უანგარო დახმარებაზე რომ არაფერი ვთქვათ!

ახლა სინგაპურიზაციაზე გაჰკივის სააკაშვილი და მისი ამალა, მაგრამ მხედველობაში აქვთ არა ქვეყნის განვითარება, არამედ ის, რომ სინგაპურს უკვე 44 წელიწადია მართავს ერთი პოლიტიკური ძალა. როგორ შეიძლება მათი შედარება **“ნაციონალებთან”**, რომელმაც რვაწლიანი ბატონობის განმავლობაში არაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ჩვენთან ადამიანმა მშვიდად და თავისუფლად იგრძნოს თავი. რვა წელიწადში ლამის გაანახევრეს საქართველო, კიდევ უფრო დაამძიმეს კონფლიქტური სიტუაცია, რომლის დარეგულირების ვარიანტები 2008 წლის აგვისტოს უაზრო ომით გამორიცხეს. ახლა, თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენ უბედურებას დაატრიალებენ ესენი 15 წლის განმავლობაში, 44 წელზე რომ აღარაფერი ვთქვათ!

ერთადერთი, რაც **“ნაციონალებს”** ჯერჯერობით მაღალ დონეზე აქვთ დაყენებული, ესაა პიარკომპანია, მათი ჯიბის ტელევიზიების – **“რუსთავი-2”**-ის, **“იმედი”**-ს და საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით, რომლებიც ქვეყნის დამანგრეველ სააკაშვილს ლამის დიდ რეფორმატორად და აღამაშენებლად წარუდგენენ საზოგადოებას. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ გებელსის პროპაგანდისტული ხრიკი – როცა საბჭოთა ჯარები მიწასთან ასწორებდნენ ბერლინს, გებელსმა ახალი ლოზუნგი აუფრიალა სარდაფებში და თავშესაფრებში შეყუჟულ გერმანელებს: **“გაუმარჯოს ადოლფ ჰიტლერს, ახალი ბერლინის ამშენებელს!”**

რითაც დამთავრდა ყოველივე ეს, თითოეულმა ჩვენთაგანმა კარგად იცის, და რაც მთავარია, ორმოცდახუთი წლის შემდეგ შუაში გაგლეჯილი გერმანიის გაერთიანებას მთელი მსოფლიოს ძალისხმევა და ათეულობით მილიარდი დოლარი დასჭირდა.

არა მგონია, რომ სააკაშვილისა და მისი **“ნაციონალების”** მიერ დაშლილ-დანაკუწებული და გაძვალტყავებული საქართველოს შეკოწიწებას ვინმემ ამდენი თანხა და ძალისხმევა მოახმაროს!

მოკლედ, საქართველოს ეკონომიკა მკვდარია და ვიდრე სააკაშვილი და მისი ამფსონები საქართველოს ხელისუფლების უზურპაციას ახდენენ, არა მგონია, რომ მისი გამოცოცხლება შევძლოთ.

როგორც ამ წერილის დასაწყისში მოგახსენეთ, მიცვალებულს **“სულთათანა”** უნდა უგალობო და არა **“მრავალჟამიერი”**. ესენი კი ისეთ **“სუფრულს”** დასჩხავიან საქართველოს გარდაცვლილ ეკონომიკას, რომ გამარჯვებული მტრის ყიჟინა უფრო მგონია, ვიდრე გულმოკლული ჭირისუფლის მოთქმა!


**როლანდ ჯალაღანია,**
**“ფაზისი”-ს და “აია”-ს აკადემიების ნამდვილი წევრი**




# რეპორტაჟი გერმანიის საელჩოდან – ვემათხოვრებით ერთ ბეჭედზე და მერე თავიდან უნდა გადაიხადო ის 35 ან 60 ევრო?!



**„მიდით ზოგიერთ უცხოურ საელჩოში, თბილისის ცენტრში, ვიზის ასაღებად და ნახეთ, როგორ ეპყრობიან იქ მისულ მოქალაქეებს... და რატომ ეპყრობა, იცით, ასე? – იმიტომ, რომ ჰგონია, რომ ის არის უფროსი და შენ მისგან რაღაც გინდა. ე.ი. მას აქვს უფლება დაგამციროს, ზემოდან ქვემოთ დაგხედოს, გაცდევინოს, გალუღლუღოს რაღაც, გახვეწნინოს და ამით დიდი სიამოვნება მიიღოს,"** – ეს მცირე ამონარიდია პრეზიდენტ სააკაშვილის იმ გამოსვლიდან, რომელმაც საზოგადოებაში სკანდალი გამოიწვია. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რა ხდება საელჩოებთან და ამ მიზნით რამდენიმე მათგანთან თავმოყრილ ადამიანებს ესაუბრნენ. ჟურნალისტები პირველად გერმანიის საელჩოს ესტუმრნენ, რომელიც, როგორც ამბობენ, ყველაზე მოწესრიგებული საელჩოა საქართველოში.

ტურისტულ სააგენტოში ჟურნალისტებს უთხრეს, რომ თუ გერმანიაში ჩასვლა საქმისთვის გვინდა, იქაური ბიზნესპარტნიორის მოწვევა აუცილებლად უნდა გქონდეთო. ყველაზე მკაცრად ტურისტული ვიზები მოწმდება. ტურისტად გამგზავრების სურვილის შემთხვევაში, კონსულს უნდა წარუდგინოთ წასასვლელი და უკან დასაბრუნებელი ბილეთი, დაზღვევა და სასტუმროს ნომრის ჯავშანის დამადასტურებელი საბუთი... ამ ყველაფრის მოსამზადებლად, ტურისტული სააგენტოს თანხის ჩათვლით, 1.100-1.245 ევრომდე დაგჭირდებათ.

საელჩოებში, უმეტესად, **„კილომეტრიანი" რიგია და გამონაკლისი არც გერმანიის საელჩო გახლავთ..."** მით უმეტეს, აქ მხოლოდ გერმანიის კი არა, ე.წ. შენგენის ქვეყნების ვიზებსაც გასცემენ. დაცვის თანამშრომელმა დანახვისთანავე იქვე, დიდ სტენდზე მიმითითა, სადაც ჩამოთვლილია საბუთები, რაც კონკრეტული ვიზისთვისაა აუცილებელი. აქვე შეგიძლიათ აიღოთ კონკრეტული საინფორმაციო ფურცელი და აპლიკაციის ფორმა. გერმანიის საელჩოსთან რიგი, ძირითადად, 3-4 საათამდეა. ამ პერიოდში ხდება პასპორტების გაცემა. გერმანიის საკონსულოსთან 2:40 საათზე მივედი. რიგი დავიკავე. ჩემს წინ 25-მდე ადამიანია. ზოგი სააპლიკაციო ფორმის გასატანადაა მოსული, ზოგს ვიზისთვის საჭირო საბუთების შესახებ ინფორმაცია აინტერესებს, ზოგიც უკვე ბეჭედჩარტყმულ პასპორტს ელოდება. ძირითადად, გერმანიაში გამგზავრების მსურველები არიან. უმეტესობა ახალგაზრდაა და **„ოპერის"** პროგრამისთვის ითხოვს აპლიკაციის ფორმასა და საინფორმაციო ფურცელს. რიგში მდგომი ადამიანები ღელავენ, ვაი თუ, ვიზა არ ჩაგვირტყან და გეგმები ჩაგვეშალოსო.

– კონსულთან გასაუბრება უკვე გავიარე. შუბლშეკრული მიყურებდა, არც კი გაუღიმია. არ ვიცი, რა იქნება. ვიზა რომ არ ჩამირტყან, რა მეშველება? ამხელა ვალი როგორ უნდა დავფარო?! – ეუბნება ერთი ქალბატონი მეორეს.

– ისე, ამ უცხოელებისას რას გაიგებ, უმეტესობას არამეტყველი **„სიფათი"** აქვს. ნუ გეშინია, კონსულის გამომეტყველებაზე ნუ ინერვიულებ, – დაამშვიდა ქალბატონმა.

– რა ვიცი, ნაირა, აბა, როგორ არ ვინერვიულო? გასაუბრებაზე რომ ვიყავი, ჩემ წინ ანგელოზივით გოგოს გადმოუყარა საბუთები, ენა არ იცი და რა გინდა გერმანიაშიო. არადა, ის გოგო გერმანულად ლაპარაკობდა.

– გააჩნია, რა მიზნით მიდიოდა იქ. თუ სასწავლებლად მიდიხარ, მაშინაა საჭირო ენის ცოდნა, – დაამშვიდა ქალბატონი გვერდით მდგომმა მამაკაცმა.

– სანერვიულოა, აბა, რა. ამხელა ფულის გადახდა გვიწევს. ვემათხოვრებით ერთ ბეჭედზე და იმასაც რომ არ ჩაგირტყამს, საქმეა? თან არც გიხსნის, რატომ არ გიშვებს. მერე თავიდან უნდა გადაიხადო ის 35 ან 60 ევრო. მე მაგალითად, უკვე მეოთხედ მოვედი ვიზის მისაღებად და იქნებ, დღეს მაინც გამიმართლოს,

– საუბარში ახალგაზრდა ქალბატონი ჩაერთო.

– მაინც რატომ არ გაგიშვეს გერმანიაში? – ჩავეკითხე მე.

– არ ვიცი. ყველა საბუთი მივიტანე, მაგრამ უარის მიზეზი მაინც არ მითხრეს.

– მე კი, პასპორტს ველოდები. ვიზა უკვე გამზადებულია, – ამაყად ამბობს ჩემ წინ მდგომი, დაახლოებით, 40 წლის ქალბატონი.

– რა იცით რომ გიშვებენ?

– ჩემმა საქმრომ დამირეკა გერმანიიდან და მახარა.

– იქაური საქმროს პოვნა როგორ მოახერხეთ, იქ ცხოვრობდით? – დაინტერესდა საშუალო ასაკის ქალბატონი. თუმცა, პასუხი ვერ მიიღო, რადგან გერმანელების ქართველმა სარძლომ, მხოლოდ ჩაიღიმა.

– ზოგს რა ბედი აქვს?! – აშკარად შური ვერ დამალა უპასუხოდ დარჩენილმა ქალმა. უცებ ასაკოვან ქალბატონს მოვკარი თვალი. ხელში პასპორტი ეჭირა და დაღვრემილი სახე ჰქონდა. ცოტა ხანს კიბეზე იდგა. მერე უკან შებრუნება მოინდომა, მაგრამ საკონსულოს თანამშრომელი გამოვიდა და აუხსნა, თქვენ ვიზას ვადა აქვს გასული და ამიტომ გითხრეს უარიო. უკმაყოფილო ქალმა გადაშლილ პასპორტს ჯერ ცოტა ხანს უყურა, მერე ცრემლი მოერია და პასპორტი ჩანთაში ჩაიდო. მას გამოველაპარაკე.

– მითხრეს, ვიზას ვადა აქვს გასულიო. არადა, იქ არ ედოთ?! გასაუბრებაზევე ეთქვათ. შვილთან მინდოდა წასვლა გერმანიაში. მენატრება ძალიან. არა უშავს, კიდევ გამომიგზავნის ჩემი გოგო ვიზას.

– ავტოტურზე ხომ არავინ დგას? – იკითხა ახალგაზრდა მამაკაცმა.

– მე ველოდები პასპორტს, – უპასუხა ახალგაზრდა მამაკაცმა.

– პირველად მიდიხარ?

– არა, ყოველ ორ თვეში ერთხელ დავდივარ.

– ვიზას ადვილად გაძლევენ?

– კი. ავტოტურის ხალხს უპრობლემოდ გვიშვებენ. არ ეშინიათ რომ დავრჩებით. ერთხელ, ორჯერ და სამჯერ რომ დაბრუნდები, მერე გენდობიან. უბრალოდ, ცუდი ისაა, რომ ჩვენ საბანკო ანგარიშზე 8.000 ევრო უნდა გვქონდეს და ამის დამადასტურებელი საბუთი აუცილებლად უნდა წარვადგინოთ.

– 8.000 ევრო საიდან უნდა მოვიტანო? ამხელა ფული რომ მქონდეს, სხვა რამეს გავაკეთებდი. იქ იმიტომ მინდა წასვლა, რომ უმუშევარი ვარ. ვიფიქრე, მანქანებით მაინც ვივაჭრებ-თქო.

– ვინც ავტოტურზე **„ვჩალიჩობთ"**, ერთმანეთისგან ვსესხულობთ ფულს. თანხმობას რომ გვეტყვიან, მერე ვუბრუნებთ ვალს და სხვას შეაქვს ბანკში.

ამასობაში შუადღე გადავიდა და 4 საათი გახდა. რიგი და ნერვიულობაც დამთავრდა. ხვალ აქ სხვა ადამიანები ჩადგებიან რიგში და ინერვიულებენ. მათგან კი, რომელს გაუმართლებს და რამდენი გაემგზავრება საზღვარგარეთ, იღბალზეა დამოკიდებული – აკი, ხშირად ხუმრობენ, კონსულთან გასაუბრება ლატარიას ჰგავს, ან გაგიმართლებს ან – არა.

**ნ. ხარშილაძე**

**გაზეთ "ილორის" კომენტარი** – ძალიან ხშირად გაიგონებ უცხოეთიდან ჩამოსული ან უცხოეთში წასვლის მსურველი ადამიანებისაგან – ქართველები ხალხად არ მივაჩნივართ, საქართველო კი სახელმწიფოდ, გულიანად ხარხარებენ სააკაშვილის არაადექვატურ ქმედებებზე, როგორც წესი, აბუჩად გვიგდებენ, ვიზის მოცემაზე უარის თქმის მიზეზს არ განგვიმარტავენ, როგორც სურთ, ისე გვეპყრობიან, მათთვის ღირსეული პასუხის გამცემი კი არავინ ჩანს, რადგან ჩვენს ხელისუფლებასაც არ მივაჩნივართ ადამიანებადო. ვიზისათვის გადახდილ ფულს აღარავინ გვიბრუნებს, მაგრამ ფინანსურ ზარალზე მეტად ის მორალური ზარალი გვიფორიაქებს სულს, რომელსაც ამ უსულგულო ჩინოვნიკებთან კონტაქტისას გვადგებაო. განსაკუთრებულ გულისწყრომას კი ყოველთვის სწორედ გერმანიის საკონსულოს მუშაკთა საქციელი იქცევს, რომლებიც აშკარად გამოირჩევიან ცინიზმითა და საქართველოს მოქალაქეებისადმი აგდებული დამოკიდებულებებით.

მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ გერმანიის საკონსულოში კონსულის მოადგილედ დაინიშნა გერმანიის მოქალაქე, ეთნიკური თურქი, ვიღაც უფუყ დოღანაი. მაშინ, მე და ჩემი მეგობარი, ცნობილი გერმანისტი დავით ქობალია მივედით გერმანიის ელჩთან და ავუხსენით, რომ თურქებისა და ქართველების ისტორიული ურთიერთობები არასოდეს გამოირჩეოდა დიდი ადამიანური სითბოთი და ურთიერთსიყვარულით და რომ ამ თანამდებობაზე ეთნიკური თურქის დანიშვნა (იმის გათვალისწინებით, რომ საკონსულოების **"შეუვალი"** პოზიცია ისედაც ხდება ხოლმე ადამიანების გაღიზიანების მიზეზი) დიდ ვერაფერს შესძენდა ქართულ-გერმანულ ურთიერთობებს. ყოველივე ამაზე გერმანიის ელჩმა **"გულმოწყალედ"** აგვიხსნა, რომ დოღანაი გერმანიის მოქალაქეა და აბსოლუტურად იზიარებს ჩვენი სახელმწიფოს მრწამსს და მის კონსულის მოადგილედ დანიშვნაში მიუღებელს ვერაფერს ხედავდა.

ცოტა ხანში შობის ბრწყინვალე დღესასწაული ახლოვდებოდა და მე და დავითმა მოსალოცი დეპეშა გავუგზავნეთ **"გერმანიის მრწამსის გამზიარებელ და ამ ქვეყნის მოქალაქე"** თურქ უფუყ დოღანაის, რაც, როგორც ჩანს, მან დაცინვად მიიღო და ელჩთან იჩივლა. მაგრამ, ელჩმა არგუმენტი ვერ გამონახა საიმისოდ, რომ ჩვენთვის თუნდაც მსუბუქი საყვედური ეთქვა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ქალბატონმა მაინც გაიზიარა ჩვენი სიტყვების ჭეშმარიტება და უფუყ დოღანაი მალე ჩამოაშორეს საქართველოს, მაგრამ, ამით, გერმანიაში გამგზავრების მსურველთა მწარე ხვედრი ოდნავადაც არ გამოკეთებულა, რადგან ყოველივე ამის მიზეზი არა მხოლოდ უცხო ქვეყნის საკონსულოს თანამშრომლების სუბიექტური კაპრიზებია, არამედ, ნაციონალთა ენით რომ ვთქვათ – **"ჩვენი დიდი მეგობარი"** გერმანიის სახელმწიფო პოლიტიკა, რათა ისედაც გადატვირთულ-გადაჯიშებულ გერმანიაში არ შეუშვან ქართველები, რადგან, თურმე, სწორედ მათი წყალობით მწვავდება ევროპის ქვეყნებში კრიმიოგენური ვითარება.

**რ. შალამბერიძე**

# გაზეთ „ივერიას" გამოცემიდან 135 წელი გავიდა

გაზეთ **„ივერიას"** პირველი ნომრის გამოცემიდან 135 წლის იუბილეს სრულიად საქართველოს მწიგნობარი საზოგადოება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი გაზეთის უძველესი ნომრებისა და გამოცემასთან დაკავშირებული ისტორიული დოკუმენტების მიმოხილვას უძღვნის. ამის შესახებ ქართველ ჟურნალისტებსა და საინფორმაციო სააგენტოებს ეროვნული არქივის პრესსამსახურიდან აცნობეს.

გაზეთი **„ივერია"** ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა იყო, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1877 წლიდან ყოველკვირეულ გაზეთად, 1879-1885 წლებში – ჟურნალის სახით, 1886 წლიდან კი ისევ გაზეთად, უკვე ყოველდღიურად. გაზეთის გამოცემის ძირითადი სტიმული გახლდათ განათლების მასიური სურვილი საქართველოში, სადაც მოსახლეობაში წერა-კითხვის მასიურად გავრცელების საქმეს შესაშური მონდომებით ემსახურებოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, იპოლიტე ვართაგავა, იაკობ ნიკოლაძე, დავით სარაჯიშვილი, ესტატე ჭაჭია, დანიელ ქინქლაძე, და სხვა ღირსეული ქართველი მამულიშვილები.

გაზეთის აკურატულად აკინძულ ნომრებთან ერთად, ეროვნულ არქივში სათუთად დაცულია გამოცემის დაფუძნებასთან დაკავშირებული სააქციდენციო დოკუმენტები, ინფორმაცია გაზეთის პოლიტიკური, იდეური და ლიტერატურული მიმართულებებისა და სარედაქციო ცვლილებების შესახებ და სხვ.

გამოცემის დამაარსებელი, გამომცემელი და რედაქტორი დიდი ილია ჭავჭავაძე გახლდათ. 1881 წელს გაზეთების **„დროების"** და **„ივერიის"** რედაქციების გაერთიანებისას მისი ერთ-ერთი თანარედაქტორი იყო სერგეი მესხი. 1882-1884 წლებში გაზეთ **„ივერიას"** რედაქტორობდა ივანე მაჩაბელი. 1901-1903 წლებში ამ ფუნქციას ასრულებდა ალექსანდრე სარაჯიშვილი, 1903-1905 წლებში – გრიგოლ ყიფშიძე, შემდეგ კი, გაზეთის დახურვამდე – 1906 წლის 27 აგვისტომდე – მას რედაქტორობდა ცნობილი ქართველი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწე ფილიპე გოგიჩაიშვილი.

ეს გახლდათ პირველი გაზეთი საქართველოში, რომელსაც აქამდე პერიოდული გამოცემის გაძღოლის არავითარი პრაქტიკა არ გააჩნდა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ გაზეთი ფრიად საინტერესო გახლდათ და ტოლს არ უდებდა სხვა ევროპულ გამოცემებს, რომელთაც საგაზეთო საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნდათ.

გაზეთი **„ივერია"** ჟანრობრივად და თემატურად უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანი იყო, რაც განსაზღვრა ქართველი ხალხის ეროვნულმა, სოციალ-ეკონომიკურმა და კულტურულმა ვითარებამ და რედაქტორისა და მისი თანამშრომლების განმანათლებელმა იდეებმა. გაზეთი ვრცლად აშუქებდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, სოციოლოგიის, პოლიტიკის საკითხებს და სხვა. ილია ჭავჭავაძემ დანერგა პუბლიცისტური ჟანრი **"შინაური მიმოხილვა"**, რომელიც ვრცლად და ფართოდ ასახავდა ხალხისა და ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების მთავარ და საარსებო პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს. ასევე, დიდი ადგილი ეთმობოდა ზოგადი სახალხო განათლების საკითხებს, სკოლას, მასწავლებლებს, მთავრობის პოლიტიკას განათლების დარგში და აღზრდის სისტემას.

გაზეთმა **„ივერიამ"** განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული მწერლობის შემდგომი განვითარების საქმეში. გამოცემასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, დანიელ ჭონქაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, დავით სარაჯიშვილი, ნიკო ლომოური, ნიკო ნიკოლაძე, ეკატერინე გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, სტეფანე ჭრელაშვილი, და სხვა.

გაზეთის სპეციალური კორესპონდენტები იყვნენ: ალექსანდრე ყიფშიძე, ალექსანდრე ნანეიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, იაკობ მანსვეტაშვილი, ალექსანდრე ჯორჯიკია და სხვები.



ივერია

1877—1887

ბალი

იჯარადარი

# სკანდალი: ვის მოჰპარა „ლაზიკა“ საქართველოს მთავრობამ!..



*„ამ საქმეში უკვე ისეთი პირები არიან ჩართული, ქვა ქვაზე არ დარჩება!“*

*„საქართველოს მთავრობამ ეკლესიების ნაცვლად კაზინოების აშენება შემომთავაზა“*

**ამერიკელი ბიზნესმენი საქართველოს ხელისუფლებას პროექტ „ლაზიკას“ მითვისებაში ადანაშაულებს**

**ენდრიუ მურდზა:“ვერ ვიჯერებ, რომ იდეა პრეზიდენტმა მოგვპარა, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ცრუ და მდაბალი ხელისუფლება მართავდა ქვეყანას“**

**„თქვენმა მთავრობამ ჩემი სახით დიდი მტერი შეიძინა. მანამდე ვიბრძოლებ, სანამ არ გავიმარჯვებ. ამ დამცირებას არ ჩავყლაპავ...“**

**„ის ხალხი, ვინც ჩემი შვილის გატაცებაში მონაწილეობდა, დღეს საქართველოს ხელისუფლებაშია“**

**„ეს პროექტი 11 მილიონი დამიჯდა და ამათ უცერემონიოდ მოიპარეს“**

როგორც ჩანს, ახალი სკანდალი მწიფდება ამერიკელ მილიონერ ენდრიუ მურდზას, ქართველ ემიგრანტ დავით კარტოზიასა და საქართველოს ხელისუფლებას შორის. ამერიკელი ბიზნესმენი საქართველოს ხელისუფლებას პროექტ **„ლაზიკას“** მითვისებაში ადანაშაულებს. გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს **„ლაზიკას“** პროექტის ავტორებთან, დავით კარტოზიასა და ენდრიუ მურდზასთან, რომლებსაც **„სკაიპით“** დავუკავშირდით.

**ენდრიუ მურდზა**: „დავითსა და მის ოჯახს კარგად ვიცნობ. მას შემდეგ, რაც დავინახე, როგორი ამბიციური (საუკეთესო გაგებით) ადამიანია, ვუთხარი, სამშობლოში დაბრუნებასა და საკუთარი ხალხის დახმარებას არაფერი ჯობს-მეთქი. ასე დავიწყეთ ფიქრი, რა შეგვეძლო გაგვეკეთებინა საქართველოსთვის. გადავწყვიტეთ, ხამანწკები გამოგვეყვანა – შავ ზღვას საჭირო მარილიანობა აქვს ხამანწკების მოსაშენებლად. მასზე მსოფლიო ბაზარზე უდიდესი მოთხოვნაა. ხამანწკების საკონსერვო წარმოება და ექსპორტი ქვეყანას დიდ ფულს მოუტანდა. ჩვენი პროექტი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისა და მისი მსოფლიო ბაზარზე გატანის გარდა, დევნილი მოსახლეობის დასაქმებასაც ითვალისწინებდა. თითოეული დევნილისთვის უფასო ბინა და კულტურული გარემო იყო გათვალისწინებული, რომელიც მზის ენერგიის ბატარეებით იქნებოდა აღჭურვილი. დევნილები ამ ახალი წამოწყების მეწილეებიც გახდებოდნენ, მათი საშუალო ხელფასი კი 500-600 დოლარი უნდა ყოფილიყო. დავითს სიცოცხლეზე მეტად უყვარს თავისი ქვეყანა, მე კი – ჩემი საქმე. პროექტზე მუშაობა 7 წლის წინ დავიწყეთ. 32 კაცი 7 წლის განმავლობაში დღე-ღამეს ასწორებდა.

დაახლოებით 11 მილიონი დოლარი დაიხარჯა. თქვენმა მთავრობამ კი ის მოგვპარა. **„ლაზიკა“** უნდა გაშენებულიყო ჭაობზე, რომელიც კი არ განადგურდებოდა, არამედ სიკეთეს მოიტანდა – ჭაობიანი ადგილი, თუკი განვითარდება, ბუნების ნატურალური ფილტრია. ახლა თქვენი მთავრობა ჭაობების დაშრობას აპირებს. ვინც ამას აპირებს, ალბათ, არც ფიზიკა იცის, არც ქიმია და არც ბიოლოგია. ჭაობებს სპეციალური, ე. წ. რამსაარის კონვენცია იცავს, ხოლო მათი ამოშრობა იმას ნიშნავს, რომ შავი ზღვა თითქმის მთელ კოლხეთის დაბლობს მიიტაცებს! ვერ ვიჯერებ, რომ იდეა პრეზიდენტმა მოგვპარა, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ცრუ და მდაბალი ხელისუფლება მართავდა ქვეყანას“.

**დავით კარტოზია: „ჩვენი პროექტით საქართველოს საელჩოში მივედით. მოგვისმინეს, დაგვისვეს კითხვები. 2010 წლის 16 დეკემბერს ჩემს სახლში შევხვდით აშშ-ში საქართველოს ელჩს, ბათუ ქუთელიას. შეგვპირდა, რომ მსოფლიო ბანკთან გვიშუამდგომლებდნენ. პროექტი ნიკოლოზ რევაზიშვილს გადასცეს, დაუყოვნებლივ მსოფლიო ბანკში წარსადგენად. 4 თვის ლოდინის შემდეგ მოვიკითხეთ და აღმოჩნდა, რომ მსოფლიო ბანკში არავინ არაფერი იცოდა“.**

**ენდრიუ მურდზა: „ისეთი სიმდაბლე, რაც თქვენმა მთავრობამ ჩაიდინა, ძნელად წარმოსადგენია. 77 წლის კაცი ვარ, პრეზიდენტ ეიზენჰაუერისაგან ჯილდო მაქვს მიღებული. კაცის სიტყვას ფასი უნდა ჰქონდეს. თქვენმა მთავრობამ არ იცის სიტყვის ფასი და ჩემი სახით დიდი მტერი შეიძინეს. მანამდე ვიბრძოლებ, სანამ არ გავიმარჯვებ. უდედმამოდ გავიზარდე. ფეხი არ მქონდა ადგმული, მშობლები რომ დამეღუპნენ. გეტოდან გამოსულმა ბიჭმა ბევრი რამ შევძელი, – ავაშენე ქარხანა მერილენდში, ქარხნები გავხსენი ფლორიდაში. ბევრი ქვეყნის მთავრობასთან მქონია საქმე, მაგრამ ასეთი შეურაცხყოფა არავის მოუყენებია. ამ დამცირებას არ ჩავყლაპავ. ჩვენი მიზანი არ არის ჯიბის გასქელება. მართლმადიდებლები ვართ და გვჯერა კაცობრიობის მომავლისა“.**

**დავით კარტოზია**: – ჩვენს პროექტში ეკლესიების აშენებაც გვქონდა გათვალისწინებული. თუმცა, საქართველოს მთავრობის პოზიცია გამაოგნებელი იყო, არავითარი ეკლესიებიო(!).

– დაასახელეთ მათი გვარები.

– თემურ იაკობაშვილთან ვიყავით შეხვედრაზე. ჩემ გარდა, ამ შეხვედრას კიდევ სამი ამერიკელი და დავით რაქვიაშვილიც ესწრებოდნენ. ოფიციალური პირი ასე როგორ უნდა მოიქცე, როგორც იმ შეხვედრაზე იაკობაშვილი მოიქცა, – ხელები ხან ცხვირში ჰქონდა შელაგებული, ხან პირში. გვითხრა, გორთან ახლა პატარა ქალაქის მშენებლობა როგორ შეიძლებაო? (ალბათ გორი და ფოთი აერია ერთმანეთში). გამიკვირდა, ამერიკელებმა კარგად იციან საქართველოს გეოგრაფია. იაკობაშვილისაგან განსხვავებით ისიც იციან, რომ გორში პალიასტომის ტბა არ არის. სიტყვის სხვა საკითხზე გადატანა ვცადე, ყველაფერი კარგად იქნება, ღმერთი დაგვიფარავს, ეკლესიებს ავაშენებთ ამ ქალაქში და ღვთის შეწევნით ყველაფერს გავუმკლავდებით-მეთქი. უცბად იაკობაშვილმა მითხრა, ოღონდ ეკლესიები არ ახსენოთ და ჩვენი მთავრობა ყველაფერზე თანახმა იქნებაო და კაზინოს აშენება შემომთავაზეს.

– სასამართლოს არ მიმართავთ?

– საქართველოს ხელისუფლებას ყველაფერს ვაზღვევინებთ. გავლენიანი მეგობრები გვყავს ამერიკის მთავრობაში, ხუთი სენატორი უკვე ჩართულია ამ საქმეში.

16-17 ივნისს შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი სენატორებსა და კონგრესმენებთან. ამ საქმეს აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე. რაც ეს ამბავი გავახმაურეთ, მესიჯების გამოგზავნა დამიწყეს, როგორ არ გრცხვენია, ასეთ რამეებს რომ აკეთებო (თითქოს მე მოვიპარე პროექტი), ორი დღის წინ კი მუქარის კასკადი დაიწყო, არ იცი, რა შარში გაყავი თავი, ფრთხილად იყავი, რატომ არ გეშინია, საქართველოში დარჩენილ ნათესავებზე რატომ არ ფიქრობო. მახსენებენ, რომ საქართველოში მყავს დედა, ძმა, მამიდა.

თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა ვუთხრა მათ, არ მეშინია! არ მეცოდება არც ჩემი შვილი, არც სხვისი, არც საკუთარი თავი, რადგან თუ დღეს შიში დაგვეუფლა, განწირული ვართ, – არ გვექნება ჩვენი მიწა, არ გვექნება სული, დავკარგავთ ღმერთს. ვერ შემაშინებთ, მაგრამ გაფრთხილებთ, თქვენს თითოეულ მცდარ ნაბიჯს ათი ათასად გაზღვევინებთ!

11 წლის წინ ჩემი შვილი გიორგი გაიტაცეს. გამტაცებლები დაიჭირეს. ეს ხალხი სასჯელს იხდის, მაგრამ მე მაშინ დიდი შეცდომა დავუშვი, – ქართველებს ხელი დავაფარე. დაიჭირეს მხოლოდ ის ამერიკელები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ჩემი შვილის გატაცებაში.

– ვინ არიან ისინი?

– ის ხალხი, ვინც ჩემი შვილის გატაცებაში მონაწილეობდა, დღეს საქართველოს ხელისუფლებაშია. საქართველოს ბოროტმოქმედების ბანდა მართავს. ფულის გათეთრებისთვის არაფერს ერიდებიან. უამრავი ფაქტი ვიცი, დაწყებული ომით და დამთავრებული **„ლაზიკის“** მშენებლობით. როცა ასე აოხრებ საკუთარ მიწა-წყალს და ამწარებ ხალხს, მოღალატე ხარ!

– დაგვისახელეთ ფულის გათეთრების მაგალითები.

– მაგალითად, თელავის წყალდიდობა. სინოპტიკოსებმა წინასწარ განსაზღვრეს სტიქიური უბედურების მოახლოება. ხელისუფლებაში მოკალათებულებმა უცბად შეთითხნეს ყალბი ხარჯთაღრიცხვები, ვითომ რაღაც-რაღაცები იყო აშენებული. სინოპტიკოსების პროგნოზი გამართლდა და ყველაფერი ჩამოიწერა, ასე ვთქვათ, **„წყალმა წაიღო“** საქართველოს ხელისუფლების შავბნელი საქმეები. კიდევ ბევრი რამ ვიცი და მე დავანახებ საქართველოს ხელისუფლების ნამდვილ სახეს მთელ ამერიკას. ახლა **„ლაზიკას“** ამბავი არ გაინტერესებთ?ააშენებენ რაღაცას, თანაც ისეთ ადგილას, სადაც მშენებლობა დაუშვებელია. ასეთ ადგილებში იმიტომ იწყებენ მშენებლობებს, რომ კარგად იციან, ეს შენობები განწირულია გასანადგურებლად. ვითომ გზებს გაიყვანენ, ვითომ შენობებს ააშენებენ, მერე უცბად წყალი ან მეწყერი მოვარდება და ჩამოწერს ყველაფერს, ისე როგორც აგვისტოს ომმა ჩამოწერა საქართველოს ხელისუფლების ცოდვები. მილიონებზე რომ იყოს საქმე, არ იქნებოდა ასეთი მძიმე სურათი. ლაპარაკია მილიარდებზე.

**ენდრიუ მურდზა: „მსოფლიომ უნდა გაიგოს, ვინ მართავს საქართველოს და გპირდებით, ასეც იქნება. არ შეიძლება ეს გაუგებარი დარჩეს იმ ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც საქართველოს მთავრობას „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებენ“.**

**დავით კარტოზია: „საქართველოს დემოკრატიის შუქურობისა აღარავის სჯერა, მაგრამ ესენი დიდ ფულს იხდიან, რომ „დემოკრატიის შუქურა“ უძახონ.**

**გპირდებით, ვინც ახლა სააკაშვილის ხელისუფლებას შუქურად ასაღებს, თავად ილაპარაკებს საქართველოს ხელისუფლების ნამდვილ სახეზე.**

**დამიჯერეთ, ამ საქმეში დღეს ისეთი პირები არიან ჩარეული, ქვა ქვაზე არ დარჩება! ჩვენ მთელ მსოფლიოს დავანახებთ, ვინ არის საქართველოს ხელისუფლება!”**

**ხ. პაიჭაძე**

# ღია წერილი მიხეილ სააკაშვილს

მოგესალმებით, ბატონო პრეზიდენტო. სანამ სათქმელზე გადავიდოდე, მინდა გითხრათ, რომ დაახლოებით თქვენი ასაკის, საქართველოს უბრალო მოქალაქე ვარ. ზედმეტ პოლიტიზებასაც ვერავინ დამწამებს. როგორც ასეთ დროს ამბობენ ხოლმე, ჩემს საქმეს ვაკეთებ და ეს უკანასკნელიც ძალიან შორს დგას პოლიტიკისგან.

მეც, თქვენს მსგავსად **„ცხოველების ფერმაში“** დავიბადე და გავიზარდე. დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ თქვენც ისევე გსურდათ ჩვენი ფერმის გაუმჯობესება, როგორც მე. თუმცა, ერთია, იმ დროისთვის მე და თქვენ, ისევე, როგორც მთელ ჩვენ თაობას ამის შესაძლებლობა არ გვქონდა. მაგრამ ფერმა თავისით შეიცვალა, უფრო სწორად, ჩვენი, საკუთარი ფერმის აშენებას შევუდექით, თუმცა...

ბატონო პრეზიდენტო, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ, როგორც ადრე, მაშინაც თქვენც, ჩემს მსგავსად, გსურდათ ფერმის გაუმჯობესება და მაშინდელი დროისგან განსხვავებით ჩვენ თაობას ახლა ამის შესაძლებლობაც ჰქონდა. და მეც გამოვედი, თქვენს გვერდით დავდექი და უკეთესი მომავლის იმედით არაერთი დღე გავატარე **„წვიმაში და ქარში“**, არაერთხელ მეც ავყევი ჩემს გვერდით მდგომ ადამიანებს **„მიშა, მიშას!“** ძახილში.

მოკლედ, მე მაშინ თქვენს გვერდში დავდექი, რადგან მჯეროდა, რომ ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი საშუალება ახალგაზრდა, წარმატებული და ჭკვიანი ადამიანების ხელისუფლებაში მოსვლა იყო. ისეთი ადამიანების, რომელთაც ისევე სძულდათ ძველი, დაობებული სისტემა, როგორც თითოეულ, არაანგაჟირებულ მოქალაქეს და ჩვენ წარმატებას მივაღწიეთ, ყოველ შემთხვევაში, მაშინ.

რევოლუციის შემდეგ, რატომღაც გადავწყვიტე, რომ ჩემზე დაკისრებული მისია შევასრულე, ჩემი პატარა, უმნიშვნელო წვლილი შევიტანე ჩემივე ქვეყნის უკეთესი მომავლის საქმეში და ჩემი საქმის კეთება გავაგრძელე, რომელიც, აკი მოგახსენეთ, ძალიან შორს დგას პოლიტიკისგან.

პირველ წლებში თქვენ მართლაც გაამართლეთ პირადად ჩემი იმედები. მეც გამიჩნდა რწმენა, რომ ქვეყანა სწორ გზას დაადგა და მე თუ არა, ჩემი შვილები მაინც ცხოვრების დიდ ნაწილს წესიერ ქვეყანაში იცხოვრებდნენ.

მჯეროდა, რომ შანსი, რომელიც ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის მოპოვებით მიეცა, თანდათან რეალიზდებოდა და სულ ცოტა ხანში, ჩემს ქვეყანაში თანასწორი და თავისუფალი ადამიანებისგან შემდგარი საზოგადოება ჩამოყალიბდებოდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ვცდებოდი მეც და მოსახლეობის დიდი ნაწილიც.

ბატონო პრეზიდენტო, სამწუხაროდ, ჩვენ აღარ მივდივართ სწორი გზით. სულ უფრო აქტიურად მეუფლება გრძნობა, რომ ისევ იქ, იმ ფერმაში ვბრუნდებით, საიდან გამოქცევაც ჩვენი თაობის ოცნება იყო, მათ შორის, თქვენი.

ჩვენს ქვეყანაში კვლავ არსებობს **„ვრემია“**, რომელიც ასე გვძულდა; ჩვენს ქვეყანაში კვლავ არსებობენ ადამიანები, რომელთაც ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების გამჟღავნება უბრალოდ ეშინიათ; ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების კრიტიკის გამო ადამიანებს სამსახურიდან ათავისუფლებენ, თუმცა, გმადლობთ, ბატონო პრეზიდენტო, რომ მხოლოდ ამით იფარგლებიან და არ ხვრეტენ;

ჩვენს ქვეყანაში სტუდენტები სწავლის გადასახადის გაზრდას არ აპროტესტებენ და ძალიან შეცდებით, თუ იფიქრებთ, რომ შინაგანი პროტესტი არ აქვთ; ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდები აპოლიტიკურები არიან; ჩვენს ქვეყანაში კვლავ არ არსებობს **„სამართალი ყველასთვის“** და ჩვენ კვლავ გვყავს ადამიანები, რომლებიც ციხეში მხოლოდ **„ვიღაცის“** სურვილის გამო არიან; ჩვენს ქვეყანაში კვლავ ვერ დაიწყებ ბიზნესს **„კრიშის“** გარეშე და ასევე **„კრიშის“** არყოლის შემთხვევაში სრულიად მარტივად არის შესაძლებელი უკვე გახსნილის დახურვა, ყველა კანონის დარღვევით; ჩვენს ქვეყანაში პოლიციის შენობაში კვლავ კლავენ ადამიანებს და ამისთვის არავინ ისჯება...

ბატონო პრეზიდენტო, **„თანასწორობის იდეა“**, რომლითაც თქვენ ასე ხშირად აპელირებთ, ან მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად (თუმცა, ყველამ ყველაფერი ისედაც იცის), ან თქვენ თავად ხართ შეცდომაში შეყვანილი, რადგან ჩვენს ქვეყანაში **„ზოგიერთი უფრო თანასწორია“** და ეს **„ზოგიერთი“** თქვენ და თქვენი მთავრობის წევრები და მათთან დაახლოებული ადამიანები არიან. სწორედ ამიტომ არის მტკნარი სიცრუე თქვენი ყოველი მტკიცება **„თანასწორობის“** თაობაზე, სახელისუფლებო კორუფციაზე რომ არაფერი ვთქვათ..

მოკლედ, ცვლილებების დრო მოვიდა, ბატონო პრეზიდენტო, ცვლილებების, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, თქვენც ისევე გჭირდებათ, როგორც მთლიანად ქვეყანას, რადგან 2003 წლის ნოემბრის კრიტიკულ ზღვარს ვუახლოვდებით და, არავინ შეგიყვანოთ შეცდომაში, თქვენც ისევე გამოგიჩნდებათ თქვენივე **„ნარჩემაშვილი“** და **„ივანოვის მისიას“** ამჯერად აშშ დააკისრებს განსხვავებული გვარისა და სახელის ადამიანს.

**ყოფილი “ნაცი”, ამჟამად კაცი!**



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

**"მაგრამ იყვნენ კი საყვარელი ქალები?"** – შეიძლება შეკითხვა დასვას მკითხველმა. საქმეც ის გახლავთ, რომ ქალები არ ყოფილა. და რომ ამ თემას არ დავუბრუნდეთ, მე ახლავე ავხსნი ზოგიერთ რამეს, ვიდრე **"ბერიას საგამოძიებო საქმის"** განხილვაზე გადავალთ.

იგივე სუხომლინოვი გვაუწყებს, რომ ანტონოვ-ოვსეენკო აქვეყნებს 200 ქალი სიას, რომელიც **"სასამართლოს გადაეცა"** და იქვე ირონიულად აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ავტორი ქალთა რიცხვს შვიდასამდე (!) ზრდისო. სინამდვილეში კი, იგივე სუხომლინოვის დამოწმებით, სასამართლოში წარდგენილი იქნა მხოლოდ სარქისოვის მიერ ჩამოწერილი სია. ამიტომ, ჰაერში ეკიდება ბრალდება ბერიას მიერ **"გაუბედურებული"** სკოლის მოსწავლე გოგონების თაობაზე, რომელსაც ეს **"სექსუალური მოძალადე"** ოპერატიული მანქანიდან აკვირდებოდა და იტაცებდა. ერთი საქმეა, აწარმოო საყვარლების სია, მეორე საქმეა, აღრიცხო ძალადობის მსხვერპლნი. ამგვარ სიებს არავინ არ ადგენს, თანაც, თავისი ადიუტანტის მეშვეობით!

სარქისოვის სიაში კი არ შეიძლებოდა რომ ცხრა ქალზე მეტის გვარი ყოფილიყო შეტანილი, თავაც, ნათელი გახლდა თუ რა ფუნქციას ასრულებდნენ ეს ქალები. და ისინი კიდევაც რომ ყოფილიყვნენ, მათ ძალით გაუპატიურებაზე საუბარი სისულელეა. ოფიციალურ საბრალდებო დასკვნაში ბერიას მიაწერეს მხოლოდ ერთი ქალის – ლიალია დროზდოვას გაუპატიურების ფაქტი. ამასთან, სუხომლინოვი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს ბრალდება არ არის შეკერილი ჭუჭყიანი თეთრი ძაფით.

და რაც ყველაზე უფრო თავშესაქცევია! თავისი წიგნის 212-ე გვერდზე, სუხომლინოვი (!) თითქოსდა თავისი რძლის მართა პეშკოვას გადმოცემით, გვაუწყებს, რომ ბერიასაგან ლიალია დროზდოვას ეყოლა ქალიშვილი, მაგრამ, ამ იდუმალებით მოსილი ქალბატონისათვის პროკურორ რუდენკოს ხალხისაგან ნაკარნახევ ჩვენებაში არაფერია ნათქვამი ბერიასაგან გაჩენილ ქალიშვილზე. სუხომლინოვის წიგნის 227-ე გვერდზე კი ასევე დამოწმებულია ამ **"ლიალიას"** დედის ჩვენება, რომელიც ხელს ადებს ბერიას მისი ქალიშვილის გაუპატიურებაში, რის შედეგადაც თითქოს იგი დაორსულდა. **"მაგრამ იგი მოათავსეს კრემლის საავადმყოფოში, სადაც გაუკეთეს აბორტი"** – წერს ლიალიას დედა. უცქერ ყოველივე ამას და მწარე ფიქრი გეუფლება: **"წაიკითხა კი თავად სუხომლინოვმა საკუთარი წიგნი"**? ეს წიგნი ხომ ძალზე გამოირჩევა ამგვარი შეუსაბამობებით, მაგრამ ნათელია, რომ ავტორს ძალიან სურდა ბერიას, როგორც **"მონსტრის"** მოძალადედ წარმოჩენა, ფაქტების უკმარობას კი საკუთარი ფანტაზიით ავსებდა.

გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მოდური, უფრო ხშირად კი – კომერციულად მომგებიანი – გახდა ისტორიის ბინძური საცვლების გამოფენა. მაგრამ ტირანისა და **"მოძალადე ბერიას მსხვერპლ ქალთა"** სია რატომღაც არავის გამოუქვეყნებია... ანალოგიური პრეტენზიები გამოთქვა რამდენიმე დედაბერმა, თუმცა, მათი ასაკი 1953 წელს 25-30 წელი იქნებოდა. ასე რომ, საეჭვოა, რომ მათ შორის ყველაზე **"თავგამოდებული"** ბრალმდებელი ნინა ჩერემსკაია-ალექსეევა (მის თაობაზე მე მოგვიანებით მოგითხრობთ) ნამდვილად ნებივრობდა ლავრენტი ბერიას საწოლში.

სამაგიეროდ, ეს **"ასეულობით"** ქალბატონი, ბერიას განადგურების შემდეგ, ხშირად ფიგურირებდნენ სახელმწიფოს ოფიციალური პირების მოხსენებებში. მაგალითად, როცა 1954 წლის 6 მაისს, სსრკ გენერალურმა პროკურორმა რომან რუდენკომ, ლენინგრადის პარტიული აქტივის კრებაზე **"ამხილა"** საბჭოთა ხალხის კიდევ ერთი **"მტერი"**, სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი აბაკუმოვი, მის მოხსენებაში ლავრენტი ბერიას გვარ-სახელი უფრო ჭარბობდა, ვიდრე აბაკუმოვისა. ერთგულმა ხრუშჩოველმა ამგვარი ჭორის თქმაც კი იკადრა:

**"ბერიას დაცვის ყოფილმა უფროსმა სარქისოვმა დაპატიმრების შემდეგ ჩვენება მოგვცა: "ბერიას გახრწნის თაობაზე მე მოვახსენე აბაკუმოვს. 1948 თუ 1949 წელს მე მივედი მასთან სამუშაო კაბინეტში და განვუცხადე, რომ არ მსურდა ლავრენტის დაცვაში მუშაობა. აბაკუმოვმა მკითხა ამის მიზეზი. მე კი ვუპასუხე, რომ მსურდა სხვა თანამდებობაზე გადასვლა, იმიტომ, რომ ბერია იყო გარყვნილი პიროვნება. აბაკუმოვმა მკითხა: "ბევრი ქალი ჰყავს მას?". მე ვუპასუხე: "ასობით ქალი, ყოველ მოსახვევში, ყოველ ქუჩაზე..."**

ასე რომ, არ ყოფილა არც ასეულობით და არც ათეულობით ბერიას **"სექსუალური მსხვერპლი"** ქალი. როცა ოფიციალურ დონეზე იყენებენ ასეთ გამაუბრალოებელ ფრაზას: **"ყოველ ქუჩაზე, ყოველ მოსახვევში..."**, მე თავს უფლებას ვაძლევ განვაცხადო, რომ **"არცერთ ქუჩაზე, არცერთ მოსახვევში"**, არ ყოფილა არა თუ **"ასეულობით, არამედ ერთი ქალიც კი..."**

სიტყვისათვის, როცა რუდენკო სარქისოვის სიტყვებს იმოწმებდა, ბერიას ყოფილი მცველი უკვე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფებოდა. როგორც ჩანს, მისმა ემოციურმა კავკასიურმა ნატურამ ვერ გაუძლო საკუთარი შეფის მოღალატურად მორალური დასამარებით გამოწვეულ ემოციურ სტრესს.

რაც შეეხება სარქისოვის მითიურ **"სიას"**, უკვე დიდი ხნის წინ იქნა აღნიშნული, რომ რუდენკოს საგამოძიებო ჯგუფმა გამოიყენა სტალინის დიდი ხნის წინ დაპატიმრებული ექს დაცვის უფროსის ვლასიკის მეგობარ ქალთა სია. **"ვლასიკის სია"** კი შედგენილი იქნა არც მთლად უსაფუძვლოდ, გარკვეული უტყუარი მონაცემების საფუძველზე, რაც შემდეგ მოხერხებულად იქნა გამოყენებული ბერიას წინააღმდეგ. საქმე ისე **"შეკერეს"**, თითქოს ბერია და ვლასიკი ერთიდაიგივე ქალბატონების მომსახურებით სარგებლობდნენ.

**"იდეურად მდგრადი პარტიულებისა"** და **"დემოკრატებისაგან"** განსხვავებით მე სრულიადაც არ მაინტერესებს **"ბერიას სასიყვარულო ამბები"**. და ეს თემა რომ დავხურო, მე დავიმოწმებ თემურ ქორიძის საინტერესო სტატიას, რომელიც 1990 წლის 28 ივლისს გამოაქვეყნა ერთ-ერთმა თბილისურმა გაზეთმა **"7 დღე"** (№1-2), შემდეგ კი პ. ზგონნიკოვის თარგმანით გადაბეჭდა კიევის გაზეთმა **"24 საათი"**.

წერილის სათაური იყო **"მე არასოდეს ვერეოდი ლავრენტის საქმეებში"** და ამზეურებდა 86 წლის ნინო თეიმურაზის ასულ ბერია-გეგეჭკორის თვალსაზრისს, რომელიც ცხოვრობდა დნეპრის ნაპირებზე გაშლილი დიდი ქალაქის გარეუბანში, ჩვეულებრივ **"ხრუშჩოვკაში"**...

ჩემის აზრით, ეს გახლავთ უტყუარი და დამაჯერებელი ისტორიული დოკუმენტი. როგორც ბატონი თ. ქორიძე აღნიშნავდა, ქალბატონმა ნინამ 86 წლის ასაკშიც კი შეინარჩუნა წარსულის სილამაზე და საღი ზროვნების უნარი. ის, რაც ამ ქალბატონმა ბრძანა, თავდაყირა აყენებს მცდარ თვალსაზრისს **"ბერიას ქალების"** თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ აქ სულ სხვა რამეზეა საუბარი. ამიტომაც ჩავთვალე საჭიროდ ამ წერილიდან ვრცელი ციტატის მოხმობა.

**"ერთი წელიწადი ვიცხოვრეთ ბაქოში, შემდეგ თბილისში დავბრუნდით... ღარიბულად ვცხოვრობდით. ისეთი დრო იდგა, რომ ფუფუნებით ცხოვრება სამარცხვინო გახლდათ, მდიდრებს ვებრძოდით.**

**1931 წელს ლავრენტი საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად დანიშნეს. მანამდე ამ თანამდებობაზე მუშაობდა ქართველიშვილი, რომელმაც ერთ თანამდებობის პირს ცოლი წაართვა. ქართველიშვილის მოხსნის შემდეგ ეს ქალი სხვასთან წავიდა.**

**ლავრენტი დღედაღამ მუშაობაში იყო ჩაფლული. ოჯახისათვის დრო პრაქტიკულად არ რჩებოდა. ძალიან ბევრს მუშაობდა. ახლა იოლია ყველაფრის გაკრიტიკება, მაგრამ მაშინ მართლაც მიდიოდა ბრძოლა. საბჭოთა ხელისუფლებას უნდა გაემარჯვნა. გახსოვთ, რას სწერდა სტალინი სოციალიზმის მტრებზე? ეს მტრები მართლაც არსებობდნენ... სტალინს ეწადა შეექმნა დიდი და ძლიერი სახელმწიფო, და მან ეს მოახერხა..."**

უაღრესად გულწრფელი ინტონაციითაა გაჟღენთილი ეს სიტყვები, ამას ხომ მრავლის მნახველი ჭკვიანი ადამიანი ლაპარაკობს. ლაპარაკობს საკუთარ თავსა და საკუთარ დროზე:

**"მოსკოვში 1938 წლის მიწურულს გადავედით. ამ დროისათვის 37 წლის რეპრესიები უკვე დამთავრებული იყო. როცა ჩემს მეუღლეზე წერენ, ამ ფაქტს რატომღაც ივიწყებენ. ასე უიოლდებათ დანაშაულის ერთი ადამიანისათვის აკიდება... მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ოდესმე დაიწერება ობიექტური ისტორია, რომელიც ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებს. მე ამ დრომდე ვერ მივაღწევ, მაგრამ თქვენ, ახალგაზრდები, აუცილებლად მოესწრებით.**

**მე არასოდეს ვერეოდი ჩემი მეუღლის სამსახურეობრივ საქმეებში. მაშინდელი თანამდებობის პირების ცოლები ქმრების საქმეებში არ ერეოდნენ და ამიტომ, მე ვერაფერს გეტყვით ლავრენტის საქმეების თაობაზე. ის, რომ ბერია სახელმწიფოს ღალატში დაადანაშაულეს – სრული დემაგოგიაა – რაღაცაში ხომ უნდა დაედანაშაულებინათ. 1953-ში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. ეშინოდათ, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი ლავრენტის არ დაეკავებინა. მე ვიცნობდი ჩემს მეუღლეს: იგი გახლდათ პრაქტიკული გონების ადამიანი და კარგად იცოდა, რომ სტალინის გარდაცვალების შემდეგ ეროვნებით ქართველი ადამიანი მის თანამდებობას ვეღარ დაიკავებდა. ამიტომაც, ნათელია, რომ იგი მხარს უჭერდა მისთვის საჭირო ადამიანს – თუნდაც ისეთს, როგორიც იყო მალენკოვი..."**

მალენკოვი, რა თქმა უნდა, ლავრენტი ბერიას სჭირდებოდა არა პირადი ინტერესებისათვის, არამედ ეფექტური სახელისუფლებო ტანდემის – **"ბერია-მალენკოვი"** – შესაქმნელად, რაც რუსეთის ინტერესებს გაატარებდა. სამწუხაროდ, მალენკოვი ისევე მასშტაბურად ვერ აზროვნებდა, როგორც შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული მისი კოლეგა. ნამდვილი შემოქმედი და პრინციპული ბოლშევიკი ამ ორს შორის, რა თქმა უნდა, ლავრენტი ბერია იყო და ისიც ნიშანდობლივია, თუ როგორ ზუსტად შეაფასა 1953 წლის მოვლენები მისმა ქვრივმა:

**"1953 წლის ივნისში მე და ჩემი შვილი – სერგო – მოულოდნელად დაგვაპატიმრეს და სხვადასხვა ციხეებში გაგვამწესეს. ჩვენ ჯერ გვეგონა, რომ სახელმწიფო გადატრიალება მოხდა და ძალაუფლებას დაეუფლნენ ანტიკომუნისტური ძალები.**

**მე ბუტირკის ციხეში ვიჯექი. ყოველ დღე მოდიოდა გამომძიებელი, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ჩემი ქმრის საწინააღმდეგო ჩვენებები მიმეცა. მეუბნებოდა, რომ "ხალხი აღშფოთებულია ბერიას დანაშაულობებით". მე მას ვუპასუხე, რომ არავითარ ჩვენებას არ მივცემდი – არც კარგსა და არც ცუდს..."**

რაც შეეხება **"ბერიას ქალებს"**, ქალბატონმა ნინომ ასე განმარტა:

**"ერთ დღეს ციხის ზედამხედველმა მითხრა, რომ 760-მა ქალმა თავი ბერიას საყვარლად აღიარა. (სუხომლინოვის წყალობით ჩვენ ვიცით, რომ ზედამხედველი ცრუობდა – ს.კ.). პირდაპირ საოცარია: ლავრენტი დღე და ღამე მუშაობდა, მაშ როდის უნდა გაეტარებინა მას დრო ქალების "ლეგიონთან"? სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარად იყო. დიდი სამამულო ომის დროს და შემდეგშიც ბერია ხელმძღვანელობდა დაზვერვას და კონტრდაზვერვას. ეს ქალები მისი თანამშრომლები იყვნენ, მისი ინფორმატორები და უშუალოდ ბერიასთან ჰქონდათ კავშირი. ლავრენტის ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა და ყოველივე ის, რაც შეეხებოდა ამ ქალებთან საქმიან კავშირებს, გონებაში ჰქონდა შენახული. და შემდეგ, როცა ამ ქალებს ჰკითხეს შეფთან საკუთარი დამოკიდებულების თაობაზე, უფრო უპრიანად ჩათვალეს განეცხადებინათ, რომ ბერიას საყვარლები იყვნენ და არა მისი აგენტები. სხვა რა უნდა ექნათ: ეღიარებინათ, რომ "ხალხის მტერ ბერიას" სასარგებლოდ ძირგამომთხრელ აგენტურულ საქმიანობას ეწეოდნენ?"**

სხვათა შორის, ეს მართლაც უტყუარი განცხადება გახლავთ! ამიტომაც არის ნათელი, თუ რატომ არ ფიგურირებს სისხლის სამართლის საქმეში **"ქალების ლეგიონი"**. რუდენკოსა და მისი თანამზრახველებისათვის საჭირო იყო ქალების ეს არმია წარმოეჩინათ მხოლოდ როგორც ბერიას **"გარყვნილების"** ობიექტი. ხოლო ოპერატიული თანამშრომელი ქალებისა და **შსს**-ს ნდობით აღჭურვილ პირთა გვარების გამომზეურება არავის სჭირდებოდა.

არა, ლავრენტი ბერია არ გახლდათ მექალთანე არც მისი ბუნებიდან გამომდინარე და არც სამსახურეობრივი დატვირთვის გამო. სხვათა შორის, უკვე ღრმად მოხუცებული სსრკ სახალხო არტისტი ლიდია სმირნოვა, ღიმილით უარყოფდა ხმებს იმის თაობაზე, რომ ბერიას საყვარელი იყო. ამას საკუთარ თავზე მიიწერდა მეორე სახალხო არტისტი ტ. ოკუნევსკაია, რაც გულუბრყვილოდ დაიჯერა სუხომლინოვმა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ეს გახლდათ **"მაღალი წრის ქალბატონის"** ავადმყოფური წარმოსახვის პროდუქტი.

თუმცა 2004 წელს გამოქვეყნებულ ნინა ალექსეევა-ჩერმენსკაიას **"საყვარლის ჩანაწერებში"**, ავტორი ამტკიცებს რომ მაშინ, როცა იგი სსრკ შინსახკომის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი იყო, ბერიასთან ჰქონდა სასიყვარულო ურთიერთობები. თითქოს დამაჯერებელი ვერსიაა, რადგან ქალს მართლაც ჰქონდა ნინა გეგეჭკორის იერი, სახელიც ერთნაირი ჰქონდათ, მაგრამ დაწვრილებითი ანალიზით ეს ვერსია არ მტკიცდება, ისევე, როგორც არ მტკიცდება ის, რომ ბერიას საყვარელი გახლდათ ვიღაც ინკოგნიტო დიასახლისი **"კ"**. ამას უკვე ამტკიცებს პუბლიცისტი კირილ სტოლიაროვი თავის წიგნში **"ჯალათები და მსხვერპლნი..."** თითქოს ბერიამ ამ ქალბატონს პირდაპირ წითელი მოედნიდან დაურეკა, სადაც ჟდანოვის დასაფლავების პროცესი მთავრდებოდა და ჯერ კიდევ ისმოდა სამგლოვიარო მარშის ხმა.

სტოლიაროვი სრულიადაც არ აყენებს ეჭვის ქვეშ ამ ვერსიას და აღნიშნავს **"მოქალაქე "კ"-ს უბრალოება, ცალკე თემა გახლავთ... რაც შეეხება ბერიასა და ჟდანოვის ურთიერთდამოკიდებულებას..."** და ა.შ. თვით სტოლიაროვის კეთილსინდისიერებაც, ცალკე თემაა, რომელთან შეხება მომიწევს. მინდა ვიცოდე, როგორ წარმოუდგენია ყოველივე ეს სტოლიაროვს.

ორკესტრი ჯერ კიდევ უკრავს სამგლოვიარო მელოდიას, ჟდანოვის საფლავზე ყვავილების მთა თანდათან იზრდება. სტალინი ჩვეული სუსხით ამბობს: **"რა გაეწყობა, ამხანაგებო! მსუბუქი იყოს მისთვის გულზე დაყრილი მიწა. ჩვენ კი წავიდეთ და რუსული ადათით მივაგოთ პატივი მის ხსოვნას..."** ამ დროს, ბერია ნელ-ნელა მიიპარება კედლისაკენ, რომელზე ამოფარებითაც ცდილობს **"დათესვას"**, შემდეგ კი დაბნეულად პასუხობს სტალინის შეკითხვაზე, სად მიიპარებიო: **"ამხანაგო სტალინო, როცა მიცვალებულს ვხედავ, ცოცხალ ადამიანთან ახლოს ყოფნის სურვილი მიჩნდება... ამიტომ, თქვენ ქელეხში წაბრძანდით, მე კი ქალებთან განვიქარვებ სევდას..."**

ნუთუ ასე წარმოუდგენია ყველაფერი სტოლიაროვს?

არსებობს 1950 წლის დასაწყისში გადაღებული ფოტოსურათი... მასზე აღბეჭდულია ბერია მეუღლითა და თავისი მდივნებით ლიუდვიგოვითა და ორდინცევით. მართლაც შთამბეჭდავად ლამაზია უკვე ასაკმოძალებული ნინა ბერია, მეუღლეს ჩახუტებია და სიყვარულით სავსე თვალებით უმზერს.

მოღალატე ქმრებს ცოლები ასეთი სიყვარულით არ უმზერენ!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# სააკაშვილის დედას საჯარო რეესტრის შენობა 1 ლარად მიჰყიდეს

სიმბოლურ ფასად – 1 ლარად შარშან აჭარაში ათობით ობიექტი გაიყიდა. საინტერესოა, ვის გადაეცა ერთ ლარად ხშირად მილიონებად ღირებული ქონება ბათუმში? 2011 წლის განმავლობაში აჭარის ა/რ მთავრობის მიერ სიმბოლურ ფასად გასხვისებული ქონებით **„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“** დაინტერესდა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ორგანიზაციამ დაადგინა, რომ შარშან აჭარის მთავრობამ პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად 52 ობიექტი გაასხვისა.

**„საკითხის კვლევისას უცნობი უცხოური კომპანიებისათვის ქონების სიმბოლურ ფასად გასხვისების ტენდენცია გამოიკვეთა. უცხოეთში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს საქართველოში ქონების შესაძენად ადგილზე რეგისტრაცია ესაჭიროება. შესაბამისად, ისინი რეგისტრირდებიან საქართველოში, მაგრამ – ხელშეკრულების დადებამდე რამდენიმე დღით ადრე. აქედან გამომდინარე, ძნელია შემოწმდეს, რამდენად სანდოა ეს კომპანიები. ასევე ძნელია მონიტორინგი გავუწიოთ ფინანსების წარმომავლობას, რადგან ჩვენ მოგვეპოვება ინფორმაცია მხოლოდ ამ იურიდიული პირებისა და არა თვითონ მფლობელების შესახებ“,** – აცხადებენ **„საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველოში“.**

ორგანიზაციაში ყურადღებას რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტზე ამახვილებენ. **„საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველოს“** ინფორმაციით, 2011 წლის 18 თებერვალს შპს **„ადოგ ჯორჯიას“** ერთ ლარად გადაეცა 1621 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომელიც გოგებაშვილის ქუჩაზე მდებარეობს. აღნიშნულ ტერიტორიაზე ინვესტორმა 40 თვის განმავლობაში 22- სართულიანი სასტუმრო კომპლექსი **„კუბიკ თაუერი“** უნდა ააშენოს. სასტუმრო მინიმუმ 100 ნომრისაგან უნდა შედგებოდეს და ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ სულ მცირე 100 ადამიანი დაასაქმოს.

სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, შპს **„ადოგ ჯორჯია“** 2010 წლის 16 სექტემბერს ბათუმში დარეგისტრირდა და მის დირექტორად მიხეილ ძოძუაშვილია მოხსენიებული. შპს-ს 100%-იან წილს აზერბაიჯანის მოქალაქე მუსა სულეიმანოვი ფლობს, რომლის შესახებაც ინფორმაცია **„საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველოს“** არ მოეპოვება.

2011 წლის 24 თებერვალს აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ პირდაპირი მიყიდვის წესით სიმბოლურ ფასად (ერთ ლარად) ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მეჯინისწყალში 1,6 ჰა მიწის ნაკვეთი და 1133 კვ.მ. შენობა-ნაგებობა გაასხვისა. ამ ობიექტის საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება 365 000 ლარს შეადგენდა. ინვესტორი თურქული კომპანია შპს **„ბაქარაა“,** რომელმაც ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში მილიონიანი ინვესტიცია უნდა განახორციელოს, დაასაქმოს საქართველოს არანაკლებ 60 მოქალაქე და ააშენოს პირუტყვის დაკვლის, დამუშავებისა და დაფასოების საწარმო.

**„საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველოს“** წარმომადგენელთა თქმით, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს **„ბაქარა“** 2011 წლის 23 თებერვალს, ხელშეკრულების დადებამდე ერთი დღით ადრეა დარეგისტრირებული.

ნიშანდობლივია, რომ ინვესტორმა რამდენჯერმე დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები, მაგრამ აჭარის ა/რ მთავრობამ, ხელშეკრულების შეწყვეტის ნაცვლად, ვადები გაუგრძელა. ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოწოდებული ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტის მიხედვით, 20 თებერვლისთვის ობიექტი ექსპლუატაციაში უნდა იყოს შესული. **„საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველოს“** წარმომადგენლებმა 11 აპრილს მოინახულეს ის ადგილი, სადაც საწარმო უკვე ამუშავებული უნდა იყოს, თუმცა ტერიტორიაზე ჯერ კიდევ დაუსრულებელი შენობა დგას. მათ გადაიღეს ფოტოც, რომელზეც კარგად ჩანს, რომ საწარმო ჯერ არ ფუნქციონირებს.

2011 წლის 5 დეკემბერს, აჭარის მთავრობამ ჯავახიშვილის 5-ში (საჯარო რეესტრის ყოფილი შენობა) მდებარე 1556 კვ.მ. ტერიტორია პრეზიდენტის დედის გიული ალასანიას მფლობელობაში არსებულ **„საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლას“** სიმბოლურ ფასად – ერთ ლარად მიჰყიდა. ხელშეკრულების თანახმად, მყიდველმა 500 000 ლარის ინვესტიცია უნდა ჩადოს და 12 თვეში დაამთავროს სკოლის მშენებლობა.

**„ჩვენ ხელთ არსებული მასალების საფუძველზე, ირკვევა, რომ ხელშეკრულების თავდაპირველ ვერსიაში შევიდა ცვლილებები, კერძოდ, მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა 150-დან 60-მდე, ასევე შემცირდა დასასაქმებელ მოქალაქეთა რიცხვი 95-დან 30-მდე. გარდა ამისა, სიმბოლურ ფასად გადაეცათ საჯარო რეესტრის სარგებლობაში რიცხვული ყოფილი ინვენტარი. (ოდენობა: 278 ერთეული, ღირებულება: 27 672 ლარი)“.** – აცხადებენ **„საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველოში“.**

ერთ ლარად გასხვისებული ქონების სიას აგრძელებს თურქული კომპანია **„მერსინ ტურიზმისათვის“** 2011 წლის 17 ნოემბერს მიყიდული შენობა-ნაგებობა გოგებაშვილის ქუჩაზე (სანაოსნოს ყოფილი შენობა). თავად შენობა 4706 კვ.მ.-ია და მასზე მიმაგრებულია 5196 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზაციო ღირებულება 4 029 848 ლარს შეადგენდა.

ინვესტორმა გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარე შენობა-ნაგებობის ფასადის რეაბილიტაცია და შავშეთის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟი უნდა განახორციელოს. 2012 წლის 1 დეკემრამდე რეაბილიტირებულ შენობაში აამოქმედოს სასტუმრო კომპლექსი, ხოლო თავისუფალ მიწის ნაკვეთზე დაიწყოს 100-ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა და ექსპლუატაციაში შეიყვანოს არაუგვიანეს 2016 წლის 30 ივნისისა.

**„აღსანიშნავია, რომ შპს „მერსინ ტურიზმი“ 2011 წლის 14 ნოემბერს დაფუძნდა, ხოლო 3 დღეში, 17 ნოემბერს, აჭარის მთავრობამ მასთან ხელშეკრულება გააფორმა. ინვესტორების შესახებ მხოლოდ ის ინფორმაცია მოგვეპოვება, რომ კომპანიის დამაარსებლები თურქეთის მოქალაქეები არიან“,** – აცხადებენ **„საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველოში“.** 2011 წლის 18 ივლისს შპს **„ლეგის“** 1 ლარად გადაეცა ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში 32 382 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება 202 711 ლარს შეადგენდა. შპს **„ლეგის“** 2012 წლამდე უნდა განეხორციელებინა მილიონიანი ინვესტიცია და აეშენებინა ბეტონის ნაკეთობათა ქარხანა, სადაც დაასაქმებდა საქართველოს 40 მოქალაქეს.

**„აღნიშნული კომპანია უკრაინის მოქალაქის ლეონიდ ეზიკის საკუთრებაა. ამ პიროვნების შესახებ, ჯერჯერობით, არანაირი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. ქარხნის ნაწილი ექსპლუატაციაშია შესული, მშენებლობა გრძელდება“,** – აღნიშნავენ **„საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველოში“.**

2011 წლის 17 ივნისს ასევე ერთ ლარად გასხვისდა ბათუმში შ. ხიმშიაშვილის ქუჩის მიმდებარედ (ახალი ბულვარი, სასტუმრო **„მარინას“** და აკვაპარკს შორის) 9900 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ინვესტორი აზერბაიჯანის მოქალაქე ზარიფა ჰამზაევაა. მან თავისი წარმომადგენლის ელნურ მამედოვის საშუალებით განახორციელა შესყიდვა.

**„საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველო“** დაინტერესდა ამ ქალბატონის ვინაობით და აზერბაიჯანული მედიაწყაროების საშუალებით გაარკვია, რომ ზარიფა ჰამზაევა აზერბაიჯანელი მილიარდერის, ავიაკომპანია **„აზერბაიჯან ჰავა იოლარი აზალის“** პრეზიდენტის ჯახანგირ ასკეროვის მეუღლეა. ასევე, მოპოვებული ინფორმაციით, დგინდება, რომ ზარიფა ჰამზაევა, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ქალიშვილ არზუ ალიევასთან ერთად **„სილქვეი ჰოლდინგში“** შემავალი **„სილქვეიბანკის“** დამფუძნებელია. **„სილქვეი ჰოლდინგი“** 23 კომპანიას აერთიანებს და საავიაციო ბიზნესში წამყვანი ჰოლდინგია. მილიარდერის მეუღლე, ასევე ფლობს პარფიუმერულ მაღაზიათა უმსხვილეს ქსელ **„გაზელს“.**

ხელშეკრულების თანახმად, ჰამზაევა ვალდებულია, ამ ტერიტორიაზე 20 თვის განმავლობაში ააშენოს და ექსპლუატაციაში შეიყვანოს არანაკლებ 100-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსი, რომელშიც დასაქმებულთა არანაკლებ 90% საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს. **„საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველომ“** ამ შემთხვევაშიც ადგილზე გადაიღო ფოტო, რომელზეც ჩანს, რომ არანაირი მშენებლობა დაწყებული არ არის.

2011 წლის განმავლობაში აჭარის მთავრობამ კიდევ ერთი ობიექტი გაასხვისა ერთ ლარად – ბათუმში, რუსთაველის 4-6 მდებარე 301 კვ.მ. ფართობის ტერიტორია, სადაც შპს **„ვენტოს“** 4 თვის ვადაში უნდა აემოქმედებინა 35/0,4 კილოვოლტი ძაბვის ელექტროქვესადგური. ეს ობიექტი უკვე აშენებულია.

აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ გასული წლის განმავლობაში, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის 2011 წლის 10 მაისის 76 და 77 ბრძანებების საფუძველზე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მეჯინისწყალში 45 მიწის ნაკვეთი გაიყიდა სიმბოლურ ფასად. ნაკვეთები 100-200 კვ.მ-იანია.

**„ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში მიწის ნაკვეთის გადაცემის მიზანი უცნობია და არ არის ასახული ხელშეკრულებებში. რაც, რასაკვირველია, დამატებით კითხვებს წარმოშობს. საქართველოს კანომდებლობით, აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს აქვს უფლება, განკარგოს სახელმწიფო ქონება. თუმცა, ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფო ინტერესები. „საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველო“ ხშირად საუბრობს სახელწმიფოს მხრიდან ინვესტორების მიერ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის დახვეწაზე. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მონიტორინგი უფრო ზედმიწევნით უნდა განხორციელდეს იმ ინვესტორების მიმართ, რომლებმაც სახელმწიფოსგან ქონება შეღავათიანი პირობებით შეიძინეს. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ფაქტები კორუფციულ შეთანხმებებად აღიქმება“,** – აცხადებენ **„საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველოში“.**

ორგანიზაციაში აღნიშნავენ, რომ ისინი მომავალშიც გააგრძელებენ ამ საკითხის კვლევას და მონიტორინგს გაუწევენ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

**შ. ჯოხაძე**

# თურქული პრესა: სააკაშვილის თხოვნის საფუძველზე აზერბაიჯანელი ბანკირი დააკავეს

აზერბაიჯანული ბანკის – **“ტექნიკა ბანკ”**-ის პრეზიდენტი ეტიბარ ალიევი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თხოვნის საფუძველზე აზერბაიჯანელმა სამართალდამცავებმა დააკავეს. ამის შესახებ თურქული გაზეთი **“იენი აფაქი”** იტყობინება. როგორც გაზეთი წერს, ეტიბარ ალიევს ბრალად ედება თაღლითობა და ერთ-ერთი ქართველი ბიზნესმენისაგან მსხვილი თანხის მითვისება.

გაზეთი წერს, რომ სააკაშვილმა, რომელიც გასულ თვეს ბაქოს სტუმრობდა, აზერბაიჯანელ კოლეგა ილჰამ ალიევს ქართველი ბიზნესმენისთვის თანხის უკან დაბრუნებაში დახმარება თხოვა. ბაქოდან სააკაშვილის გამგზავრებისთანავე, ეტიბარ ალიევი სამი თვით ბაილის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დააკავეს.

გაზეთში ასევე აღნიშნულია, რომ ქართველი ბიზნესმენისთვის თანხის უკან დასაბრუნებლად ეტიბარ ალიევს ერთი თვის ვადა მისცეს. საუბარი შეეხება 5 მლნ დოლარს.

სანამ საქმეში საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი ჩაერთვებოდა, ქართველმა ბიზნესმენმა დახმარების თხოვნის ჯერ აზერბაიჯანულ სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა, მაგრამ საჩივარმა მისთვის სასურველი შედეგი არ გამოიღო. ვინ არის ქართველი ბიზნესმენი, რომლის თანხაც ეტიბარ ალიევმა თაღლითურად მიითვისა, არ სახელდება, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ქართველ ექსპერტთა და პოლიტიკოსთა მტკიცებულებებს იმის თაობაზე, რომ საქართველოში საწვავის ბიზნესს პრეზიდენტის ოჯახი აკონტროლებს, და თუ დათაღლითებული ქართველი ბიზნესმენი საწვავის სფეროშია დაკავებული, მაშინ სავსებით გასაგებია, თუ რატომ დაინტერესდა ამ საკითხით მიხეილ სააკაშვილი.



# ზუგდიდში პოლიციელებმა მსაჯები სცემეს

ეროვნული ჩემპიონატის გასული ტურის მთავარი სამსაჯო თემა, რაღა თქმა უნდა, ზუგდიდში მომხდარი ამბავია – **„ბაია“-“დინამოს“** მატჩის მთავარმა არბიტრმა, ლაშა სილაგავამ ოქმში აღწერა, რომ ძალოვანები შეხვედრის შემდეგ მსაჯთა ოთახში შეიჭრნენ, მას მუქარა, გინება და ფურთხება დაუწყეს, ხოლო შემდეგ მატჩის დელეგატ ენუქი თევზაძესა და მეოთხე მსაჯ ალექსანდრე კრიჭაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

რა უნდა ვთქვათ – ფაქტი გამაოგნებელი და ალმაშფოთებელია. ისღა დაგვრჩენია, იმედი დავიტოვოთ, რომ მომხდარს დეტალურად გამოიძიებენ და დამნაშავეებს საკადრისად დასჯიან.

მომხდარი აშკარად სცდება საფეხბურთო ჩარჩოებს და ბუნებრივია, ამ ამბის ჩამდენებს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი ვერ დასჯის.

სადისციპლინო კომიტეტის სხდომა უახლოეს დღეებში ჩატარდება და სავარაუდოდ, **„ბაიას“** ფინანსურ სანქციებს დააკისრებს და მის სტადიონს (უფრო სწორად, საწვრთნელ ბაზას) დისკვალიფიკაციას მიუსჯის. ამაზე მეტს კი ფეხბურთის ფედერაცია ვერ იზამს – დამნაშავეებმა კანონის წინაშე უნდა აგონ პასუხი.

**„ნაციონალებმა“** დიდი ხანია საქართველოში დაამკვიდრეს ის აზრი, რომ პოლიციელებს ნებისმიერი დონის არჩევნების მოგება შეუძლიათ **„ნაცთა“** სასარგებლოდ, მაგრამ ჯერ არ ყოფილა იმის პრეცენდენტი, რომ პოლიციელებს ფეხბურთის მატჩი მოეგოთ, თუ ისინი თავად არ იღებენ ამ მატჩში მონაწილეობას, როგორც ფეხბურთელები.

საზოგადოებისათვის ისიც გაუგებარია, თუ როგორ მოხდა, რომ სტუმართმოყვარეობით განთქმულ ზუგდიდში სტუმარს შეურაცხყოფა მიაყენეს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ადგილობრივი საზოგადოების ზოგიერთ წარმომადგენელს სერიოზული პრობლემები გააჩნია.

ნიშანდობლივია ისიც, რომ კრიჭაშვილი ზუგდიდში პირველად არ უცემიათ. 2009 წელს **„ბაიასა“** და **„გაგრას“** მატჩის შემდეგ მას მაშინაც პოლიციელებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. სამწუხაროდ, არ გვახსენდება, რომ მაშინ ვინმე დაესაჯოთ...

**„ლაშა სილაგავამ ყველაფერი ოქმში აღწერა და ამ ამბავს სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს. მე, ბუნებრივია, მომხდარით აღშფოთებული ვარ, სანქციები კი სადისციპლინო კომიტეტის საქმეა“,**– გვითხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა განყოფილების ხელმძღვანელმა ლევან ფანიაშვილმა.

რაც შეეხება ტურის ყველაზე საკამათო ეპიზოდებს, ანუ **„მერანი“-“ზესტაფონის“** მატჩისას სტუმართა კარში დანიშნულ თერთმეტმეტრიანებს, ფანიაშვილმა თქვა, რომ ვიდეოჩანაწერი უხარისხოა და რაიმე დასკვნის გამოტანა გაუჭირდება, მაგრამ რაკი არბიტრი ორივე ეპიზოდისას ბურთთან ახლოს იყო და პენალტი უყოყმანოდ დანიშნა, მის გადაწყვეტილებაში ეჭვი არ შეაქვს.



## პოეზიის კუთხე

# ჩელა

აშო, ჩელა, სი ჩერჩელა,
სი მონობას გეგაფილი!
სი უჩხონჩხე, სი სერგელა,
სი კისერიელაფირი...

აშო ჩელა! ბორო ჩელა,
ოჭკუმალო შხვას დურც არზე...
ეცალ რინას დიდო უჯგუ,
შუროთ ქიანასი ვარდე.

აშო, ჩელა, ბათომიშა,
დუდ გეგიძუ სასწორიშა.
დიო ჯგირო დორხენდუნა,
ბოლოს დუცუ მერქეცუნა.

გოუსვათი, ჩქიმი ჩელა,
ზუგიდიშე, დარჩელიშა...
გოქარილი ვორეთ, მარა
ვემმაშქვანა ტკვარჩელიშა.

აშო ჩელა! ვიშო, ჯაგა!
ჩქინი ნახაჩქარე ყვანა.
მარა გვერდის მიდამღანა,
ჩქიმ ნაშრომუს ვამუჩანა.

აში, ჩელა! ვიშო, ლომა!
ჩქი ბლასუნა მეტი შრომა.
ირო ქომუბშენთი, მარა
ვორეთ ჟირიხოლო ჭკოლა.

აშო, ჩელა! ვიშო, ბუსქა!
ნება ვარე — ნუმუ კუსა.
ოში დიხას ჭყოლირ კოჩქი
ჭკუას მუ წაქმალი ვუსვა!..

შარას გილაბცანცალანთ
ალონიშე შქასერიშა,
ჩელა თეში დობღურუთუ,
ვეთმართენა სარჯელიშა.

ჭკოლათ პუნცუ ჩქიმი ბუსქა,
ყუდეს ვარე ჭა დო ფურჩა.
ირფელ შხვაქუ მიდამიღუ
დო ჩქიმ ბუსაქ ანწი მუ ბჩა.

ულუ გერდგ, მა გერხექ,
გიჭიბუანქ სახირეს...
მა ანთასი გიმანთხუუ,
ჩელა, თენა მაკვირენც...

ჰო, ჩქიმ ჩელა, ჩქიმი ჯაგა,
დუდი მაფუ ონგარალი,
მათი დუცუ მუნობხენა
ნგერ დო ტურა ოჭყვადალი.

ჯაგა, ლპმა ბორკილეფი,
სიღარიბეშ ჭოფილეფი,
დღასი გაგებხარებუთუ
შხვაში მონა-მორჩილეფი.

ჭურია დო ნაბადარე
ჩქინი კლასი, — გიმნაზია.
ჩელა, ლეტას ქაშენჯირი,
ინკორი დო იკვაზია.

ჩქიმი ჩელა, მუ გიწუა?!
ვაგგებებუ ჩქიმი ჭუა.
დუცუ მიღუდანი ჭკუა,
ნტერცი ხვადუ დიდი ქუა.

ბოში ვორექ ჯგირი, მარა
ჯუბეს ვარე ჭყელი ფარა.
რადგანც ღარიბ ვორეზინი,
ყოროფილცუ ვამუჩანა.

დღა დო სერით ქომუბშენქ,
ჩხურ მაწუხენც, მინი ჩხანა,
მარა ჯგირი ვაკმოქუნცუ,
შქირენული მაფი ქვარა.

ჰო! ჩქიმ ჩელა! ჩქიმი ჯაგა!
მდიდარირე გომორძგვილი,
ღარიბ ვორექ მდიდარც მეყუნც
ჩქიმი სქვამი ყოროფილი.
ჯაგა, ლომა, მირჩქილით:
მუს გიწოლენთ, ქიჩინით.
არტო მიბრაგადუათ,
მუს ქიბჩინენთ, ვათუათ.

ჯაგა, ლომა, ბუსქა, ჩელა,
თოლცუ სინთე ვანობღვენა,
მუ ჭირდუნი, ვანობჩქვენა,
ასე ქობძირითი თენა.

ჩქი ვორეთი დამნაშავე,
ჩქინი დუცუ იბღუმპუნთუ.
ჩქინი მახეს ვავორწყეთ,
მაალ წყარცუ მევუღუთუ.

ჩქი უხაჩქნთ ქობალცია
არძა მუქთახორასია.
ჩქი უკეთენთ დოხორემც
ნგერეფი დო ჯოღორემც.

ჩქი უშუუნთ ფარჩემსია
უსაქვარე კახმემცია.
ჩქი ვოყოთანთ ტყვიასია
მუშას — ჩქიმი ჯიმასია.

ჩქი ჩქინ დუცუ ბღალატენთ,
ნგერ დო ტურას ვამარგენთ.
ჩელა! ანწი მობაღუნა
ტვერ დო ლეტაშ ასახუნა.

მათრახეფიშ მოთვინება,
ჩხურ დო შქირენიშე ღურა.
ერთობარე, ჩქიმი ჩელა,
უძლეველი დიდი ნძალი!
ის ვარჯგინანც ნტერიშ ტყვია,
ლეკური დო ზარბაზანი.

მარა დიო თი ერთობა
ვამიღუნა უბედურემც.
ოჭკუმალო აწვუძუთუ
ნგერეფი დო მელა-რურემც...

ჯაგა, ლომა. ბუსქა, ჩელა,
ანწი გიჩქუდანი თენა:
შხვადო ვარე ჩქინი შველა —
ჩქი ჩქინ ნძალა დამირსხენა.

ჩელა! მა გირჩენქუ თეს:
ქუმწვუძახათ ჩქინი ნტერც:
გოუმორძგვას ერთობას,
რუს ხემწიფეშ ეკორთას!..

ნუ მიღუნა შხვაშ იმენდი,
ჩქინ ხესი რე ჩქინი ბედი.
ვარა ღურა, დასაჯება,
ვარა სრული გამარჯვება!..

ვაკანონათ სიმართლე დო
შრომაქ დეფასინასინი.
ოღალ ირკოჩქ ეჭოფას,
ირკოჩქ დუდუ ირდასინი.

მით თეს ვაქიმინუნცინი,
შორცუ ვიშო ინტასინი.
ფურცელეფი მუკიქუნას
დო ჰაერი რყინტასინი.

არძაქ მუშის გეჯერდასი,
არძაქ ჭკუმას ღალა მუში.
მუშუშ თისი ქოხედანი
თურქი, სომეხი დო რუსი.

ჩელა! მობლასათი ნტერი,
ლომი, თუნთი, ტურა, ნგერი.
არძა ჩქინი მმაჭკუმალი,
არძა ღორონთიში ჭყელი.

დიბრთინუათ, ჩქიმი ჩელა,
საქართველო მშვენიერი.
ბოროტება დოპილათი
დო იპიიბთ ბედინერი.

**ზუგდიდი,**
1903 წელი

**1906 წელს გამოცემული ფურცლებგაყვითლებული წიგნი, რომელშიც სრულადაა დაბეჭდილი ხალხური ლექსი, რედაქციას მიაწოდა ჩვენი გაზეთის აქტიურმა მკითხველმა, გამოჩენილმა პუბლიცისტმა ბატონმა ლეონტი ბიწაძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ მას.**

## ლავროვი: „ჩვენ არ გვსურს დესტაბილიზაცია კავკასიაში ამ ადამიანის მორიგი ავანტიურის გამო“



ნატოს მიერ საქართველოს ასპირანტ ქვეყნად მოხსენიება და საქართველოს რემილიტარიზაცია მოსკოვის შეშფოთებას, სინანულს და სიფრთხილეს იწვევს. ეს განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა 19 აპრილს.

ბრიუსელში ნატო-რუსეთის საბჭოს შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე საუბრისას ლავროვმა აღნიშნა, რომ 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებამ, რომ საქართველო გახდებოდა ალიანსის წევრი, წააქეზა საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი, იმავე წლის აგვისტოში ცხინვალზე თავდასხმა განეხორციელებინა.

მან ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც ქართველმა ჟურნალისტმა სთხოვა კომენტარი ნატოს გენერალური მდივნის – ანდერს ფოგ რასმუსენის, მიერ ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომის შემდეგ გაკეთებულ განცხადებაზე, რომ ალიანსს კვლავ აქვს პრინციპული უთანხმოებები რუსეთთან საქართველოსთან დაკავშირებით.

**„მე ვფიქრობ, მან ეს იმიტომ გააკეთა, ყველას გაეგო, რომ ნატოს წევრები კვლავაც უჭერენ მხარს საქართველოს ხელმძღვანელობას,** – განაცხადა ლავროვმა, – **ეს ჩვენში სინანულს იწვევს“.**

**„ჩვენი პოზიცია კარგადაა ცნობილი. დღესაც ვუთხარი ამის შესახებ კოლეგებს. ის, რაც 2008 წლის აგვისტოში მოხდა, ერთი საათის განმავლობაში არ მწიფდებოდა. 2008 წლის დასაწყისიდანვე ჩვენ ე.წ. საქართველოს მეგობართა ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ვცდილობდით, შეგვემუშავებინა სათანადო დოკუმენტი ძალის გამოუყენებლობის შესახებ, რომელსაც კონფლიქტის ყველა მხარე მოაწერდა ხელს. საქართველო ამის გაკეთების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მე** [აშშ-ის მაშინდელ სახელმწიფო მდივანს] **კონდოლიზა რაისსაც ვესაუბრე რამდენჯერმე. და მან მითხრა, რომ სააკაშვილს ვერაფერს უხერხებს და, საერთოდ, განაცხადა, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან თუ ის ძალას გამოიყენებს, შეუძლია, საერთოდ დაივიწყოს დასავლეთთან, ჩვენთან თანამშრომლობის შესახებ. იმავე პერიოდში ბუქარესტში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველო შევა ნატოში. ვფიქრობ, ამან ძლიერ იმოქმედა მიხეილ სააკაშვილის ფსიქიკაზე, რომელმაც, ალბათ, ირწმუნა საკუთარი დაუსჯელობა. და მას შემდეგ, რაც ის თავს დაესხა ცხინვალს და რუს სამშვიდობოებს, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვუპასუხეთ“,** – განაცხადა ლავროვმა.

**„ის ფაქტი, რომ ახლა ჩვენი პარტნიორები ნატოდან თავიანთ შიდა დოკუმენტებში საქართველოს ე.წ. ასპირანტ ქვეყნებს შორის მოიხსენიებენ, ჩვენში შეშფოთებას და, გულწრფელად რომ ვთქვათ, სიფრთხილეს იწვევს, რადგანაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს რემილიტარიზაციის პროცესი ძალიან სწრაფად მიდის“,** – განაცხადა მან.

საქართველო ასპირანტ ქვეყნად პირველად ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა 2011 წლის 7 დეკემბრის ერთობლივ განცხადებაში მოიხსენიეს, რასაც რუსეთის პროტესტი მოჰყვა. მაშინ ლავროვმა განაცხადა, რომ გულწრფელად გააფრთხილა თავისი კოლეგები ალიანსიდან, რომ ამგვარმა განცხადებებმა შესაძლოა, პრეზიდენტი სააკაშვილი 2008 წლის აგვისტოს მსგავსი ავანტიურისკენ წააქეზოს.

ლავროვმა, ასევე, აღნიშნა, რომ წლის დასაწყისში ვაშინგტონში ვიზიტის შემდეგ პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ მან მიაღწია სამხედრო მიწოდებების სრულ აღდგენას და პირობას, რომ საქართველო აუცილებლად გახდებოდა ნატოს წევრი.

**„თუმცა, საერთო ჯამში, როგორც მე მესმის, ეს მომხდარის მისეული ინტერპრეტაციაა, მას უყვარს ინტერპრეტირება, მაგრამ ჩვენში ეს ყველაფერი შეშფოთებას იწვევს, რადგანაც ჩვენ არ გვინდა კიდევ ერთი დესტაბილიზაცია სამხრეთ კავკასიაში ამ კაცის კიდევ ერთი ავანტიურის გამო“,** – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

**„მე შევახსენე ჩვენს კოლეგებს, რომ ჩვენი სამშვიდობოების პოზიციებს ბომბავდნენ, ჩვენს მოქალაქეებს კლავდნენ, იმ კაცის სახელით და ბრძანებით კლავდნენ, რომელსაც დაჰპირდნენ ბუქარესტის სამიტზე, რომ ნატოში მიიღებდნენ, იმ იარაღით კლავდნენ, რომელიც საქართველოს ალიანსში შემავალმა ბევრმა ქვეყანამ მიაწოდა და ის სამხედროები კლავდნენ, რომელთაც ნატოს ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს ინსტრუქტორები წვრთნიდნენ“,** – განაცხადა ლავროვმა და დასძინა, რომ, ეთიკური თვალსაზრისით, ეს მკრეხელობაა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ლავროვის განცხადების საპასუხოდ განაცხადა, რომ მოსკოვს აღიზიანებს არა მხოლოდ მომავალი აუცილებელი გაწევრება ნატოში, არამედ თავად საქართველოს არსებობა, როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი, ტერიტორიულად მთლიანი და სუვერენული ქვეყნის.

**„პოლიტიკურ ელიტას კრემლში ორი არჩევანი აქვს: ან მიეჩვიოს იმას, რომ საქართველოს აქვს უფლება და ამ უფლებას გამოიყენებს, რომ გაწევრდეს იქ, სადაც საქართველოს მოქალაქეებს ეს სურთ; ან მოსკოვს მოუწევს ამის ყურება და უსიამოვნოდ წუხილი, როგორც თვითონ თქვა** [ლავროვმა] **კბილების ღრჭიალით, ამასთან შეგუება“,** – განუცხადა ვაშაძემ ბრიუსელში ქართულ მედიას.

მისი თქმით, რუსეთი ძირს უთხრის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას სამხრეთ კავკასიაში სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციით და ამ ტერიტორიებზე სამხედრო ყოფნის გაძლიერებით, მათ შორის, 5 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურის, **„ტოჩკა-უ“**-ს ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსის, ზალპური ცეცხლის სისტემების **„ურაგანის“** და **„სმერჩის“**, ასევე, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის **„ს-300“** განლაგებით. მან ასევე ხაზი გაუსვა ჩრდილოეთ კავკასიასა და სომხეთში, გიუმრის სამხედრო ბაზაზე რუსეთის სამხედრო პოტენციალს.

**„ეს არის დაგეგმილი სამხედრო წვრთნები „კავკასია-2012“, რომლითაც შეშფოთებულია არა მარტო საქართველო, არამედ რეგიონის აბსოლუტურად ყველა ქვეყანა და რომლის მთავარი მიზანი და რომლის განხორციელების მთავარი მიზეზი არის, ერთი დარტყმით წაართვას დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს“,** – განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

**საქინფორმი.**

## მახათას მთაზე ისტორიული მშენებლობა იწყება

მახათას მთაზე 20 აპრილს ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ისტორიული მშენებლობა დაიწყო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მახათაზე პარაკლისი გადაიხადა, რის შემდეგაც ტაძრის საკურთხევლის ადგილზე პირველ მიწა ამოიღო.

ტაძრის საძირკველში ჩაბრძანებული იქნა მსოფლიოს სხვადასხვა წმინდა ადგილებიდან და საქართველოს ეპარქიებიდან ჩამობრძანებული სიწმინდეები.

ისტორიულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მრევლი საქართველოს 38-ვე ეპარქიიდან ჩამოვიდა. პატრიარქის კურთხევით, მოსახლეობამ ქვები მოიტანა, რომლებზეც, ლოცვასთან ერთად, მათი ოჯახის წევრებისა და მათთვის ძვირფასი ადამიანების სახელები იქნა დატანილი. ეს ქვები ასაშენებელი ტაძრის საძირკველში იქნა ჩაბრძანებული.

სპეციალურად ამ დღისთვის, რომელსაც დაესწრო ალკოჰოლისა თუ ნარკოტიკებისაგან გაბრუებული სააკაშვილი, კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით, დაიწერა ანგია წინასწარმეტყველის ხატი, რომელიც მშენებლობის მფარველად მიიჩნევა.

მშენებლობის დაწყების ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს უზომოდ მთვრალმა სააკაშვილმა და ფონდ **„ივერიის“** დამფუძნებელმა პაატა ბურჭულაძემ, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ისტორიულ მშენებლობას უდგას სათავეში.

ტაძარს საზოგადოება და ემიგრაციაში მყოფი ქართველები ერთად აშენებენ. სახალხო აქციაში უკვე 145 ათასი ადამიანია ჩართული. იქმნება ცოცხალთა და გარდაცვლილთა წიგნი, რომელშიც ტაძრის აღმშენებელი მილიონობით ქართველის გვარ-სახელები ჩაიწერება.

მშენებლობის მონაწილეებს საკუთარი სახელის ნახვა შეუძლიათ ფონდის ვებგვერდზე **www.makhata.ge**.

აქციაში მონაწილეობის მსურველებს ყოველთვიურად 1 ლარის გადარიცხვა, ნებისმიერი სატელეფონო ოპერატორიდან, ასევე, შეუძლიათ ნომერზე 0901 77 77 77.



# ჯუმბერ პატიაშვილი: უკულმართი სახელმწიფო იდეოლოგიისა და გაყალბებული ისტორიის წყალობით მოდის თაობა, რომელსაც აფხაზეთი არც ახსოვს

**გთავაზობთ ნაწყვეტებს პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" თავმჯდომარის ჯუმბერ პატიაშვილის ინტერვიუდან, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთში "საქართველო და მსოფლიო".**

**— ბატონო ჯუმბერ, ყველა იმ პრობლემას შორის, რომლებიც დღეს საქართველოს აქვს, ტერიტორიული მთლიანობის თემას აქტუალობა არ დაუკარგავს. სხვა საკითხია, რამდენად აცნობიერებს, ან რამდენად დგამს ქმედით ნაბიჯებს ხელისუფლება ამ მხრივ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ქართველი ჯარისკაცები, წლებია უკვე, რაც ავღანეთსა და ერაყში იბრძვიან, მაშინ, როცა ჩვენი სამშობლოს ტერიტორიის ერთი მესამედი დაკარგული გვაქვს და უახლესი ისტორიიდან 2008 წლის აგვისტოს ომის ტრაგიკული და სამარცხვინო შედეგები ჯერ კიდევ არ გვაქვს ჯეროვნად გააზრებული...**

— ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი უპირველესია, ყოველ შემთხვევაში, უპირველესი უნდა იყოს, როგორც ხელისუფლებისთვის და პოლიტიკური პარტიებისთვის, ისე რიგითი, გნებავთ, საზოგადოების ყველაზე აპოლიტიკური ნაწილისთვის.

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა არ არის მხოლოდ პოლიტიკური საკითხი, იგი გაცილებით მეტია, ვიდრე პოლიტიკა!.. სამწუხაროდ, დღეს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების თემა ზეაღმატებულ ჭრილში არ განიხილება. შესაბამისად, არანაირი ქმედითი ღონისძიებები არ ტარდება და იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკური სუბიექტები, როგორც ხელისუფლებიდან, ასევე ოპოზიციური ფლანგიდან, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს თემის მხოლოდ თეორიული ნაწილით ინტერესდებიან და ისიც მაშინ, როცა საარჩევნო დაპირებების ნუსხას ადგენენ. არჩევნების დასრულების შემდეგ კი ის, რაც წინასაარჩევნო კამპანიის დროს აქტუალურობიდან გამომდინარე პირველ ადგილზე იდგა, რეალურად უკანასკნელ ადგილზე გადადის.

ალბათ, ამიტომაც არის, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში დაკარგული ტერიტორიებიდან ერთი გოჯი მიწაც არ დაგვიბრუნებია და პირიქით, დანაკარგს დანაკარგს ვუმატებთ...

**... — ბატონო ჯუმბერ, დღეს ჩვენში ყველაზე პოპულარულია რუსეთის ლანძღვა, ყველაზე არაპოპულარული — რუსეთის დადებით კონტექსტში მოხსენიება. ხოლო მათთვის, ვინც ამ «პრინციპს» არც ექვემდებარება და არც ითვალისწინებს, «რუსეთის აგენტის იარლიყი» მზადაა. თქვენი აზრით, რუსეთისგან «მტრის ხატის» შექმნამ სანამდე შეიძლება გასტანოს? და რა სავალალო შედეგებს მოუტანს ეს საბოლოო ჯამში ჩვენს ქვეყანას?**

— არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს ან ვინ როგორ აფასებს რუსეთის მტერმოყვარეობას; არც ის მაინტერესებს, ვინ აგენტობას დამწამებს და ვინ — რუსოფილობას, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი: პირადად მე არც პრორუსი ვარ და არც პროამერიკელი! ქართველი ვარ, საქართველოს კეთილდღეობაზე ორიენტირებული და სწორედ ჩემი სამშობლოს სახელმწიფო და სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე ვფიქრობ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს — ვიდრე რუსეთთან კეთილმეზობლურ, კეთილგანწყობილ პარტნიორულ ურთიერთობას არ დავამყარებთ, ვერც აფხაზეთს დავიბრუნებთ, ვერც სამაჩაბლოს და, რაც შემოგვრჩა როგორც სულიერი, ასევე მატერიალური დოვლათის სახით, იმასაც ნელ-ნელა, ეტაპობრივად დავკარგავთ...

**... — ბატონო ჯუმბერ, დამეთანხმებით, ალბათ, რომ ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუს, რომელიც «საქართველო და მსოფლიოში» გამოქვეყნდა, მნიშვნელოვანი დატვირთვაც ჰქონდა. თქვენ, როგორც მისი ყოფილი პოლიტიკური პარტნიორი, იზიარებთ მის პოზიციებსა და მოსაზრებებს?**

— უპირობოდ ყველა მოსაზრების გაზიარება, ვისიც არ უნდა იყოს იგი, რასაკვირველია, შეუძლებელია; თუმცა თანხვედრა ძალიან ბევრ საკითხში წარსულშიც გვქონდა და დღესაც გვაქვს. ასე რომ არ ყოფილიყო, სხვაგვარად ვერც პარტიას შევქმნიდით და ვერც პოლიტიკურ პარტნიორებად ჩამოვყალიბდებოდით.

სწორად შენიშნეთ: იმაზე, რაზეც მე და ალექსანდრე ჭაჭია წლების წინ ვსაუბრობდით, დღეს სწორედ ისინი საუბრობენ დიდაქტიკური და მენტორული ტონით, ვისთვისაც თავის დროზე ანალოგიური ფასეულობები და ხედვები კატეგორიულად მიუღებელი იყო.

ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ისინი ვერც დღეს მიდიან საუბრის იქეთ. როცა მართლა შეეძლოთ ქმედითი ღონისძიებების გატარება, როგორც ქვეყნის მეორე, მესამე და, გნებავთ, მეათე მმართველ პირს, მაშინ ანტირუსულ პოლიტიკას ატარებდნენ და სახელმწიფო იდეოლოგიის აგიტაციასაც სწორედ რუსეთისგან **«მტრის ხატის»** შექმნით ეწეოდნენ.

ახლა წამოძახებისა და ხელის გაშვერის დრო ნამდვილად არ არის, მაგრამ ნებისმიერი მოვლენა და ფაქტი შეფასებას ისევე მოითხოვს, როგორც პოლიტიკოსის პოლიტიკური ბიოგრაფია და განვლილი გზა.

ჩვენდა საუბედუროდ, უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ჩვენ შევეგუეთ იმ აზრს, რომ პოლიტიკოსები გარემოების შესაბამისად ქამელეონებივით იცვლიან ფერს და, რაც ყველაზე სავალალოა, დაშვებულ შეცდომებზე არც შეცდომის დაშვების მომენტში და არც მის შემდეგ პასუხისმგებლობას არ იღებენ.

დღეს სწორედ ისინი საუბრობენ საარჩევნო კანონსა და არჩევნების გაყალბებაზე, ვინც წლების წინ თავად იყვნენ არჩევნების გაყალბებით დაინტერესებულნი და შესაბამის მექანიზმსაც **«წარმატებით»** ამუშავებდნენ. ამაზე ალექსანდრე ჭაჭიამ ვრცლად, არგუმენტირებულად და ამომწურავად ისაუბრა თქვენს გაზეთში.

**— მიუხედავად იმისა, რომ ძირითად საკითხებში თქვენი მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვეოდა და პოლიტიკური პარტნიორობის მრავალწლიანი გამოცდილებაც გქონდათ, «ვარდების რევოლუციის» შემდეგ თქვენი გზები მაინც გაიყარა. შეგიძლიათ წლების შემდეგ მაინც გვითხრათ ამის მიზეზი?**

— ეს მიზეზი დასამალი არც მაშინ იყო და არც დღესაა, მითუმეტეს, რომ მე და ალექსანდრე ჭაჭიას ადამიანური ურთიერთობები დღემდე შენარჩუნებული გვაქვს და ეს ბუნებრივიცაა.

2003 წლის არჩევნებში ჩვენი პარტია **«ერთობაც»** მონაწილეობდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ხმების გაყალბება ჩვენი პოლიტიკური გუნდის შედეგებზეც აისახა. როდესაც ე. წ. ახალგაზრდა რეფორმატორებმა საპროტესტო აქციები დაიწყეს, მიუხედავად იმისა, რომ ბურჯანაძე-ჟვანიასა და მათი გუნდის მიმართ სიმპატიები ნამდვილად არ გამაჩნდა, მიხეილ სააკაშვილის მიმართ ნდობით ვიყავი განწყობილი და საპროტესტო პროცესის მიმართაც სოლიდარული გახლდით.

უფრო მეტიც, როდესაც შევარდნაძე გადადგა და საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა, განვაცხადე, რომ მე საპრეზიდენტო არჩევნებში, წინა ორი არჩევნებისგან განსხვავებით, მონაწილეობას არ მივიღებდი, ხმას მიხეილ სააკაშვილს მივცემდი და ჩემს ამომრჩევლებსაც მოვუწოდებდი, რომ მისთვის დაეჭირათ მხარი.

სწორედ ეს გადაწყვეტილება გახდა ჩემსა და ალექსანდრე ჭაჭიას შორის აზრთა სხვადასხვაობის საგანი, რაც პოლიტიკურ დაპირისპირებაში არ გადასულა.

ალექსანდრე ჭაჭია, პირველ რიგში, პოლიტოლოგია, თან საკმაოდ ძლიერი. მან შეძლო წინასწარ განეჭვრიტა, რა ძალა იდგა ამ, ერთი შეხედვით, ბუნებრივი პროცესების მიღმა...

მე იმდენად დაღლილი ვიყავი შევარდნაძის რეჟიმთან უთანასწორო, თითქმის დანაშაულებრივ პირობებში ბრძოლით, რომ ჩავთვალე: ქართულ პოლიტიკაში მოდიოდა ახალი ძალა, ახალგაზრდა კაცი, რომელიც წარმატებით გაართმევდა თავს ამ ბრძოლას. მე კი გვერდზე უნდა გავმდგარიყავი, მისთვის გზა დამეთმო და შეძლებისდაგვარად აღმომეჩინა დახმარება.

**— დღეს როგორ ფიქრობთ?**

— დღეს ვფიქრობ, რომ არჩევანში, ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, მეც შევცდი. დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობ, რომ ალექსანდრე ჭაჭია მაშინ მართალი იყო — საქართველოში არაფერი შეცვლილა და არც ქვეყნის სათავეში მოსულა ახალი ძალა.

მაგრამ ასე გაგრძელება შეუძლებელია. ქვეყანა კატასტროფისკენ მიემართება და, რაც დრო გადის, მით უფრო ვშორდებით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას, მით უფრო ვკარგავთ ქართველი ერისთვის დამახასიათებელ ნიშანთვისებებსა და ღირსებას. მით უფრო გვიჭირს მტერ-მოყვრის გარჩევა, მით უფრო ვკარგავთ ქვეყანასაც და საკუთარ თავსაც.

არანაირი სურვილი არ მაქვს, პესიმისტურ ნოტაზე დავასრულო საუბარი. ვფიქრობ, რომ თითოეულმა ჩვენგანმა უკანასკნელი ძალა და ენერგია უნდა მოიკრიბოს და ქვეყნის სამსახურში ჩააყენოს, თუკი მისთვის საქართველო და ქართველობა ჯერ კიდევ რაღაცას ნიშნავს...

ესაუბრა
გიორგი მეძმარიაშვილი

# ავღანეთში სერჟანტი ვალერიან ხუჯაძე დაიღუპა

ავღანეთში ქართველი სერჟანტი ვალერიან ხუჯაძე დაიღუპა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 1976 წელს დაბადებული სერჟანტი ხუჯაძე **„ISAF"**-ის სამშვიდობო მისიის ფარგლებში 31-ე ბატალიონის შემადგენლობაში ავღანეთის ჰელმანდის პროვინციაში მსახურობდა. სამხედრო მოსამსახურე პატრულირების დროს მოწინააღმდეგის მიერ შენიღბულად დადებულ თვითნაკეთ ნაღმზე აფეთქებისგან მიყენებული მძიმე ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა.

სერჟანტი ვალერიან ხუჯაძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2004 წლიდან მსახურობდა. ადრე მონაწილეობდა ერაყის სამშვიდობო მისიაშიც. 2011 წელს ხუჯაძეს მიღებული აქვს მედალი სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისთვის. დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სოციალურ პაკეტს მიიღებს.

ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესრულების დროს დაღუპული ქართველი სამხედროების რაოდენობა 16-დე გაიზარდა.

სამწუხაროა, რომ ლომგული საჯიშე ქართველი ბიჭები დაუნანებლად იღუპებიან სხვათა ომში ავღანეთის სასაკლაოზე, სადაც მათ **"ნაციონალთა"** უაზრო და ყოვლად გაუმართლებელი ამბიცია მიერეკება. უაზროა ჩვენი ბიჭების ავღანეთის სასაკლაოზე გაშვება თუნდაც იმიტომ, რომ მათი სისხლის სანაცვლოდ დაპირებულ **"ნატო"**-ში შესვლას სასიკეთო პირი არ უჩანს და არც არასოდეს გამოუჩნდება. ან კი რა სიკეთე უნდა მოუტანოს ნაციონალებისა და სააკაშვილის დანაშაულებრივი ქმედებებით განადგურების გზაზე მდგარ საქართველოს რომელიმე სამხედრო ბლოკში გაწევრიანებამ, მით უმეტეს, თუ ეს ბლოკი რუსეთის წინააღმდეგაა მომართული? ისიც საკითხავია, სჭირდებათ კი **"ნატო"**-ს წევრ ქვეყნებს საქართველო თავისი გაუთავებელი კონფლიქტებითა და სხვა მოსალოდნელი უბედურებებით. მით უმეტეს არ სჭირდება ამგვარი მსხვერპლი ისედაც დემოგრაფიული კატასტროფის ზღვართან მდგომ საქართველოს მოსახლეობას.

გაზეთი **"ილორი"** თანაგრძნობას უცხადებს ავღანეთში დაღუპული ქართველი სერჟანტის ვალერიან ხუჯაძის ოჯახს და იმედოვნებს, რომ საქართველოს მართვის სადავეებიდან სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების ჩამოშორება ბოლოს მოუღებს უცხო ქვეყნების სასაკლაოებზე ქართველი ბიჭების დაუნანებლად გაგზავნის მავნე, ავადმყოფურ პრაქტიკას!



# ივანიშვილი: სააკაშვილი განსხვავებული აზრის გამო გმირის დედასაც დევნის

პოლიტიკური კოალიცია **„ქართული ოცნების"** ხელმძღვანელმა ბიძინა ივანიშვილმა დღეს საზოგადოებას მარნეულში მცხოვრები დარეჯან პატაშური წარუდგინა. იგი 2008 წლის ომში დაღუპულ კაპრალ გიორგი ტატუაშვილის დედაა. ქალბატონ დარეჯანის განცხადებით, მას ხელისუფლების წარმომადგენლები განსხვავებული პოზიციის გამო ავიწროებენ.

ბიძინა ივანიშვილის განმარტებით, დარეჯან პატაშური 2012 წლის 11 მარტს ოფიციალურად გაწევრიანდა **"ქართულ ოცნებაში"** და ის ღიად უჭერდა მხარს მათ პოლიტიკურ საქმიანობას. სწორედ ასეთი პოზიციის გამო დევნიან მას თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები.

როგორც თავად დარეჯან პატაშურმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რამდენიმე დღის წინ ის თბილისში იყო ჩამოსული **"ქართული ოცნების"** მთავარ ოფისში პარტიის ყრილობის დეტალების დასაზუსტებლად, სახლში დაბრუნებულს კი თავდაცვის სამინისტროს ოთხი წარმომადგენელი დახვდა: სამხედრო ფორმიანი ორი მამაკაცი და სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ორი ქალბატონი.

**„უმცროსი შვილი 14 წლის რომიკო ტატუაშვილი მანქანაში ჩაისვეს, იქ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და მის წაყვანასაც აპირებდნენ, მეზობლებს რომ არ დაენახათ. მათი დაჟინებული მოთხოვნით ბავშვი მანქანიდან გადმოიყვანეს,"** — აცხადებს ქალბატონი დარეჯანი. და ღნიშნავს, რომ, იმ ოთხი ადამიანიდან ერთ-ერთი, ნატა ასლამაზაშვილი მის გოგონასთან მეგობრობდა.

**"როდესაც გამოვხატე პოზიცია ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ, დაიწყეს ჩემი და ჩემი მცირეწლოვანი შვილების შევიწროება. ისინი დამემუქრნენ კიდეც, თუ ჭკვიანად არ მოვიქცეოდი ჩამომართმევდნენ თბილისის ბინას, რომელიც გიორგის დაღუპვის შემდეგ გადმოგვცეს. სწორედ ამიტომ, მე გადავწყვიტე, ოფიციალურად ვთქვა უარი ამ ბინაზე და უკან დავაბრუნო. რადგან მათ მე ეს ბინა გადმომცეს არა ჩემი შვილის გმირობის სანაცვლოდ, არამედ სიჩუმის ფასად. ახალი პარტიის სახით მე საქართველოს მომავალი დავინახე და არ ვაპირებ გაჩუმებას,"** — განაცხადა დარეჯან პატაშურმა.

ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ყველანაირად დაეხმარებიან ამ ქალბატონს და დაიცავენ მის შვილებს, რათა არ განმეორდეს მსგავსი ფაქტები.

**"ამ ქალბატონის წინაშე ჩვენ ყველანი ვალში ვართ, მე საჯაროდ მოვიხდი ბოდიშს მის წინაშე, რომ ჩვენ საქართველოს მოქალაქეებმა ვერ შევძელით სწორი პოზიცია დაგვეჭირა დროულად. ქალბატონმა უბრალოდ გამოხატა პოზიცია, მაგრამ სააკაშვილის იდეოლოგიით გმირის დედასაც კი არ აქვს უფლება, ჰქონდეს განსხვავებული აზრი. ეს ქალბატონი და მისი შვილები იმსახურებენ ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერას,"** — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

ივანიშვილის განმარტებით, მას შემდეგ რაც თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა დარეჯან პატაშურს ოჯახში მიაკითხეს და მის შვილს ფიზიკურადაც გაუსწორდნენ, მისი ორივე შვილი დაცვის მიზნით გადამალეს, თუმცა უკვე სამი დღეა იმ ადგილსაც უთვალთვალებენ.

ამის დამადასტურებლად დღევანდელ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებისთვის ვიდეომასალა წარმოდგინეს.

# ანქვაბის ტერაქტის უკან შამბას ვაჟი და არძინბას ქალიშვილი დგანან?

**(ტერაქტში კიდევ ერთმა ეჭვმიტანილმა ხუტაბამ თავი საკანში ჩამოიხრჩო)**



***აფხაზეთში უკვე ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ქვეყნის პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბს, ისევე, როგორც კატას, შვიდი სიცოცხლე აქვს. ანქვაბი უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ექვსჯერ გადაურჩა ტერაქტს. ეს ტერაქტები მისთვის მშვიდობიანად დასრულდა. 5 ტერაქტი შემკვეთებისთვისაც "ლაიტად" დასრულდა. მართალია ტერაქტების დროს ანქვაბს აფხაზეთის პრემიერის და ვიცე-პრეზიდენტის პოსტები ეკავა, მაგრამ ტერორისტული აქტები მაინც გამოუძიებელი დარჩა. მასზე განხორციელებულოი თავდასხმები მავანს ხახვივით შერჩა.***

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და მეტერაქტეებმა მისი მეექვსე ცდაზე მოკვლა განიზრახეს. იღბალმა არც ამჯერად უმტყუნა ანქვაბს. ის ისევ სასწაულებრივად გადარჩა. სამაგიეროდ, ტერაქტის დამკვეთებს წაუვიდათ მეექვსე ცდაზე საქმე ცუდად. ტერაქტში ეჭვმიტანილმა ორმა პირმა თავი მოიკლა. ერთმა მათგანმა წინასწარი დაკავების იზოლატორში ჩამოიხრჩო თავი, ხოლო მეორემ დაკავების მომენტში გადაწყვიტა თავის მოკვლა.

ტერაქტის გახსნის შესახებ ინფორმაცია აფხაზურმა მედიამ ამა წლის 13 აპრილს გაავრცელა. დამნაშავეთა დაკავება სწორედ ამ დღეს მოხდა.

სამართალდამცავებმა 6 პირი დააკავეს. მათგან საზოგადოებისათვის ცნობილი ბიზნესმენი ანზორ ბუტბა იყო, რომელიც ცნობილი აფხაზი ოლიგარქის ბესლან ბუტბას მოგვარეა.

როგორც **"ჩეგემსკაია პრავდას"** რედაქტორი ინალ ხაშიგი ამბობს, ბუტბას და ანქვაბს გასულ წელს მოუვიდათ კონფლიქტი. ამ დროს ანქვაბი ჯერ კიდევ ვიცე-პრეზიდენტი იყო. ბიზნესმენი გუდაუთასთან ახლოს მდებარე საბადოს ამუშავებისათვის ლიცენზიას ითხოვდა. ვიცე-პრეზიდენტმა ლიცენზია არ მისცა.

17 აპრილს აფხაზეთში სკანდალური ინფორმაცია გავრცელდა. აფხაზური მედიის ცნობით ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ალმასბეი ქჩაჩმა თავი მოიკლა, რადგან იგი ანქვაბზე განხორციელებული ტერაქტის ერთ-ერთ დამკვეთად იქნა მიჩნეული. ყოფილმა მინისტრმა თავი საკუთარ სახლში მოიკლა.

აფხაზური მედიის ცნობით, 53 წლის გენერალ-მაიორმა თავი **"მარგოლინის"** ტიპის იარაღით მოიკლა. მას გამჭოლი ჭრილობა მარცხენა ყურის არეში აღენიშნებოდა. სპეცრაზმელებმა მისი გვამი ბინის ჩხრეკისას აღმოაჩინეს. ქჩაჩის გვამს მათ საძინებელში მიაგნეს.

– დაკავებულების დაკითხვის დროს დადგინდა, რომ ანქვაბზე განხორციელებული ტერაქტის ორგანიზატორი აფხაზეთის ყოფილი შს მინისტრი ალმასბეი ქჩაჩი იყო, – განუცხადა ჟურნალისტებს აფხაზური პროკურატურის მაღალჩინოსანმა.

ამის შემდეგ ქჩაჩს დაკითხის გარეშე ვინ დატოვებდა. ის სათანადო ორგანოებმა ჩვენების მისაცემად დაიბარეს.

– მან 15 აპრილს მოგვცა ჩვენება. ყველაფერი უარყო. თავი მშვიდად ეჭირა. ის სახლში დაბრუნდა. მეორე დღეს სხვა პირებთან ერთად მივიდა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში. იქ დიდი ხნის განმავლობაში დარჩა, თითქოს რაღაც ინფორმაციის გაგებას ელოდა. მას დაკავებულების შესახებ აინტერესებდა ინფორმაცია, – აცხადებს აფხაზი მაღალჩინოსანი.

აფხაზური მედიის ცნობით, იმ პერიოდში უკვე აქტიურად დადიოდა ხმები ქჩაჩის შესაძლო დაკავებასთან დაკავშირებით.

ეს ხმები, როგორც შემდეგ გაირკვა, უსაფუძვლო არ ყოფილა. სპეცრაზმმა მას გაგრაში, საკუთარ სახლში მიაკითხა. კარი არავინ გააღო. სპეცრაზმმა რკინის კარები შეამტვრია, და, როგორც აღვნიშნეთ, სახლის ჩხრეკის დროს ქჩაჩის გვამი აღმოაჩინეს.

ალმასბეი ქჩაჩს, როგორც ჩანს, აქტიურ პოლიტიკაში ყოფნა სურდა. მან მარტის თვეში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, ბრძოლას პირველივე ტურში გამოეთიშა.

უფრო ადრე კი ქჩაჩი ვიცე-პრეზიდენტის პოსტს უმიზნებდა. 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი იყო. ამ პოსტზე მისი კანდიდატურა აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტიამ წარადგინა. ამ პარტიიდან პრეზიდენტის პოსტზე მისი ლიდერი ბესლან ბუტბა იყრიდა კენჭს. იმ არჩევნებზე გამარჯვება სერგეი ბაღაფშს დარჩა.

ყოფილმა შს მინისტრის თვითმკვლელობის ამბავი შემდგომ მომხდარმა ორმა ამბავმა გადაფარა. გაირკვა, რომ ტერაქტის ბრალდებით დაკავებულმა ერთმა პირმა საკანში თავი მოიკლა. საუბარია თემურ ხუტაბაზე.

აფხაზური მედიის ცნობით, ხუტაბამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა მას შემდეგ, რაც გაიგო ქჩაჩის მიერ თავის მოკვლის ამბავი. ხუტაბამ სოხუმის წინასწარი დაკავების იზოლატორში ჩამოიხრჩო თავი.

გაცილებით სენსაციური ინფორმაცია კი ფეისბუქის მეშვეობით გავრცელდა. აფხაზები ფეისბუქის აქტიური მოიმხმარებლები არიან.

**"ექსპერტთა კლუბის"** ცნობით, აფხაზები ამტკიცებენ, რომ ამ ტერაქტის უკან ვლადისლავ არძინბას ქალიშვილი და სერგეი შამბას ვაჟიც დგანან. საუბარია მადინა არძინბაზე და ორხან შამბაზე. ეს უკანასკნელი ამ პერიოდისათვის აფხაზეთში არ იმყოფება.

ოფიციალური სოხუმი დღემდე ამ ვერსიასთან დაკავშირებით სათანადო განმარტებებს არ აკეთებს. ამბობენ, რომ ბევრი ჭორი ვრცელდება.

ჭორების საბაბი კი აფხაზებს ნამდვილად აქვთ. პატარა აფხაზეთში ყველამ იცის, რომ მამა-არძინბას და ალექსანდრე ანქვაბს ერთმანეთთან ცუდი ურთიერთობები ჰქონდათ. არძინბას თვალში ანქვაბი ყოველთვის პროქართული ორიენტაციის ადამიანი იყო. ომის დროს მან მართლაც უამრავი ქართველი გადაარჩინა. მათ შორის, როგორც სამოქალაქო პირები, ასევე სამხედროები. მას თბილისში ბევრი ნაცნობი ჰყავდა. ის წლების განმავლობაში საქართველოს შს მინისტრის მოადგილე იყო და თბილისში ცხოვრობდა. მისი ყოფილი თანამშრომლებისა და ქართველი მეგობრების გადმოცემით ალექსანდრე ანქვაბი გამოირჩეოდა ლამის ასკეტიზმამდე მისული პატიოსნებითა და პრინციპულობით.

ომის დროს მან აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. ეს პოსტი 1993 წელს დატოვა. როგორც შემდეგ ამტკიცებდნენ, ამის მიზეზი მისი მეგობრისა და თანამებრძოლის, ჯერ კიდევ კომკავშირში მუშაობის პერიოდიდან, ჟიული შარტავას ტრაგიკული სიკვდილი გახდა. ანქვაბი საკუთარ თავს აბრალებდა, რომ მას დააგვიანდა და ჟიული შარტავას გადარჩენა ვერ შესძლო ჩეჩენი ბოევიკების მხეცობისაგან.

არძინბასთან დაპირისპირების გამო მას აფხაზეთის დატოვება კარგა ხნით მოუწია. ის ამ წლების განმავლობაში მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ვლადისლავ არძინბასაგან განსხვავებით შამბასთან ანქვაბს თითქოს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში ბაღაფშის სიკვდილამდე ასე იყო. ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მათ გარდა არჩევნებში რაულ ხაჯიმბაც იღებდა მონაწილეობას.

ეს უკანასკნელი საკმაოდ ღირსეულად იღვწოდა გამარჯვებისათვის, შამბამ კი ბინძური ხერხები გამოიყენა ანქვაბის წინააღმდეგ.

არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე რუსულმა მედიამ თენგიზ კიტოვანთან გამოაქვეყნა ინტერვიუ, სადაც ჩვენებური ამბობს, რომ ომის დროს ანქვაბი ქართულ მხარეზე მუშაობდა. კიტოვანი ამტკიცებდა, რომ ანქვაბი თბილისს საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა.

ყველაზე საინტერესო იყო ის, რომ ამ ინტერვიუს ვიდეო-ვერსიაც გავრცელდა, რომელიც შამბას მომხრეების ხალხმრავალ მიტინგზე აჩვენეს. ამ მიტინგს თავად პრეზიდენტობის კანდიდატი შამბაც ესწრებოდა. კიტოვანის კარტის გათამაშებას აფხაზებში საპირისპირო შედეგი მოჰყვა. ხალხი იქეთ დაეტაკა შამბას.

ცოტა ხანში კი კიტოვანის დამფასებელმა გაზეთმა ბოდიში მოიხადა. გამოცემის თქმით, შეცდომა ჟურნალისტმა დაუშვა. შამბა ძალიან ცუდ დღეში ჩავარდა. ამომრჩეველმა მას ზურგი აქცია.

არჩევნებში დამარცხების შემდეგ შამბამ პოლიტიკიდან წასვლის შესახებ განცხადება გააკეთა. ვარაუდობდნენ, რომ ის საპარლამენტო არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას. შამბა ამ არჩევნებზე არ გამოჩენილა.

ანქვაბის ტერაქტიდან მოკლე ხანში ხმა გავარდა, რომ ამ ტერაქტის უკან შესაძლოა შამბაც იდგესო. ასეთ დროს ყველა ოპონენტი ეჭვმიტანილად ცხადდება. როგორც წესი, ტერაქტის დამკვეთებად დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებსაც განიხილავდნენ. მათ აფხაზთა ლიდერმა სერიოზული ბრძოლა გამოუცხადა. მისი გაპრეზიდენტებიდან დღემდე რამდენიმე გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტი დააკავეს. რამდენიმე კი საეჭვო ვითარებაში დაიღუპა. მათ შორის ერთ-ერთი ვალმერ ბუტბა იყო, რომელიც წლების განმავლობაში ვლადისლავ არძინბას პირადი მცველი გახლდათ.

პრეზიდენტის რანგში გამართულ პირველ პრესკონფერენციაზე ანქვაბმა პირობა დასდო, რომ აფხაზეთში წესრიგს დაამყარებს. ამ დანაპირებს ის მართლაც ასრულებს.

სხვათა შორის, არ გამორიცხავენ, რომ მეექვსე ტერაქტით ხალხისთვის სურდათ ეჩვენებინათ, რომ ალექსანდრე ანქვაბი თავის თავს ვერ იცავს და ქვეყანას როგორღა უპატრონებსო.

ტერაქტის დღესვე ადგილობრივმა ოპოზიციამ ამ ტიპის განცხადება გააკეთა. უშიშარ ანქვაბს უსაფრთხოების პოლიტიკა დაუგმეს.

**თეა მარხვაიძე,**
**გაზეთი "ახალი თაობა", №92, 19 აპრილი, 2012 წელი**

# საია: „ქუთაისში პარლამენტის მშენებლობის პროცესი გაუმჭვირვალე და კორუფციულია"

**„ქუთაისში პარლამენტის მშენებლობა გაუმჭვირვალედ და კორუფციულად მიმდინარეობს,"** – ამ ინფორმაციას, მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აქვეყნებს.

**საია**-ს წარმომადგენლების განცხადებით, ისინი მონიტორინგის გზით შეეცადნენ გამოერკვიათ, რამდენად კანონშესაბამისად და პროცედურების დაცვით ხორციელდებოდა ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობისათვის სამუშაოების შესყიდვა, რამდენად ეფექტურად და მიზნობრივად იხარჯებოდა გამოყოფილი თანხები.

მათივე თქმით, მონიტორინგის შედეგების ძირითადი საფუძველი გახდა ადმინისტრაციული ორგანოებიდან გამოთხოვილი და მიღებული საჯარო ინფორმაცია.

**საია**-ს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად რამდენიმე დარღვევა გამოიკვეთა: საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემა; დაუსაბუთებლად გადამისამართება სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან; საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადის დარღვევა; სასამართლოს პოზიცია და გაუმჭვირვალობა.

**„ქუთაისის მერიის ბიუჯეტიდან 73 775 300 მილიონი ლარი განიკარგა აბსოლუტურად ბუნდოვნად და, მაღალი ალბათობით, კორუფციულად, რადგან სრულიად გაუმჭვირვალე პროცესი იძლევა ასეთი დასკვნის გაკეთების ლეგიტიმურ საფუძველს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საქართველოს პარლამენტის მშენებლობის პროცესი გაუმჭვირვალედ და სამართლებრივი ნორმების დაუცველად მიმდინარეობს,"** – აცხადებენ **საია**-ს წარმომადგენლები.



# სააკაშვილის წინასაარჩევნო გატრაქტორება

ინტერნეტსაიტებზე ქართველი ჟურნალისტები დაჟინებით აცხადებენ, რომ რეგიონებში ტრაქტორების გადანაწილების საკითხი, რომელიც ჩვეული ხმაურითა და შეპირებების ბუღის დაყენებით გააჟღერა სააკაშვილმა, ბუნდოვანია და ბევრ კითხვას ბადებს. რამდენიმე არასამთავრობომ და პოლიტიკურმა ორგანიზაციამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენციები გამართეს. **„ბოლო სამი წლის განმავლობაში, საქართველოში ტრაქტორები შემოჰყავდათ, მაგრამ დღემდე უცნობია, ეს ტრაქტორები სად მიჰყავთ, სად ანაწილებენ და ვის გადასცემენ. ჟურნალისტებმა ერთხელ მოახერხეს კახეთის რეგიონში ეპოვათ ტრაქტორები, რომლებსაც სახელმწიფო, დაახლოებით 50000 დოლარამდე ფასში ყიდდა. ფაქტია, რომ ეს საკითხი არ არის გამჭვირვალე და ბევრი კითხვა ჩნდება,"** – განაცხადეს პრესკონფერენციის ორგანიზატორებმა და ჟურნალისტებმა.

მათივე თქმით, გლეხს ამ ტრაქტორების გამოყენება, სრულად 300 ლარი უჯდება და შესაბამისად, საქართველოში დიზელის საწვავის სიძვირის პირობებში, ახალი ტექნიკა გლეხისთვის ხელმიუწვდომელია, საქართველო კი თანდათან ჰკარგავს სოფლის მეურნეობის პოტენციალს, რომლის აღდგენას ათწლეულები დასჭირდება

**„ყოველივე ეს წინასაარჩევნო პიარი უფროა, ვიდრე ეფექტურ შრომას დანატრებულ ქართველ გლეხზე ზრუნვა!"** – ქართველ ექსპერტთა კომპეტენტური დასკვნით სწორედ ასე ფიქრობს საქართველოს სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა.

**„გვახსენდება კომუნისტების დრო, როცა მუშაობდნენ მანქანათსატრაქტორო სადგურები და კოლმეურნეობებს შეუფერხებლად აწვდიდნენ ნებისმიერი სეზონისათვის აუცილებელ გამართულ ტექნიკას"** – აცხადებენ ჟურნალისტები და ხელისუფლებას მოუწოდებენ ტრაქტორების შემოყვანით პიარის ნაცვლად ქვეყანაში რეალური ცვლილების განხორციელებაზე იზრუნოს და სოფლის მეურნეობის თუ სხვა სამომხმარებლო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი დაარეგულიროს.

**საკუთარი ინფორმაცია**

# თურქი-მესხები: სალი აზრიდან გამომდინარე

თურქი-მესხების საქართველოში დაბრუნების საკითხი ოცდაათ წელზე მეტია, დღის წესრიგში დგას. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1989 წლის ფერღანის ტრაგედიის შემდეგ, როდესაც უზბეკებსა და თურქ-მესხებს შორის მომხდარი ჩხუბი, რომლის დროსაც ახალგაზრდა უზბეკი დაიღუპა, ეთნიკურ დაპირისპირებასა და მასობრივ ხოცვა-ჟლეტაში გადაიზარდა. თურქმა-მესხებმა ბევრი თვისტომი დაკარგეს, უსახლკაროდ დარჩნენ და საბჭოთა კავშირმა ისინი ხელმეორედ გამოაძევა – ამჯერად უზბეკეთიდან.

შეგახსენებთ, რომ მათი პირველი გადასახლება 1944 წელს მოხდა. თურქი მესხები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის მოსაზღვრე რაიონებში (სამცხე-ჯავახეთი) ცხოვრობდნენ, მტრისათვის ხელის შეწყობის ბრალდებით იძულებით იქნენ დეპორტირებული ყაზახეთში, ყირგიზეთსა და უზბეკეთში, სადაც ისინი ცალ-ცალკე დაბებში განასახლეს.

ამასთან, სხვადასხვა წყარო დეპორტირებულთა განსხვავებულ რაოდენობას ასახელებს – 90-დან 200 ათასამდე. არ არსებობს საერთო აზრი იმის თაობაზეც, ვინ გადაასახლეს ავბედით 1944-ში. რა თქმა უნდა, მკვლევარებთან კამათი ძნელია, მაგრამ მინდა, 1939 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები მოვიხმო, რომელთა მიხედვით, ახალციხის რაიონში 55 490 ადამიანი ცხოვრობდა. მაშ, სინამდვილეში რამდენი თურქი-მესხი მოწყვიტეს იძულებით თავის საცხოვრებელ ადგილს?

საერთაშორისო ორგანიზაციები შესაშური თანამიმდევრულობით შეგვახსენებენ, რომ 1999 წელს, ევროპის საბჭოში შესვლისას, საქართველომ ვალდებულება იკისრა, ორი წლის განმავლობაში მოემზადებინა კანონი თურქი-მესხების რეპატრიაციის შესახებ და მომდევნო 10 წლის განმავლობაში საქართველოში მათი დაბრუნებისთვის ორგანიზება გაეკეთებინა. და სახელდება ციფრი – დაახლოებით 300 ათასი (?) ადამიანი, რომლებსაც საქართველომ, ევროპის საბჭოში გაწევრების პირობების თანახმად, შესაძლებლობა უნდა მისცეს და ყველა პირობა შეუქმნას ისტორიულ სამშობლოში დასაბრუნებლად.

ახლა საქართველოს ხელისუფლებას იმაში ადანაშაულებენ, რომ ის შეგნებულად აჭიანურებს თურქი-მესხების დაბრუნების პროცესს, ხოლო 2007 წელს მიღებულ კანონს რეპატრიაციის შესახებ დეკლარაციულად მიიჩნევენ, რომელიც მხოლოდ ევროპის საბჭოს პრეტენზიების მოსახსნელად იქნა მიღებული.

საერთოდ, მინდა, გითხრათ, რომ ჩვენს ლიდერებს ყველასათვის თავის მოწონების მცდელობები ღუპავს. რა თქმა უნდა, ძნელია მტკიცება, მაგრამ ვფიქრობ, 1999 წელს მათ ამომრჩევლების წინაშე წატრაბახება მოუნდათ და ვალდებულებები ისე იკისრეს, რომ საკითხის მთელი სირთულე არ გაუცნობიერებიათ, მერე კი მათი შესრულების გაჭიანურების გზების ძიება დაიწყეს. გადაწყვეტილების მიღებისას მმართველი პარტია არ დაინტერესებულა, როგორ შეხვდებოდა ქართველი საზოგადოება, მისი ავტორიტეტული წარმომადგენლები საქართველოში თურქი-მესხების დაბრუნებას საერთოდ, და განსაკუთრებით – იმ რაიონებში, საიდანაც ისინი გადაასახლეს. ამგვარი რამ პოსტსაბჭოთა სივრცეში, სამწუხაროდ, ხშირად ხდება.

და ცოტა ვინმე თუ უფიქრდება, რომ უსამართლობაა, პოლიტიკოსთა შეცდომების გამო მთელი ქვეყანა კუთხეში მიიმწყვდიო. ყველას შესანიშნავად ესმის, რომ თურქი-მესხების პირველი არაადამიანური დეპორტაციის შემდეგ განვლილ თითქმის 70 წელიწადში როგორც მსოფლიოში, ისე რეგიონში ბევრი რამ შეიცვალა. დიახ, ამ ადამიანების სწრაფვა იქ დაბრუნებისაკენ, საიდანაც ისინი უმოწყალოდ გააძევეს, უდავოდ საფუძვლიანია. თუმცა არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის რეალიებიც, რომლებიც 1989 წლის ფერღანის ტრაგედიის შემდეგ მოხდა.

**„საქართველოში 300 ათასი თურქი-მესხის დაბრუნების“** ყველა ამ მოწოდების უკან ცეცხლთან თამაში იგრძნობა. ამიტომ სანამ ვიკითხავთ, რა უშლის ხელს საქართველოს ხელისუფლებას თურქი-მესხების დაბრუნების ორგანიზებაში, მოდი, ერთად დავფიქრდეთ:

– განა შეუძლია პატარა ქვეყანას, რომელიც ომების შედეგად თავისი ტერიტორიის 20%-ს ვერ აკონტროლებს და მიწების უკმარისობას განიცდის, დამატებით განათავსოს, გამოკვებოს და მოაწყოს 300 ათასი ადამიანი?

– სამართლიანია, დაჟინებით მოსთხოვო ოთხმილიონიან სახელმწიფოს, რომელსაც 500 ათასი საკუთარი დევნილი ჰყავს, დააბრუნოს 300 ათასი რეპატრიანტი, რომლებით სტალინის რეჟიმმა 70-ოდე წლის წინათ განდევნა?

– სომხეთ-თურქეთის დაპირისპირების გათვალისწინებით, განა გონივრულია 300 ათასი თურქი-მესხის დაბრუნება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას სომხები შეადგენენ?

– რეგიონში გეოპოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, როგორ მოეკიდება მართლმადიდებელი სახელმწიფო – რუსეთი საქართველოში კიდევ 300 ათასი მუსლიმანის გადმოსახლებას?

გარდა ჩამოთვლილი კითხვებისა, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველომ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა თურქი-მესხების დაბრუნებისა და ყოფილ გადასახლებულთა გარკვეული რაოდენობის დასავლეთ საქართველოში განსახლებისკენ.

ზუგდიდის ტრესტ **„ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის“** ყოფილი მთავარი ინჟინერი ილია დარასელია იხსენებს: **„საქართველოს სსრ მთავრობისგან სასწრაფო დაკვეთა მივიღეთ თურქი-მესხებისთვის სახლების მშენებლობაზე. 1989-1990 წლების განმავლობაში სოფლებში – ნარაზენი და ხეცერა – 40 სახლი ავაშენეთ, მთელი ორი ქუჩა. ქვის ორსართულიანი სახლები იყო, 240 კვ. მ. ფართობის. იქ ფერღანის ველზე ჟლეტას გადარჩენილი თურქი-მესხები ჩაასახლეს და ჩაის პლანტაციებში სამუშაოც მისცეს. მაგრამ საბოლოოდ ისინი ახალ ადგილს მაინც ვერ შეეგუენ. ადგილობრივი მოსახლეობისა და რეპატრიანტების მენტალიტეტი იმდენად განსხვავდებოდა, რომ მათ გვერდიგვერდ თანაცხოვრება ვერ შეძლეს. და ორი წლის განმავლობაში თურქმა-მესხებმა ზუგდიდის რაიონი დატოვეს და, როგორც ჩემთვის ცნობილია, კრასნოდარის მხარეში გადასახლდნენ. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ისინი არავის გაუყრია, ახალი საცხოვრებელი ადგილი მათ ნებაყოფლობით მიატოვეს“.**

მოდი, გულახდილად თქვათ, რომ ქართველებსა და თურქ-მესხებს შორის მენტალური შეუთავსებლობა არსებობს. და, ჩემი აზრით, მიზეზი სხვადასხვა სარწმუნოებაში არ უნდა ვეძებოთ. მიზეზი უფრო ეროვნული თვითშეგნების განსხვავებებშია. ქართველი საზოგადოება დღემდე სიფრთხილით ეკიდება თურქი-მესხების დაბრუნებას, მათი ლიდერების აგრესიულ პოზიციას. ამ სიფრთხილეს გარკვეული საფუძველი აქვს.

მოვიხმობ რამდენიმე ფრაგმენტს იერუსალიმის უნივერსიტეტთან არსებული ტრუმენის სახელობის მსოფლიოს პრობლემების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის, დოქტორ რეუვენ ენოქის (ისრაელი) პუბლიკაციიდან **„თურქი-მესხები – ლაშქრობა სამშობლოში“.**

დოკუმენტში, რომელიც 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, არის მიღებული: **„ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მუსლიმანური მოსახლეობის დელეგატთა გადაწყვეტილება“**, ნათქვამია: **„საქართველოს შემადგენლობაში მუსლიმანური მოსახლეობის მშვიდობიანი ცხოვრების შეუძლებლობის გამო ეთხოვოს თურქეთის მთავრობას, მიუერთოს თურქეთს ახალციხის მაზრა და ახალქალაქის მაზრის ნაწილი... და ამ დღიდან ეს ტერიტორიები თურქეთის ნაწილად ჩაითვალოს“.**

ან როგორ არ გაგვახსენდეს ცნობილი **„ლაშქრობა სამშობლოში“**, როდესაც 1990 წლის აგვისტოს დასაწყისში დაახლოებით ათას ხუთასი თურქი-მესხი ადლერში ჩავიდა და დედაწულიანად საქართველოში გამომგზავრებას აპირებდა.

ეს იყო პროვოკაცია, რომელსაც შესაძლოა, დიდი მსხვერპლი მოჰყოლოდა. საქართველოში თურქი-მესხების **„ლაშქრობის“** წინააღმდეგ ყველა ამხედრდა, როგორც ოფიციალური ხელისუფლება, ისე ეგრეთ წოდებული არაფორმალური გაერთიანებები. 8 აგვისტოს სოფელ ლესელიძეში, ზედ საზღვართან მდებარე მოედანზე, აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების რამდენიმე ათასი მცხოვრები შეიკრიბა და სტიქიური მიტინგი ჩაატარა, რომლის მონაწილეებმა მიმართეს მრავალეროვნული რეგიონის ყველა მცხოვრებს – გზა გადაეკეტათ **„დაუპატიჟებელი სტუმრებისთვის“**. მეორე დღეს ლესელიძეში ხალხი მთელი დასავლეთ საქართველოდან ჩავიდა.

შეტაკების თავიდან აცილებას როგორც ოფიციალური ხელისუფლების, ისე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები ცდილობდნენ. დაბოლოს, 10 აგვისტოს, თურქი-მესხების, აფხაზეთისა და ქალაქ სოჭის ხელმძღვანელობის წარმომადგენელთა სამმხრივ თათბირზე მიღწეულ იქნა შეთანხმება დაგეგმილი ლაშქრობის გადადების თაობაზე.

როგორც ქალაქ სოჭის მერმა **„იზვესტიას“** კორესპონდენტს აცნობა, მათ შეძლეს, დაერწმუნებინათ **„ვათანის“** ლიდერები, რომ მათი მხრიდან უფრო გონივრული იქნება, დაიშალონ და პრობლემის ოფიციალურ დონეზე გადაჭრას დაელოდონ.

დაძაბულობა კიდევ რამდენიმე დღეს შენარჩუნდა, სანამ სოჭის ხელმძღვანელობის აქტიური მონაწილეობით ქალაქი თურქი-მესხების ბოლო ჯგუფებმაც არ დატოვეს. დიახ, იმ მომენტიდან, როდესაც 1999 წლის 19 იანვარს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველო 41-ე წევრად მიიღო, 12 წელიწადზე მეტი გავიდა. დიახ, საქართველოს ხელისუფლებამ ვალდებულება იკისრა, ორი წლის განმავლობაში მოემზადებინა კანონი თურქი-მესხების რეპატრიაციის შესახებ და მომდევნო 10 წლის განმავლობაში საქართველოში მათი დაბრუნებისთვის ორგანიზება გაეკეთებინა...

მაგრამ – ღმერთმა გონება მოგვცა და ამით უბედურებებისგან დაგვიცვა. რეალისტები უნდა ვიყოთ და ვაღიაროთ, რომ თურქი-მესხების დაბრუნების პრობლემა ხელის ერთი დაკვრით არ გადაიჭრება. ვალდებულებების შესრულებისაკენ მთელი ეს მოწოდებები, ექსპერტთა კამათი იმის თაობაზე, ვინ მართალია და ვინ – დამნაშავე, შედეგს არ მოიტანს. იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც ისტორიულ წარსულთან არის დაკავშირებული და გავლენას ახდენს იმაზე, რაც დღეს ხდება, პოლიტიკურ ნებას უკავშირდება. გამოავლენენ პოლიტიკურ ნებას – და ამ მიმართულებით წინ წაწევას გადაწყვეტენ. ან, დავუშვათ, არ გამოავლენენ და დაცდას ამჯობინებენ.

უნდა ვაღიაროთ, რომ მთელი ქართველი საზოგადოება ჯერჯერობით ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის მზად არ არის. ვვარაუდობ, რომ თურქი-მესხების რეპატრიაციის საკითხი, რომელთა უმრავლესობა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ცხოვრობს, რუსეთის მონაწილეობის და, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ხელშეწყობისა და გაგების გარეშე ვერ გადაწყდება. საჭიროა სიტუაციის უფრო დეტალურად გაანალიზება, მომავალზე ორიენტაციის აღება და ქარიშხლისებური ნახტომის ნაცვლად ზომიერი ნაბიჯებისთვის უპირატესობის მინიჭება – გადაწყვეტილებების განსაკუთრებული სიფრთხილით მიღება. ცხოვრება მაინც თავისას გაიტანს და მოვლენათა ლოგიკა მხარეებს აიძულებს, სალი აზრიდან გამომდინარე იმოქმედონ.

**ტატო ლასხიშვილი**
**გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორი**

# პოეზიის კუთხე

## გურამ ჯიქია

### ნანაში ზოკული

სქანი სვენაშ თოლიჯგუა,
ღორონთქ დიხას ვადალუნი,
დღაში ვაშიჭყოლიდუა
აია დო მარგალური.

სქან ქიანას სი ჩურცხინე,
ტერი გუგაგვარგვალუნი.
ბორჯი ორე გიკურცხინე,
გვერშაპი მურს ბჟადალური.

გაკურცხინე სამოჯგირო,
მუშენ ვარწყექ ვარდა თესი:
ბჟაშ მაჯინუ სქანი ყილოს
ღერ ფაფარი ვადატესი.

ხო ქარჭყექი სქუა ჯგირო,
მირაგადუ გოღათ თეში...
ფაფარამი სქანი ყილო
შხურიცალო გოღაჭესი.

ვაგორკუნა ხე დო კუჩხი,
გაზეს გერდა ძამ მანგარო,
რინას ჯგირო გური ქუჩი,
ოიჭკომეს სამარგალო.

მოკო სქუა ჯგირო ორდენ,
ეკოხედე მუმათ ყებურს,
ქომოლ სქუალეფი მორდე,
ვემეჩქუდას მუნარკებუ.

ტერ-მოჯგირეში ჩინება
სქუალეფსი ქიდაგურე,
ორე ღორონთიში ნება
ჯა დო ბინეხ ქიდარგუე.

ინჭა ოკო დოთხორენი,
ვარე ჩქიმი მოგონელი...
მოჯგირეფი სოთ ქორენი,
არძო ოკო დოგორენი.

ჯვეშოთ გებენეფით ოფე
სქან ქიანა დიდი რდუნი,
მოლიმარი, მო ოროფე,
მარგალურო იბირდუნი.

გარძე მა სი რინაშ კილას,
დილაირდას მა ალენი,
ტერიწკუმა ვეგნიკინა
ბორჯიშ ყამა გა ალენი.

თე ზოკული ჯგირო მისკვი,
ნანას მეტი მუ მაჩინე,
ვაწიფორა თოლებს ნირსი,
ქორდა თეში გიმაშინეთ.

ვარკ სვენაში თოლი ვარი,
თენა მა სი ქოდამჯერი...
მარგალი რე მოლიმარი,
მარა ოკო მუმა ნჯღვერი.

რჩქინა ნერჩო ვაგირჩუ და
ხე ნჯღვერუა ვართ ინდინე;
მუ ქიმინენ ვაგიჩქუ და
მუთუნ ოკო ვაქიმინე.

გაჭყოლიდე ორე ვართი,
რინას ვარდე პასიური...
ო, დო სქუა ხოლო ართი
ნარაგადუ აზიური.

ყილოში ჯარს შხურიშ დუდით
უჯგუ შხურიშ მაფათ ყილო,
არძო ლიმას იმობრძგუდით,
დღას ვა ოფე სათაკილო.

აიაში ძუძუ-მარდი
სო აწგორე, სო გიშახე,
გურსუ ბორძგალს რზოგენს ვართი
დუშმანეფი მოყივჩაღე.

მახორობას ჯინჯი უნდა,
სქუა რექ დო ნარდი მაფუქ,
ბჟასა ქინგაჯინინუ და
სქანო ხანდა ვაბდინაფუ.

მარძგვანქ ლიმას დოშურდასი...
ველარძუდას ვარდა გური,
ნანა ირო ქორშუდასი,
აია დო მარგალური.

სქუა, ათეს დოიჩინა,
რინაშორო თეს მეგანდე:
სქუათ თიწკმა მეირჩქინა –
თოლს ბჟალარას გაუმანგენქ!

### თეჯნისი

იყო დრონი ღვთის წყალობა მფარავდა.
ვერ ამეხსნა ეს ცხოვრება – შარადა.
ისე განვლე მე სიცოცხლე, არა და
ვერ შევიცან მოვლინების მიზანი.

მაგრამ როცა თვალი რომ ამეხილა,
არად ყოფნით სული რომ დამეხილა;
რად ვიგემე ეგ სიცოცხლე მე ხილად,
ვარ ამ ქვეყნის დროებითი ხიზანი.

# რატომ არ მოსწონთ კახეთში ნებაყოფლობითი რეზერვი – „ყველა თავს იკავებს ამ რეზერვში მისვლისგან“ – გიორგი მოსიაშვილი



„სამეგრელოს შემდეგ შეიარაღებული ფორმირებების, ამ ე.წ. ნებაყოფლობითი რეზერვის ჩამოყალიბება კახეთის რეგიონში დაიწყო. მინდა თავშივე აღვნიშნო და ხაზი გავუსვა ერთ რამეს – საქართველოში არის კანონით გამყარებული სარეზერვო სამსახურში მონაწილეობის მიღება და გავლა, მაგრამ ეს სხვა რამ არის და როგორც ხელისუფლებამაც შემდეგ გაასაჯაროვა, ეს არის არა ის რეზერვი, რომელსაც კანონი ითვალისწინებს, არამედ ე.წ. ნებაყოფლობითი რეზერვი, სადაც ადამიანებს შეუძლიათ ნებაყოფლობით ჩაწერა. ასე ვთქვათ, სტიქიური უბედურებების დროს. და აქვე იყო თავიდან ჯერ შეფარულად ნათქვამი და შემდეგ უკვე ხმამაღლაც თქვეს, რომ სხვადასხვა თავდასხმებისა და საბრძოლო მოქმედებების დროს მიიღებდა ეს ხალხი ამ პროცესებში მონაწილეობას“, – აცხადებს **„თავისუფალი საქართველოს“** კახეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი მოსიაშვილი ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში, სათაურით **“კახეთში ნებაყოფლობითი რეზერვი არ მოსწონთ”.**

„ჩემი ინფორმაციით, მათ განუმარტეს, რომ აბსოლუტურად ყველას, როცა დასრულდებოდა სიების შედგენა, დაენიშნებოდათ ათმეთაურები, ოცმეთაურები და ბატალიონის მეთაურები. გარდა ამისა, გადაეცემოდათ ფორმა – სამხედრო უნიფორმაზეა საუბარი, რომელიც ყველას ექნებოდა სახლში, ხოლო იარაღი, ვთქვათ, სოფლის თუ მუნიციპალიტეტების პოლიციის სხვადასხვა განყოფილებებში იქნებოდა შენახული. საჭიროების შემთხვევაში კი გამოცხადდებოდნენ კონკრეტულ ადგილას, მაგალითად, სოფლის კლუბში ან გამგეობის შენობაში და იქ უკვე აიღებდნენ იარაღს – აი, ამ ყველაფერმა მიიღო უკვე ძალიან სახიფათო მასშტაბი და ყველაზე ნიშანდობლივი არის ის, რომ სხვადასხვა სოფლებში ეს ძირითადად დაიწყო არა პირდაპირ მუნიციპალიტეტებში ანუ რაიონულ ცენტრებში, არამედ უფრო სოფლებში. ამ სოფლებში ჯერ ჩადიან დაბალი რანგის სამხედრო მოსამსახურეები და მუნიციპალიტეტში არსებული გაწვევის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც ამზადებენ, მობილიზებას უკეთებენ მოსახლეობის განსაზღვრულ ნაწილს. ეს ნაწილი კი ძირითადად ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერია. ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც არჩევნებისთვის და საარჩევნოდ ნაციონალური მოძრაობა აქტიურად იყენებს. უბნებზე ჰყავთ დამკვირვებლებად, კომისიის წევრებად და ა.შ. ეს ის ხალხია, რომელიც ისედაც ნაციონალური მოძრაობის აგიტაციას ეწევა“, – აღნიშნავს გამოცემის კორესპონდენტთან საუბრისას გიორგი მოსიაშვილი.

„ჯერჯერობით მხოლოდ მათზეა საუბარი. თუმცა პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომ ჩვენ ვართ 50 000-ზე ასული და 100 000-ზე უნდა ავიდეთო და ჩემი ინფორმაციით, ამ ადამიანებს მიეცათ დავალება, რომ სხვა ადამიანებზეც გავიდნენ – ისეთებზე, ვინც პოლიტიკურად ნეიტრალურია, გინდაც რომელიმე ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერია, ანუ უნდა მოხდეს მათი გადაბირება, ამ წვრთნებში ჩართვა. მაგალითად, დედოფლისწყაროს მაგალითზე გეტყვით: ჩავიდა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ვინმე ინგა პავლიაშვილი დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში, ორი დღე იმუშავა, კარდაკარ დადიოდა სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულთან ერთად, შეადგინა, ასე ვთქვათ, დოსიეები, ვინ არიან ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერები, ხოლო ორი დღის შემდეგ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი, გვარად ბეგაშვილი ჩამოვიდა, შეხვდა ამ ხალხს და განუმარტა, რომ თუ ისეთი შემთხვევა იქნება, რომ საქართველოს საბრძოლო მოქმედებებში მოუწია ჩართვამ, მათ ექნებათ იარაღი მიმაგრებული და მიიღებენ ამაში მონაწილეობას“, – განაგრძობს რესპონდენტი.

„ყველაზე აღმაშფოთებელი ფაქტი იცით, რა არის? იმ ადამიანებს, რომლებიც საზღვრის პირას ცხოვრობენ, უთხრეს – თქვენ გაივლით წვრთნას, რომელიც ხუთდღიანია და ამის შემდეგ, არა საბრძოლო მოქმედებების პერიოდში დაგირიგებთ იარაღს, არამედ ამ წვრთნის გავლის შემდეგ მიიღებთ იარაღსო. ბუნებრივი კითხვა ჩნდება – ხუთდღიან გადამზადებით განა იმდენი რა უნდა შეისწავლოს ადამიანმა, რომ ვანდოთ იარაღი. გასაგებია, რომ საზღვრისპირაა, მაგრამ იარაღი რომ მასობრივად დარიგდება სოფელში, ამას შეიძლება უბედურებები მოჰყვეს. რისთვის ურიგებენ იარაღს და რა საბრძოლო მოქმედებებზეა საუბარი, არ დაუკონკრეტებიათ. ხელისუფლებამ დაიწყო ეს ყველაფერი სამეგრელოდან, მაგრამ რომ ვერ დაფარა, პრევენციული მიზნით, ბოკერიას საშუალებით მედიაში გააჟღერა ასეთი მომენტი, რომ არ გამორიცხავდნენ რაღაც პროვოკაციებს რუსეთის მხრიდან და აქედან გამომდინარე, პრევენციულად თუ ორგანიზებულად რომ შეხვდნენ, ასე ვთქვათ ამ პროვოკაციას, ამიტომ ქმნიან თურმე ასეთ დაჯგუფებებს. აი, ეს უკვე იწვევს ეჭვს ძალიან ბევრ რამეზე – მაშინ როდესაც არჩევნები კარს არის მომდგარი და შესაძლებელია ნაციონალურმა მოძრაობამ ვეღარ გააყალბოს ეს არჩევნები, რადგან გაყალბებული არჩევნების ლეგიტიმაცია აღარ მოხდება, ამის გამო ათას რამეს მოიფიქრებენ, არ ვიცი, ხელისუფლებას რა მოუვა თავში და ამას როგორ გამოიყენებს“, – მიიჩნევს გიორგი მოსიაშვილი.

„უნდა გითხრათ, რომ რაღაც დონის სამხედრო განათლება მაქვს და საქართველოში წარმოებულ ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებულ ყველა ბრძოლაში მიმიღია მონაწილეობა, პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული და სამშვიდობო ოპერაცია რომ მოეწყო, ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოსტზე ვმუშაობდი და გეტყვით, რომ ასე საბრძოლო ეფექტს ვერ მივიღებთ. მეტიც, ამ ხუთდღიანი გადამზადებით და თუ ისიც მოხდა, რომ იარაღიც დაარიგეს, ამას გართულებები უფრო მოჰყვება, ვიდრე პოზიტივები. ჯარში ხალხი ორი წელიწადია და იქ ვერ სწავლობს ვერაფერს და ხუთ დღეში რა უნდა ასწავლონ ამათ. არ ვიცი, ეს არის ისეთი თემა, რომ შეიძლება ორი მიმართულებით იყოს: ერთი შიდა მოხმარებისთვის, მეორე – გარე ფაქტორისთვის, ვიღაცას დაანახვონ, რომ შეიარაღებული რაზმები ჰყავთ. მე მაინც მგონია, რომ ეს არის შიდა მოხმარებისთვის“,– დასძენს რესპონდენტი და შეკითხვას – „ხელისუფლება კი ჯიუტად ირწმუნება, რადგან 2008 წელს რეზერვმა არ გაამართლა, სწორედ ახლა ვმუშაობთ ამ მიმართულებით, ეს არის და ესო...“ – პასუხობს:

„ეს უსუსური არგუმენტია – 45-დღიანმა რეზერვმა ვერ გაამართლა და ახლა ხუთდღიანი გაამართლებს? 45 დღეს ამზადებდნენ ამ ხალხს, კანონით დადგენილიც იყო ეს გაწვევა და როგორ შეიძლება მოსახლეობამ ირწმუნოს ის, რომ ხუთ დღეში გადამზადებული ადამიანი გაამართლებს? რაც შეეხება საუბრებს, რომ მოსახლება სიხარულით შეხვდა ამ ნებაყოფლობით რეზერვს, ეს ტყუილია. კახეთში სკეპტიკურად შეხვდნენ ამას. მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის წევრები შეხვდნენ დიდი აღტაცებით. მოსახლეობაში ეს პოპულარობას ვერ პოულობს და ამ ეტაპზე ყველა თავს იკავებს ამ რეზერვში მისვლისგან. მეტიც, ეჭვის თვალით უყურებენ. ვიმეორებ, ვაშას ძახილით ამ რეზერვში არ ერთიანდებიან. მოსახლეობის ნაწილი კი დაშინებულია და ბუნებრივია, აქვს კიდეც ამ შიშის საფუძველი: სამსახურის, ბიზნესის და ა.შ. დაკარგვის შიშით დაშინებულ-გაჩუმებულ ხალხს კიდევ ერთი შიშის ფაქტორი დაუმატეს, რომელსაც ნებაყოფლობითი რეზერვი ჰქვია“.

# „რად მინდა აშენებული ოზურგეთი, თუ სოფელში მშიერი მოვკვდები?“

საგაზაფხულო სამუშაოების დროულად და სრულყოფილად ჩატარება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. სოფელი ნაგომარი ერთი იმ სოფელთაგანია, რომლის მცხოვრებლებიც, ძირითადად, გასაჭირსა და ეკონომიკურ სიდუხჭირეზე საუბრობენ. ბევრს უაზრო საქმედ მიაჩნია მხოლოდ ქალაქის ცენტრალური ადგილებისა და ფასადების რეკონსტრუქცია მაშინ, როცა ხალხი უკიდურეს სიღარიბეშია, მთავრობა კი **„თვალის მოსატყუებლად“** ხმაურობს. **„სოფელში მოვიდნენ და ნახონ, ხალხი როგორ ცხოვრობს, რა უჭირს თითოეულ ოჯახს. ორი კაცი იპოვნონ, რომელსაც ამ გაზაფხულზე ნისიად არ ექნება ყანა დასახნავი, რას გვიზამს 30-ლარიანი ვაუჩერი, როცა ყოველდღე ძვირდება საწვავი? ივნისამდე თუ ასე გაგრძელდა, იქნებ, ხელში ცარიელი ქაღალდი შეგვრჩეს“,** – ამბობენ ისინი.

**დათო თევდორაძე**: – ჯებირი, რომელიც ადრე მდინარემ წაიღო, გასაკეთებელია. ყანები დაუთესავი რჩება, ხალხს ფული არ აქვს, საწვავი ძვირდება. მდინარის წყალი ისეა მოახლოებული გზასთან, 8 მეტრიღაა მათ შორის მანძილი დარჩენილი. აქ ზომლეთელებს მოჰყავდათ სიმინდი, თუმცა, მდინარემ შეიცვალა კალაპოტი და დაახლოებით, 3 ჰექტარი ფართობი დატბორა. ხალხი პენსიის ამარაა. რა ქნას სოფლის რწმუნებულმა – ცარიელ სკამზე ზის, ბევრს არაფერს ეკითხებიან. ის ხომ არ გვიქირავებს ტრაქტორს? შენ უნდა იქირავო და შენ უნდა ეპატრონო საკუთარ თავს. თუმცა, რამდენად გინდა, გაანაწილო პენსია – საჭმელს ამყოფინებ, წამლის თუ ყანას? სამუშაო არსადაა, გლეხმა რომ იმუშაოს. ახლა მხოლოდ ერთი ფიქრი მიტრიალებს თავში – რა მეშველება, ყანა თუ ვერ დავთესე? ოზურგეთი შენდებაო, რად მინდა ლამაზი ქალაქი, თუ სოფელში მშიერი ვიქნები?

**ციალა გოგიბერიძე**: – პრობლემის მეტი რა გვაქვს, მაგრამ ერთზე მინდა გავამახვილო ყურადღება. 20-ლარიანი ელექტროვაუჩერი რომ დაგვირიგეს, მარტის დავალიანება გადაგვახდევინეს 21 ლარი, მოხმარებული კი სულ მქონდა 6 ლარი და 80 თეთრის შუქი. იმდენი ფული **„დამაწერეს“**, არ მეყო 20-ლარიანი ვაუჩერი. ჩვენთან ჯერ არ არის ინდივიდუალური გამრიცხველიანება. მეორეც – საწვავი ძვირია, 2 ლარი და 35 თეთრი ღირს. ახლა საგაზაფხულო სამუშაოები უნდა დაიწყოს. ჯერ დახვნის საქმე როგორ უნდა მოვაგვაროთ და მერე, აზოტი როგორ უნდა შევიძინოთ? აზოტის ქარხანა მაინც ხომ არის საქართველოში? ერთი ტომარა სასუქი 46 ლარი ღირს. რომ დაგვირიგეს 30-ლარიანი ვაუჩერი, როგორ ვიკმაროთ? ყოველდღე ყველაფერი ძვირდება. გეფიცებით, მთელი სოფელი რომ მოიაროთ, ყველა გეტყვით, რომ ყოველი დილა იმაზე ფიქრით იწყება, რა გავყიდოთ, რითი ვიშოვოთ ფული, რომ ყანა დავთესოთ. მე, პირადად, 60 ლიტრი დიზელის საწვავი მჭირდება. ყველა ასეა აქ და დარწმუნებული ვარ, ასე იქნება ყველა სოფელში. შეიძლება, დაუმუშავებელი დარჩეს მრავალი ფართობი. სოფელში ერთი ტრაქტორია, ისიც დანჯღრეული. ერთი პენსიონერი მყავს ოჯახში – ჩემი მეუღლე. რამდენს ეყოფა ერთი კაცის პენსია? ჩემს შვილს იურიდიული ფაკულტეტი აქვს დამთავრებული და უმუშევარია. სოფელი ყანის გარეშე შეიძლება? ჩვენს არსებობას საფრთხე ექმნება.

**რევაზ დუმბაძე**: – ჩვენი სოფლის უმთავრესი საფიქრალი და პრობლემა ახლა არის სახნავი ფართობების დამუშავება. უჭირს ხალხს, არ აქვს საწვავის შესაძენი ფული, მეტზე არაფერზე საუბრობენ ახლა.

**ჟ. მებრელიშვილი**

# სააკაშვილმა ტრამპი ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამერიკელი მილიარდერი დონალდ ტრამპი ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა. დაჯილდოების ცერემონია პრეზიდენტის სასახლეში, მიხეილ სააკაშვილისა და ტრამპის შეხვედრის შემდეგ გაიმართა.

მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ამ ორდენით ის უცხოელებს იშვიათად აჯილდოვებს. მისი თქმით, ტრამპისთვის ბრწყინვალების ორდენის გადაცემა დიდი პატივია, რადგან იგი არასდროს უშინდებოდა დაბრკოლებებს და რისკზე მიდიოდა.

მიხეილ სააკაშვილმა ასევე დასძინა, რომ საქართველოში ბოლო პერიოდში ბევრი მაღალი რანგის სტუმარი ჩამოდის, თუმცა დღეს სტუმრად მყოფი პიროვნება მისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

**„დონალდ ტრამპის ჩამოსვლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ანალიტიკური ცენტრის ან პოლიტოლოგის გამოკვლევა, რომ საქართველო ადგას წარმატების გზას. 80-მილიონიანი თურქეთის გარდა, კონტინენტურ ევროპაში საქართველო ერთერთია, სადაც ტრამპი თავის პარტნიორებთან ერთად ავითარებს თავის კომერციულ, საცხოვრებელ და სასტუმრო ცენტრს. ტრამპი მსოფლიო მასშტაბით წარმატებისა და ბრწყინვალების მართლაც განსაკუთრებული ნიმუშია. ამიტომ ჩემთვის დიდი პატივია ამ ორდენის თქვენთვის გადმოცემა“,** – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

დონალდ ტრამპი საქართველოს ვიზიტით 21 აპრილს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, დონალდ ტრამპმა მონაწილეობა მიიღო პროექტ – **„ტრამპ თაუერის“** პრეზენტაციაში, რომელიც ბათუმში გაიმართა. **„ტრამპ თაუერის“** პროექტი არქიტექტურული ფირმა „John Fotiadis Architect“-ის მიერ არის შემუშავებული. თანამედროვე 47 სართულიან შენობაში 80-დან 700 კვადრატულ მეტრამდე ფართობის ბინები განთავსდება, რომლებსაც ხედები შავი ზღვის სანაპიროსკენ ექნება.

22 აპრილს ასევე ჩატარდა ამერიკელი მილიარდერის პრესკონფერენცია ბათუმში. ტრამპის ვიზიტი საქართველოში ორ დღეს გაგრძელდა.

დონალდ ტრამპის კომპანიასა და **„სილქ როუდ ჯგუფს“** შორის თანამშრომლობის შეთანხმება 2011 წლის მარტში, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა. თუმცა, **“ავი ენები”** დიდი ხანია ამბობენ, რომ ტრამპი ერთი კაპიკის ინვესტირებსაც არ აპირებს საქართველოში და მან, თავისი სახელი, როგორც ბრენდი, რამდენიმე მილიონ დოლარად მიჰყიდა საქართველოს, რათა მიხეილ სააკაშვილმა წინასაარჩევნო პიარით ყურები გამოუჭედოს მოსახლეობას იმაზე ტრაბახით, რომ საქართველოს იდეალურმა საინვესტიციო გარემომ უკვე მსოფლიოში სახელგანთქმული მილიარდერები მოიზიდა და ამის შემდეგ კი უმუშევრობა აღმოიფხვრება და ქართველი ხალხი ნამდვილად აშენდებაო.

სახელგანთქმული კი ნამდვილად არის დონალდ ტრამპი, მაგრამ არა როგორც მილიარდერი, რომელსაც ამ კატეგორიის ადამიანების რეიტინგში მორიდებული 429-ე ადგილი უჭირავს თავისი ორნახევარი მილიარდი დოლარით. მან სახელი გაითქვა თავისი მექალთანეობით, რისთვისაც დაიმსახურა ალბათ მაღალი სახელმწიფო ჯილდო თავისი ასევე დროსტარებისა და რომანტიული თავგადასავლების მოყვარულ მეგობარ მიხეილ სააკაშვილისაგან!

ალბათ ამიტომაც იყო, რომ დაჯილდოების ცერემონიალზე სააკაშვილმა და ტრამპმა იმდენი აქეს ერთმანეთი, რომ კრილოვის იგავის გმირებს – გუგულსა და მამალსაც კი შეშურდებოდა...

როგორც ამბობენ, დროს კი ატარებთ, ბატონებო, და მილიარდებსაც შოულობთ, მაგრამ, ნუთუ არ იცით, რომ ამგვარი უნიჭო პოლიტიკურ-ახლომხედველური და წინასაარჩევნოდ გამიზნული სპექტაკლების დადგმით სოფელი არ აშენდება!

# ქართველი მსახიობები — გოგი გეგეჭკორი

საოცრად დახვეწილი, რაფინირებული ინტელიგენტი იყო. სიტყვაში **„ინტელიგენტი“** ისედაც ბევრი კარგი მოიაზრება და თუ დავუმატებთ ე.წ. რაფინირებას, ჩვენ წინ წარდგება ღირსებებით შემკული ადამიანი.

ასეთი გახლდათ გოგი გეგეჭკორი – თავაზიანი, თავმდაბალი, განათლებული, გემოვნებიანი და საოცრად თბილი ადამიანი. მისთვის სულერთი იყო, ვინ იდგა მის წინ – თეატრის დარაჯი, გამვლელი თუ დირექტორი, ყველას მოწიწებით ელაპარაკებოდა. უცნობებს ქუჩაში ქუდის მოხდით ესალმებოდა, დარაჯთან დადგებოდა და დაწვრილებით გამოჰკითხავდა ოჯახის ამბებს, ბავშვს მისთვის **„გასაგებ ენაზე“** საინტერესო ამბებს უყვებოდა. ეს არ გახლდათ ყოველდღიურობაზე მორგებული თეატრალური ნიღაბი, გოგი უაღრესად გულწრფელი იყო დიდსა და პატარასთან, განურჩევლად ასაკისა და თანამდებობისა.

გოგის მეუღლე, თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე, უპირველესად მისი სულიერი მეგობარი იყო. სწორედ ეს მჭევრმეტყველი ქალი ბრძანდებოდა ის ადამიანი, ვისთანაც ბატონ გოგის შეეძლო გულის მოოხება, მაგრამ ისე კი არა, რომ შეეწუხებინა, უბრალოდ, მიაჩნდა, რომ ნათელას ყველაფერი უნდა სცოდნოდა მასზე, – რა აწუხებდა, რა ახარებდა და რას ფიქრობდა.

ქალბატონი ნათელა მეუღლის სიკვდილის შემდეგ იხსენებდა:

**„ცნობილია, რომ მსახიობები დიდხანს ვერ ინარჩუნებენ ოჯახს. ეს წმინდა ფსიქოლოგიური ამბავია. ისინი როლების შესრულებისას ხასიათს იმდენჯერ იცვლიან, იმდენ თვისებას იძენენ უნებურად, რომ ძნელია, ეს ყველაფერი მშვიდ გარემოში „გადააგოროს“ ცოლ-ქმარმა, ზოგჯერ გატაცებაც მოდის, რომელიც სიყვარულში გადაიზრდება... მსგავსი რამ ჩვენს ურთიერთობაში არ მომხდარა, რადგან მე და გოგი ძალიან ვუგებდით ერთმანეთს. მართალია, ხშირად უწევდა გასტროლებზე წასვლა (თანაც ჩემ გარეშე), მაგრამ ჭორადაც კი არ მოსულა „სხვა ამბავი“ ჩემს ყურამდე. არ ვიცი, ფლირტი ჰქონდა თუ არა ვინმესთან, მაგრამ თუ ამას ისე აკეთებდა, რომ მე ვერ ვიგებდი, მაშინ ბარაქალა მის კაცობას... გოგი საოცრად ყურადღებიანი მეუღლე და მამა იყო. არ მახსოვს, უცხოეთში წასულს, ჩვენთვის არ ჩამოეტანოს უამრავი საჩუქარი. ყოველთვის გვანებივრებდა, წუნს ვერ დასდებდით მის ნაყიდს, უებრო გემოვნება ჰქონდა... ორი შვილი შეგვეძინა: მანანა და გიორგი. ქალიშვილი ფსიქოლოგია, ვაჟი კი – ფერმწერი. შვილებთან ორივე ძალიან მეგობრული ვიყავით. პატარებთანაც კი ისე განვიხილავდით საკითხებს, როგორც დიდ ადამიანებთან, ყოველთვის ვაგრძნობინებდით, რომ მათი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო“.**

გოგი გეგეჭკორმა და ნათელა ურუშაძემ ერთმანეთი თეატრალურ ინსტიტუტში გაიცნეს. მაშინ ინსტიტუტში მხოლოდ ორი ფაკულტეტი იყო, გოგი ერთი კურსით წინ უსწრებდა ნათელას. სპეციალობას ერთი და იგივე პედაგოგები ასწავლიდნენ: გიორგი ტოვსტონოგოვი და დიმიტრი ალექსიძე. ასე რომ, ინსტიტუტში ყველა ერთმანეთს იცნობდა.

ლექციები გვიან უმთავრდებოდათ და გოგი რატომღაც ყოველთვის ნათელას აცილებდა სახლამდე... მოგვიანებით, გოგონა შინაც ეპატიჟებოდა თავაზიან ყმაწვილს და ჭიქა ჩაიზე აგრძელებდნენ საუბარს ხელოვნებაზე, თეატრზე, სპექტაკლებზე. ნათელას დედას არ გამოჰპარვია ვაჟის ხშირი სტუმრობა და ერთხელაც, როცა მესამე ჭიქა ჩაი დალიეს, სტუმარი კი წასასვლელად ისევ ფეხს ითრევდა, სიცილით უკითხავს ქალიშვილისთვის: ვერ ხედავ, რომ ამ ჩვენს სტუმარს არ უნდა წასვლა, ხომ არ დაგვეტოვებინაო... გოგის გაღიმებია და ნათელასთვის უთქვამს: ხომ ხედავ, დედაშენი ხვდება და შენ რით ვერ მიგახვედრე, რომ ჩვენი ურთიერთობა დიდი ხანია მეგობრულს გასცდაო.

მათ 1953 წლის მარტს იქორწინეს. სტალინი ახალი გარდაცვლილი იყო, ამიტომაც მხოლოდ ხელი მოაწერეს მმაჩის ბიუროში, ქორწილი კი აღარ გადაუხდიათ. არ გასულა რამდენიმე დღე და თეატრალურ ინსტიტუტში საჩივრის წერილი მისულა. იმ დროს ნათელა ურუშაძე უკვე ინსტიტუტში მუშაობდა, პრორექტორი კი აკაკი ფაღავა გახლდათ. ბატონმა აკაკიმ წინ დაუდო ნათელას წერილი, სადაც ერთი **„ძალიან აღშფოთებული“** ადამიანი წერდა შემდეგს: სამარცხვინო რამ ხდება თქვენს სასწავლებელში. მაშინ, როცა მთელი საბჭოთა ქვეყანა გლოვობს დიდი ბელადის გარდაცვალებას, თქვენი თანამშრომელი ბედნიერდებაო. ფრიად შეწუხებულმა პრორექტორმა არ იცოდა, რა პასუხი გაეცა სტალინის გულშემატკივრისთვის. ნათელამ კი უცებ იპოვა გამოსავალი: მისწერეთ ამ ადამიანს, გლოვის დღეებში თუკი მუშაობდა მმაჩის ბიურო, ჩანს, იქ ხელის მოწერაც შეიძლებოდაო... მოკლედ, მშვიდად ჩაიარა მათმა ხელმოწერამ.

გიორგი გეგეჭკორმა თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაიწყო რუსთაველის თეატრში მუშაობა. შესრულებული აქვს 120 როლი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მის მიერ განსახიერებული ნიკოლოზ ბარათაშვილი (მიხეილ მრევლიშვილის პიესაში **„ბედი მგოსნისა“**), შემდეგ იყო დონ სეზარი (**„დონ სეზარ დე ბაზანი“**), მგელი (**„ჭინჭრაქა“**), ტიგრან გულოიანი (**„საბრალდებო დასკვნა“**) და საოცარი, ტრაგიკომიკური პლატონ სამანიშვილი (**„სამანიშვილის დედინაცვალი“**).

კინოშიც 50-მდე როლი აქვს ნათამაშები, რომელთა შორის არაჩვეულებრივია **„არდადეგები“**. ალბათ, ბევრს ახსოვს მეცხვარე ძაღლებით გარშემორტყმული გოგის განწირული ყვირილი: **„დათა, კაცო, შემჭამეს შენმა ძაღლებმა, გამომხედე...“** და მიუხედავად ფილმის პერსონაჟის უზომო შიშისა და სასოწარკვეთილებისა, ძნელია შეიკავო გულიდან ამომსკდარი ხარხარი.

ერთხელ, როცა მასთან ინტერვიუს ჩასაწერად მივედი, მთხოვა, თუ შეიძლება თვალს გადავავლებ, სანამ დაიბეჭდება წერილიო. თხოვნა შევუსრულე. ჯერ ათასი მადლობა გადამიხადა იმისთვის, რომ მისი სურვილი გავითვალისწინე, მერე ბოდიშიც მომიხადა, რომ მეორედ მიმიყვანა. ბოლოს, როცა წერილი წაიკითხა, მორიდებით მთხოვა: შესავალში ბევრი ქება გიწერიათ ჩემზე და მეუხერხულება, ამოიღეთ ეგ ნაწილიო. ეს თხოვნა ველარ შევუსრულე. როგორი გოგიც დავინახე, ისეთზე დავწერე... ის კი უდავოდ იმსახურებდა იმ თბილ სიტყვებს.

**მ. ბაბუნაშვილი**



# ნანა შონია: „როგორ შეიძლება, თეატრიდან მსახიობები მხოლოდ იმიტომ გაუშვა, რომ ივანიშვილის დახმარებაზე უარი არ თქვეს?“

***მსახიობ ნანა შონიას თეატრალურ სცენასა თუ კინოში არაერთი შთამბეჭდავი სახე აქვს შექმნილი. მისი გმირები მაყურებელს არასოდეს ავიწყდება, რადგან თან ძალზე ცხოვრებისეულია, თან – განზოგადებული, საყოველთაო. სამწუხაროდ, დღეს ნანა შონია არც ერთი თეატრის დასში არ ირიცხება... მსახიობი დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება.***

**– როგორ შეაფასებთ ამჟამად ქართულ თეატრში შექმნილ ვითარებას?**

– ქართულ თეატრში ნამდვილად არ არის სახარბიელო სიტუაცია. რუსთაველის თეატრის სცენა, რომელიც ჩემთვის ძალზე ძვირფასია, ხშირად ეთმობა ათასგვარ შოუს. მინდა, მეტი დრამატული სპექტაკლი დაიდგას ამ სცენაზე, მუშაობის საშუალება ჰქონდეთ ისეთ რეჟისორებს, როგორებიც არიან **„გაძევებული“** რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, ისევე როგორც ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებიც ქართული თეატრის საუკეთესო ტრადიციებზე არიან აღზრდილი. ქართული თეატრი, კინო სწორედ ის ფენომენია, რითაც მსოფლიოში გვიცნობენ. მახსოვს, ჯერ კიდევ წლების წინ, როცა ინგლისში **„სამანიშვილის დედინაცვალს“** ვთამაშობდი, ვშიშობდი: გაიგებენ-მეთქი?! გაიგეს კი არა, ყველა დეტალზე ისეთი რეაქცია ჰქონდათ, შუა იმერეთში მეგონა თავი. მოგვიანებით გვითხრეს: ქართველები განსაკუთრებულები ხართო და ამ ფრაზაში არის ჭეშმარიტების მარცვალი. ჩვენში არის განსაკუთრებული არტისტიზმი. დღეს თეატრალურ სამყაროში მიმდინარე მოვლენებიდან ბევრი რამ არის ჩემთვის მიუღებელი. როგორ შეიძლება, თეატრიდან მხოლოდ იმიტომ გაუშვა მსახიობები, რომ მათ ბიძინა ივანიშვილის დახმარებაზე უარი არ თქვეს, მაშინ როცა თითქმის მთელი დასი იღებდა მისგან ამავე შემწეობას წლების განმავლობაში?

როგორ შეიძლება, დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრიდან გაუშვა რევაზ თავართქილაძე და ლადო მექვაბიშვილი – ამ თეატრის კორიფეები?

**– რით ახსნით, რომ დღეს ნანა შონია სცენაზე არ დგას?**

– მიზეზთა გამო, რომელიც ჩემგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა, ჯერ კიდევ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვამდე მომიხდა წამოსვლა როგორც თეატრალური სარდაფიდან, ისე რუსთაველის თეატრიდან. დღევანდელ სიტუაციაში კი რომელი თეატრის მმართველი დათანხმდება ჩემს შტატში აყვანას, მით უმეტეს, რომ კარგად იციან, არავის არაფერს ვთხოვ?! ასევეა ტელეპროექტებში, კოლეგები მეუბნებიან, რომ როგორც კი ჩემს გვარ-სახელამდე მივა საქმე, ვიბლოკები... მაგრამ ეს ტრაგედიად ნამდვილად არ მიმაჩნია, მეტიც, ეს, ალბათ, ლოგიკურიც არის, რადგან დღეს ამისი დრო არ არის.

**– თქვენი არაერთი კოლეგა ამბობს: მე ჩემს საქმეს ვაკეთებ და ამით ვამბობ სათქმელსო.**

– ჩემი პროფესია მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ არ მესმის, მხოლოდ სცენიდან როგორ უნდა თქვა სათქმელი, მით უმეტეს დღეს? ჩემს პოზიციას არასოდეს ვმალავ, მე ხომ მარტო მსახიობი არ ვარ?! ვარ მოქალაქე, პიროვნება. ნურავინ მოიტყუებს თავს, რომ მაყურებელს, მით უმეტეს დღეს, არტისტის მორალური სახე, პოზიცია არ აინტერესებს. მიმაჩნია, რომ ამ გზითაც უნდა მივიტანო ჩემი სათქმელი მაყურებლამდე, გავამხნევო ადამიანები, ხელოვნებაც ხომ ამას ემსახურება? ჩემმა მეგობარმა, კოლეგამ გია გაჩეჩილაძემ ტელეპროექტით **„საკანი №5“** უდიდესი საქმე გააკეთა და დროებით გვერდზე გადადო სცენა, თუმცა, ცხადია, მისმა პროფესიონალიზმმაც განაპირობა ამ პროექტის წარმატება. შედეგიც გამოიღო და კულმინაციაც ჰქონდა 26 მაისს, სტადიონზე. ამგვარი ტელეპროექტები დღესაც საჭიროა. მაქვს საინტერესო ტელეპროექტის იდეა, რომლის განხორციელების საშუალებაც, ვფიქრობ, მომეცემა.

**– რატომ გაწევრდით საზოგადოებრივ მოძრაობა „ამომრჩეველთა ლიგაში“? რის მიღწევას აპირებთ ამ გზით?**

– ცივილიზებულ, მართლაც დემოკრატიულ არჩევნებამდე საკმაოდ რთული გზაა გასავლელი, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ხელი შევუწყოთ მომავალი არჩევნების სამართლიანად ჩატარებას. ახლახან სხვადასხვა ქვეყნის საელჩოების წარმომადგენლებს შევხვდით და მათ წინაშე მეტად მნიშვნელოვანი საკითხი დავაყენეთ: საქმე ის არის, რომ დღევანდელი საარჩევნო კოდექსით, კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციას საარჩევნო პროცესზე დაკვირვებისთვის მხოლოდ ორი წარმომადგენლის ყოლის უფლება აქვს; რატომ უნდა იყოს, მით უმეტეს, ასეთი მნიშვნელოვანი არჩევნების წინ, დამკვირვებლების რაოდენობა **ცესკო-ს** კეთილ ნებაზე დამოკიდებული?

**– რას ფიქრობთ ქართველ ამომრჩეველზე, სჯერა მას არჩევნების გზით ქვეყანაში ვითარების შეცვლის?**

– ჩვენს ირგვლივ არაერთი შემთხვევაა, როცა **„ნაცმოძრაობის“** აქტივისტები აშანტაჟებენ ადამიანს, რათა მათ მისცენ ხმა. ახლახან ჩემთან მოვიდა ქალბატონი, რომელმაც მითხრა: სწორედ ეს ზეწოლა იწვევს ჩემში შინაგან პროტესტს, ამით ისინი თავიანთ მხარდამჭერებსაც კარგავენო... მიმაჩნია, რომ ყველა ღირსეული ადამიანის პოზიცია ასეთი უნდა იყოს. ფაქტია ისიც, რომ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ პოლიტიკაში ხალხი გამოაფხიზლა.

**– რით ახსნით, რომ როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დასავლეთის რეაქციას, ამა თუ იმ ელჩის გამონათქვამს...**

– როცა ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ ოპონენტთან დიალოგით მიზნის მიღწევას ვერ ახერხებ, იძულებული ხარ, საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართო. ესეც გამოუვალი ვითარებიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი საშუალებაა.

**– ხშირად კითხულობენ, ვინ დგას „ამომრჩეველთა ლიგის“ უკან: ერთნი ამბობენ, რომ ეს ლევან გაჩეჩილაძის მიერ შექმნილი ორგანიზაციაა, მეორენი კი თქვენს უკან „ქართული ოცნების“ ლიდერებს განიხილავენ...**

– როცა საერთო საქმე კეთდება, ქვეყნისთვის საჭირო საქმე, რა მნიშვნელობა აქვს კონკრეტულ გვარ-სახელებს? არ მესმის, რატომ უყვარს ხოლმე ჩვენი საზოგადოების ნაწილს ყველაფერში ჩაკირკიტება? ეს სამოქალაქო ორგანიზაციაა.

**– თქვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ჩიკვაიძე ლევან გაჩეჩილაძის თანამოაზრე იყო „ქართულ პარტიაში“, თქვენც მისი მეგობარი ხართ. რატომ აღარ აქტიურობს ლევან გაჩეჩილაძე პოლიტიკურ ასპარეზზე?**

– ლევან გაჩეჩილაძე ამ ეტაპზე პოლიტიკას ჩამოშორდა, ეს მისი გადაწყვეტილებაა, მიიჩნევს, რომ ასეა საჭირო. თუმცა **„ამომრჩეველთა ლიგის“** შექმნას დადებითად აფასებს და შემოგვიერთდება კიდეც. (2 აპრილს გავრცელდა ინფორმაცია, რომ **„ამომრჩეველთა ლიგას“** ლევან გაჩეჩილაძეც შეუერთდა – ნ.კ.).

**– 2007 წლიდან მოყოლებული აქტიურად ხართ ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, რომლის მთავარი ლოზუნგი იყო: „არ მეშინია!“. როგორ ფიქრობთ, დღეს დაძლეულია ეს შიში?**

– ჯერ ბოლომდე გატეხილი არ არის. შიში ჩვეულებრივი ადამიანური განცდაა, რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება, თუმცა, როცა ადამიანს მოთმინების ფიალა ევსება, ეს უკურეაქციას, საპროტესტო განწყობას იწვევს; ასე რომ, შიში, დათრგუნვილი ადამიანი ამ ხელისუფლების სანდო მოკავშირე არ არის. **„შიში შეიქმს სიყვარულსა“** ჩემთვის მიუღებელია.

**– არჩევნებამდე რამდენიმე თვე დარჩა, როგორ განვითარდება მოვლენები?**

– რა თქმა უნდა, იქნება უსიამოვნო მოულოდნელობები, რაღაცებისთვის ჩვენ მზადაც ვართ. მოახლოებული არჩევნები წყალგამყოფი იქნება, მჯერა, ქართველ ხალხს კარგად აქვს გაცნობიერებული მისი მნიშვნელობა და ბრძნულ არჩევანს გააკეთებს. შეცდომის დაშვების უფლება აღარ გვაქვს. მჯერა, ხალხი თავის სათქმელს იტყვის.

**ნ. კვიტაშვილი**



## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# მათ გასაგონად, ვისაც ქართული ფეხბურთი უპერსპექტივო ჰგონია!

უკრაინულ ვებგვერდ **„უა-ფუტბოლზე“** საინტერესო რუბრიკაა – **„რეტრო“**, სადაც, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიან საბჭოურ წლებს, როდესაც უკიდეგანო საბჭოთა კავშირის ეროვნულ ნაკრებში გვერდიგვერდ თამაშობდნენ რუსები, უკრაინელები, ქართველები, ბელორუსები; იშვიათად – სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც.

ათასში ერთხელ გავიხსენოთ, რომ ქართული ფეხბურთი 70 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში მოწინავეთა შორის იყო და აღმოსავლეთ ევროპის ნაკრებად მონათლულ გუნდში საქართველოს მუდმივად ჰყავდა ერთი ან რამდენიმე ღირსეული წარმომადგენლები.

უკრაინელებმა ამჯერად 1970 წელს მექსიკაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატი გაიხსენეს, სადაც საბჭოთა ნაკრებში მთავარმა მწვრთნელმა გავრილ კაჩალინმა ქართული ფეხბურთის ექვსი აღზრდილი წაიყვანა: მეკარე ანზორ კავაზაშვილი, მცველები მურთაზ ხურცილავა და რევაზ ძოძუაშვილი, ნახევარმცველი კახი ასათიანი და თავდამსხმელები – სლავა მეტრეველი და გივი ნოდია.

ჯგუფურ ეტაპზე საბჭოთა ნაკრებმა ფრედ ითამაშა უძნელესი მატჩი მასპინძელ მექსიკასთან (0:0). ძირითადში შემადგენლობაში იყვნენ კავაზაშვილი, ასათიანი და ნოდია. შემდეგ ტურში კაჩალინის შეგირდებმა ბელგიის უძლიერეს გუნდს 4:1 სძლიეს. ამჯერად ძირითადში ოთხმა ჩვენებურმა ითამაშა: კავაზაშვილმა, ხურცილავამ, ძოძუაშვილმა და ასათიანმა. ამ უკანასკნელმა 57-ე წუთზე ბელგიელებს ლამაზი გოლიც გაუტანა.

ბოლო შეხვედრაში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა სალვადორს 2:0 მოუგო, მწვრთნელმა წინა მატჩის ოთხეულიდან მხოლოდ ასათიანი დაასვენა. მეოთხედფინალში საბჭოელებმა ურუგვაისთან დამატებით დროში 0:1 წააგეს და ჩემპიონატს დაემშვიდობნენ. კავაზაშვილი, ხურცილავა, ძოძუაშვილი და ასათიანი ამჯერადაც ძირითადში იყვნენ. ამ ჩემპიონატში სლავა მეტრეველს კაჩალინმა მოედანზე გასვლის საშუალება არ მისცა, რაც ძვირად დაუჯდა კიდეც საბჭოთა კავშირის ნაკრებს.

ოთხი წარმომადგენელი ჰყავდა საქართველოს 1966 წელს ინგლისში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე: ანზორ კავაზაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა, და სლავა მეტრეველი, მაგრამ გარკვეული სუბიექტური მოსაზრებების გამო, საბჭოთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნიკოლაი მოროზოვმა საბჭოთა ფეხბურთის ბრწყინვალე ვარსკვლავი მიხეილ მესხი ტურნირზე არ წაიყვანა, ნაკრებმა კი მეოთხე ადგილი დაიკავა. არავინ იცის, როგორი შედეგით დაამთავრებდა საბჭოთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატს, ბრძოლებში **„ფინტების დიდოსტატი“** მიხეილ მესხი რომ ჩართულიყო.

1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საბჭოთა საფეხბურთო ნაკრებისთვის კონსტანტინე ბესკოვის, ვალერი ლობანოვსკისა და ნოდარ ახალკაცის სამეულს უნდა ეხელმძღვანელა, მაგრამ რეალურად ბესკოვი იყო **„პირველი ვიოლინო“**, რომელმაც ნაკრებში მიიწვია ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია და რამაზ შენგელია. ახლად ტრავმამოშუშებული დავით ყიფიანი ელოდა მის დაძახებას, მაგრამ ბესკოვი ყიფიანს იგნორირებას უკეთებდა და მის ადგილზე ტრავმირებული ლეონიდ ბურიაკი წაიყვანა, რაც შემდეგ ფეხბურთის სპეციალისტებმა მწვრთნელს დიდ სპორტულ შეცდომად ჩაუთვალეს.

ამის შემდეგ ქართული ფეხბურთის **„შესანიშნავმა ათიანმა“** სპორტული კარიერა დაასრულა.

ეს ისე, ისტორიის გასახსენებლად და მათ საყურადღებოდ, ვისაც ქართული ფეხბურთი უპერსპექტივო ჰგონია და საფეხბურთო სტადიონების სხვა სახეობისთვის გადაცემა ან სულაც საზამთროს ბაღჩებად გადაქცევა სურს.

სხვათა შორის, საქართველოს ეროვნული სტადიონი იმ ადგილას აშენდა, სადაც ადრე მოსახლეობას მართლაც ვენახები და ბაღჩები ჰქონდა გაშენებული. უხვად მოჰყავდათ მწვანილი, წიწმატი, ხახვი და საზამთრო, ბაღები სავსე იყო ხილის ხეებით, მაგრამ ცხადია, მათ რეალიზაციას ჩვენი ხალხისთვის იმდენი სიხარული არ მოუტანია, როგორიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში თბილისის **„დინამოს“** (მაშინდელ საქართველოს ნაკრების) სხვადასხვა თაობის წარმატებებს, რითაც ქართველებში ეროვნული ღირსებისა და თვითშეგნების გამოღვიძებას ეროვნულ მოძრაობაზე არანაკლებად შეუწყო ხელი. საძრახის შოვინიზმზე ჯავრს ხალხი ხომ ცსკა-ზე, მოსკოვის **„სპარტაკ“-“დინამოზე“** მოგებებით იყრიდა ხოლმე.

საბჭოთა ფეხბურთის 55-წლიან ისტორიაში (ჩემპიონატი 1936-იდან 1991-ამდე გრძელდებოდა) საქართველოში პელე და მარადონა არ დაბადებულა, მაგრამ ქართული კლუბები მუდამ იყვნენ მოწინავეთა შორის და კაშკაშა ვარსკვლავებიც გვყოლია. მხოლოდ 80-იან წლებში, სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად, ჩვენც დავთმეთ პოზიციები. ანუ ქართული ფეხბურთის წარმატებები არ იყო ერთჯერადი.

მერე ამას მოჰყვა დამოუკიდებლობის პერიოდი, სამოქალაქო და საგარეო ომები, ეკონომიკის დაცემა და ბოლო წლებია, საქართველოს ნაკრებიც დაძაბუნდა, მაგრამ ვერც ერთი პარტია და ვერც ერთი სახეობა ვერ გამოიყვანს ქუჩაში იმდენ გახარებულ ადამიანს, როგორც ეს 2003 წელს რუსეთთან შეხვედრის მოგებით **„ჯვაროსნებმა“** მოახერხეს.

ფეხბურთი მარტივი თამაში არ არის, მას დიდი ფული სჭირდება. განვითარებაც მხოლოდ დიდძალი ფულის ჩადების შემთხვევაშია შესაძლებელი. სხვაგვარად, ბევრი დილეტანტი მოიძებნება, რომლებიც მორაგბეების ღირსეული მოგებების შემდეგ, რატომღაც, ბოლო დროს წარუმატებელი ფეხბურთისკენ გაიშვერს ხელს და მოედნების საძოვრებად ან ბაღებად გადაკეთების უაზრო იდეას შემოგვთავაზებს.

ეს იმ დროს, როდესაც რაგბიც, ფეხბურთიც და... ბულგარეთში ჭადრაკის ტურნირზე დაგვიანებული ქართველებიც ჩვენი ტკივილი და სიხარულია, ფეხბურთი კი სხვისთვის რამის წართმევას არასდროს არ ითხოვს.

26 მარტს დაწყებულ და გაგრძელებულ ევროპის 17-წლამდელთა ელიტრაუნდში კიდევ ერთხელ გამოჩნდა: **„ყანებში“**, ასფალტზე, გაჭირვებასა და უმძიმეს პირობებში გაზრდილმა ქართველმა ბიჭებმა მსოფლიო ფეხბურთის თანამედროვე სისტემების გაზრდილებს ტოლი რომ არ დაუდეს და ჯგუფის ლიდერები არიან.

შორს ჩვენგან თვითკმაყოფილება, მაგრამ საქართველოში არასოდეს, ვიმეორებთ, არასოდეს ყოფილა მაღალი დონის პირობები და ტალანტების გაზრდის სისტემა, ჩვენს ნიჭიერ ბავშვებს გასაქანი რომ ჰქონოდათ და ნუ მოვუსმენთ სოფლის მეურნეობაში გარკვეულ მაყურებლებს, რომლებიც, რეალურად, პროფესიონალი დილეტანტები უფრო არიან, ვიდრე გულშემატკივრები. შევინარჩუნოთ ფეხბურთი და გავაძლიეროთ – ამით ქვეყანა დიდი სიხარულს და მოგებას მიიღებს.

ცნობილ ბრიტანელ საფეხბურთო ჟურნალისტს, დან ბრენანს მაინც მოუსმინეთ – პოსტსაბჭოურ სივრცეში გამორჩეულად ძლიერები არიან რუსეთი და უკრაინა, მაგრამ არცერთ ქვეყანას აქვს ისეთი ვარსკვლავური პოტენციალი, როგორც საქართველოსო.

მისდა სამწუხაროდ, ქართველებმა ეს ნიჭი ბრენანის თანამემამულეებთან 28 მარტს გამოავლინეს.

მაგრამ მთავარია, ამ ბიჭებს შემდეგ როგორ შეუწყობენ ხელს და ექნებათ თუ არა მათ და მომავალ თაობებს სრულყოფისთვის რეალური პირობები?



## იუმორი

**მიხო უყურებს თავის ბანჯგვლიან შვილს და ცოლს ეკითხება:**

**– დედაკაცო, ეს ბალღი გააჩინე თუ მოქსოვე?**

* * *

**ჭიჭიკია კვდება და ცოლს უბარებს:**

**– მე ვკვდები. ვიცი, რომ შენ გათხოვდები, მაგრამ უფლებას არ გაძლევ, რომ ჩემი ტანსაცმელი შენმა მეორე ქმარმა ჩაიცვას.**

**– მაგაზე ნუ იდარდებ. მოვაზომე და პატარა აქვს.**

* * *

**ოსი ეუბნება ძმაკაცს: – უდაბნოში ლუდის ბარი უნდა გავხსნა!**

**– იქ ხომ არავინ მოვა?**

**– ჰო, მაგრამ ერთი მაინც თუ გამოჩნდა, ისეთი მოწყურებული იქნება, რომ მთელ ქონებას დათმობს ერთ კათხა ლუდში...**

* * *

**– ქართველებო, გაითვალეთ!**

**– პირველი,**

**– პირველი,**

**– პირველი...**

* * *

**– ახალგაზრდავ, პორტფელი დაგრჩათ...**

**– ალაჰ აქბარ!**

* * *

**– უცხოეთში ყველაზე მეტად რა მოგეწონა?**

**– ბარები!**

**–აბა, აქ რა ღმერთი გიწყრება, ბარსა და თოხს რომ ვერ გაგაკარებს კაცი!**

## ჭაბუა ამირეჯიბის 90 წლის იუბილეს საღამო მიეძღვნა

კალათბურთის მოედნიდან პირდაპირ სამამულო ომში წასცლა ომში, არაერთგზის პატიმრობაში, ყოფნა ციმბირში მოვლილი შრომა-გასწორებითი ბანაკები, საბჭოთა სასამართლოს მიერ ორჯერ გამოტანილი დახვრეტის განაჩენი, არაერთგზის გაქცევა სიმკაცრით გამორჩეული საბჭოთა ციხე-კოლონიებიდან, შედარებითი სიმშვიდე და თავაუღებელი შრომა ლიტერატურულ ფრონტზე, და, რაც მთავარია, განუმეორებელი გმირის სახის გამოძერწვა, პირმშოს დაკარგვა ძმათამკვლელ ომში, ბერის განმარტოებული ცხოვრება და სხვა მრავალი...

სწორედ დათა თუთაშხიამ, ამ **„ონტოლოგიური შიშის რაინდმა“** გააცნო მთელ მსოფლიოს მეორე სერვანტესად აღიარებული ჭაბუა ამირეჯიბი.

**„დათა თუთაშხია ეს არის რობინ ჰუდი როჯერ ბეკონის გონებით“** – მოხდენლად თქვა ერთხელ ცნობილმა მწერალმა და მკვლევარმა ლადო ალფენიძემ. მართლაც ბრძნული შედარებაა.

ნებისმიერი ადამიანი ინატრებდა ბატონი ჭაბუას (მამა დავითის) ბიოგრაფიას, მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანის ცხოვრებაში უფრო მეტად ჭარბობდა ხიფათი, ვიდრე სვებედნიერი საათები!

ჭაბუა ამირეჯიბის 90 წლის იუბილის აღსანიშნავად ლიტერატურული საღამო გაიმართა. **„მოვედი, ვიბრძოლე, დავრჩი“**, – ასე ერქვა საღამოს, რომელიც ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრში მოეწყო. მას საერო და სასულიერო პირებიც ესწრებოდნენ.

ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, რომელიც უკვე წელიწადნახევარია **ბერი დავითის** სახელით განაგრძობს ცხოვრებას, იუბილე ჯანსულ ჩარკვიანმა და მეუფე თადეოზმა მიულოცეს.



## სახალხო დამცველი პარლამენტში მომხდარ კონფლიქტზე განცხადებას ავრცელებს

საქართველოს პარლამენტში 24 აპრილს მომხდარი ინციდენტის შესახებ სახალხო დამცველი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს. საქმე ეხება პარლამენტში დეპუტატებს შორის მომხდარ კონფლიქტს, როცა მარნეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა აზერ სულეიმანოვმა კოლეგა ჯონდი ბაღათურიას **„სომეხი გვარად ბაღათურიანი“** უწოდა.

**„სამწუხაროდ, აზერ სულეიმანოვმა განსხვავებული ეთნიკური ნიშანი დამაკნინებელ, შეურაცხმყოფელ კონტექსტში წარმოაჩინა და ამ კუთხით, ოპონენტის დისკრედიტაციას შეეცადა. შემაშფოთებელია, რომ გამონათქვამების ავტორი საქართველოს პარლამენტის დეპუტატია, რომელსაც მიმაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით, გამორჩეული პასუხისმგებლობა აკისრია.**

**მიუხედავად იმისა, რომ დისკუსიის საგანი, რასაც მოჰყვა ხსენებული განცხადება, ისეთი უაღრესად სენსიტიური თემა გახლდათ, როგორიცაა ეროვნებათშორისი ურთიერთობა, დაუშვებელია ხსენებული, რომელიმე ეთნიკური ჯგუფის შეურაცხყოფისა და დაკნინების მიზეზი გახდეს.**

**ვთვლი, რომ ყოველი ასეთი ფაქტი საფრთხეს უქმნის საქართველოს მშვიდობიან განვითარებას, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა ერთობას, ეწინააღმდეგება ჩვენი კონსტიტუციის სულისკვეთებასა და საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს.**

**მინდა ასევე შეშფოთებით აღვნიშნო, რომ ბოლო პერიოდში საჯარო პირებისა და პოლიტიკური ფიგურების მხრიდან გახშირდა ამ ტიპის განცხადებებისა და გამონათქვამების გამოყენების შემთხვევები.**

**მინდა, კიდევ ერთხელ მოვუწოდო ყველას, განსაკუთრებით საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს, პოლიტიკოსებსა და საჯარო პირებს, ერთი მხრივ, თავი შეიკავონ ამგვარი მიუღებელი რიტორიკისგან და მეორე მხრივ, უმკაცრესი შეფასება მისცენ ქსენოფობიისა და შეუწყნარებლობის გამოვლინების ნებისმიერ შემთხვევას,“** – აღნიშნულია სახალხო დამცველის სპეციალურ განცხადებაში.

ISSN 1987-8966 ილორი

9 771987 896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული

სარეგ. №01018002930

234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი

გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge